რუსთაველ "პარტმენთა" ვნებები A3

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი თავმჯდომარის გარეშე დარჩა A7

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 8 აპრილი, 2003 წელი. №96 (308)

ფასი 50 თეთრი

ბაღდადში ჰუსეინის მთავარი სასახლე კოალიციის ხელშია

REUTERS

ამერიკელი ჯარისკაცები ბაღდადის ქუჩებში.

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ დილით აშშ-ს ტანკები და ჯავშანმანქანები ერაყის დედაქალაქის ცენტრში შევიდნენ და პრეზიდენტის სასახლეში პოზიციები დაიკავეს. ამავე დროს, პენტაგონის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ოპერაცია უფრო მეტად წარმოადგენს **"ძალის დემონსტრაციას, ვიდრე ბაღდადისათვის ბრძოლის დაწყებას." "ჩვენ ბაღდადის ცენტრში პრეზიდენტის მთავარი სასახლე დავიკავეთ. იქ კიდევ ორი სასახლეა და ჩვენ ორივეს ვაკონტროლებთ"** - განაცხადა სააგენტო "როიტერთან" საუბარში მე-3 ქვეითი დივიზიის ვიცე-პოლკოვნიკმა პიტ ბზერმა. სასახლეების აღების გარდა, ასევე იუწყებიან, რომ ამერიკელმა სამხედროებმა ერაყის დედაქალაქში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობა აიღეს, მათ შორის, ინფორმაციის სამინისტრო და სასტუმრო "რაშიდი." როგორც ცნობილია, ამ სასტუმროში უცხოელი ჟურნალისტები ცხოვრობდნენ. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ორშაბათის დილის რეიდში 65 ტანკმა და 45 ჯავშანმანქანამ მიიღო მონაწილეობა.

ჯერჯერობით, ძნელია დაზუსტებით თქმა, დარჩნენ თუ არა მოკავშირეთა ნაწილები ბაღდადში. ამის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ზოგიერთი ცნობით, მოკავშირეთა სამმა ასეულმა და ჯავშანტექნიკის ნაწილმა ქალაქში პოზიციები დაიკავა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

საქართველო ისედაც თავისუფალი ეკონომიკური ზონა არაა?!

"მოქალაქეთა კავშირის", "თანადგომის", "ალიანსის", "აფხაზეთისა" და "სოციალისტების" ინიციატივით გამართულ სხდომაზე დასასწრებად ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე, მეცნიერ-ეკონომისტები და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები მიიწვიეს.

A2

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ევროპელი მემარცხენეებისთვის ბუშის საგარეო პოლიტიკა მიუღებელია

ჟურნალმა "ფორინ პოლისმა" ევროპელ მემარცხენეთა ერთ-ერთ ლიდერის, დენიელ კონ-ბენდისა და ამერიკელ მემარჯვენეთა ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის, რიჩარდ პერლის დებატები გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამ დისკუსიის ოდნავ შემოკლებულ ვარიანტს.

A5

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული მხარე მოვალეა, პირობა შეასრულოს"

10 აპრილს საქართველოს ეწვევა თურქული ავიაკომპანიის "თურქიშ ეარლაინზის" ხელმძღვანელ პირთა დელეგაცია. 16 აპრილს თურქები და ქართველები სიმართლის გარკვევას უზენაეს სასამართლოში შეეცდებიან.

A6

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

გრიგოლ ხურცილავას ხელახალი ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება

ექიმ-ექსპერტები გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის ახალ ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიულ პორტრეტს 27 აპრილამდე, პროცესის განახლებამდე შექმნიან. განსასჯელი ხურცილავა და მისი ათტომიანი საქმე ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გადაეცემა.

A7

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ზურაბ აბაშიძე: "ეს არის აშკარა საბჭოთა მენტალიტეტი"

"ეს არის აშკარა საბჭოთა მენტალიტეტის, ცივი ომის მენტალიტეტის გადმონაშთი, როცა ყველაფერი, რაც აშშ-სთან იყო დაკავშირებული, რუსეთისათვის საფრთხედ აღიქმებოდა".

A8

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

თბილისი	20
ქუთაისი	22
ბათუმი	19
სოხუმი	19
ფოთი	20
თელავი	18
ზუგდიდი	22
გორი	18
ახმეტა	19
ჭიათურა	21
გაგრა	18
სამტრედია	22

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲚᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ

აშშ დოლარი	2.1700
ევრო	2.2974
გირვანქა სტერლინგი	3.3624
რუბლი	0.0694

თემატური უმრავლესობა ინტერფრაქციულ ჯგუფს უპირისპირდება

თამარ ასათიანი

პარლამენტის თემატური უმრავლესობა საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს უკვე ღიად უპირისპირდება. სახელისუფლებო ფრაქციებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია იმ ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ არის მომზადებული და რომელსაც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიც იწონებენ. მეტიც: პარლამენტის გუშინდელი სხდომის მიმდინარეობამ ცხადყო, რომ მოქალაქეთა კავშირი და მისი თანამოძმე ფრაქციები ყველაფერს იღონებენ, რათა დღეს მოქმედი საარჩევნო კანონი უცვლელი დარჩეს, ან, უკეთეს შემთხვევაში, მასში მხოლოდ ისეთი ცვლილებები შევიდეს, რომელიც მის შინაარსს დიდად არ შეცვლის.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბესო გელაძილის ფოტო

თქვენსას არ გაგატანინებთ!

რამ გაახალისა პრეზიდენტი

თამარ ხორბალაძე

საკუთარი დამოკიდებულება ბიზნესმენთა ნაწილის უკმაყოფილებისადმი საქართველოს პრეზიდენტმა სახალხოდ პირველად გუშინ გაამჟღავნა.

"პარლამენტი და მთავრობა იმუნიტეტის მეშვეობით არ უნდა გახდეს ოლიგარქიულ დაჯგუფებათა თავშესაფარი და იმ ხალხის უშიშროების უზრუნველმყოფი, რომლებმაც უკანონო გზით დიდძალი ქონება მოიპოვეს," –რადიო-ინტერვიუში განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, უკვე ბრიფინგზე კი ბიზნესმენებს ურჩია, **"სინდისის კარნახით იმოქმედონ".**

"სინდისის გამოღვიძებაში" დასახმარებლად ედუარდ შევარდნაძე წინაპირობებს მთელი თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ქმნიდა და ბოლო კვირაშიც ამ მხრივ განსაკუთრებით იაქტიურა.

ჯორბენაძე არგადამხდელებს და "ხალხის ხარჯზე გამდიდრებულებს" დაემუქრა, მანამდე კი პრეზიდენტმა გასული არჩევნების დროს არსებულ მოსყიდვებზე ჩამოაგდო სიტყვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

იმერეთის გუბერნატორს მოკვლით ემუქრებიან

ბექა სისაური
ქუთაისიდან

თემურ შაშიაშვილმა "კანონიერი ქურდების" საქმიანობას გუშინ ბრიფინგი მიუძღვნა. მან განაცხადა, რომ კრიმინალური ავტორიტეტები მოკვლით ემუქრებიან. თავის დაზღვევის მიზნით, რწმუნებული მათ ვინაობას არ ასახელებს, თუმცა, მინიშნებებს მაინც აკეთებს. მისი განმარტებით, ტელეფონის საშუალებით რამდენჯერმე დაემუქრნენ და ქურდებისთვის თავის დანებება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შუბლის გახვრეტას "დაჰპირდნენ". მუქარის ზარები თურმე შაშიაშვილის სახლშიც გაისმა. რწმუნებულის მაგიდაზე კი იმ საწარმოთა სია გაჩნდა, სადაც კრიმინალური ავტორიტეტები სერიოზულ წილს ფლობენ და, სიცოცხლის შენარჩუნების ფასად, გუბერნატორისგან ამ საწარმოებისთვის თავის დანებებას მოითხოვენ.

"ჩემს წინააღმდეგ რამდენიმე სახის მუქარა განხორციელდა. მოითხოვდნენ, რომ ქურდებზე საუბრისაგან თავი შემეკავებინა, თორემ ტყვია მომხვდებოდა. ზოგიერთი

გაგრძელება A3 გვერდზე

სოხუმი არეულობის ზღვარზე

უკვე წელიწადზე მეტია, აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებაში სერიოზული დაპირისპირებაა. კლანური მმართველობისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები კიდევ უფრო გააძლიერა ვლადისლავ არძინბას მძიმე ავადმყოფობამ. ვითარება ვერც ანრი ჯერგენიას პრემიერმინისტრობიდან გათავისუფლებამ გამოასწორა და დღეისათვის კრიზისმა კულმინაციურ ნიშნულს მიაღწია.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გადადგა აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობაში ჯერგენიას შემცვლელი - გენადი გაგულია. მიზეზად დრანდის ციხიდან პატიმრების (უფრო ზუსტად კი სამხედრო ტყვეების) გაქცევა სახელდება. მაგრამ ეს გაქცევა უდავოდ შედეგია, და არა - მიზეზი. როგორც ჩანს, არძინბას რეჟიმი (რომელიც ერთ დროს აფხაზეთში იმასაც კი ადევნებდა თვალყურს, თუ რა ენაზე ელაპარაკებოდა მოსახლეობა ერთმანეთს) იმდენად დასუსტდა, რომ საერთოდ დაკარგა ადმინისტრაციული კონტროლი.

პატიმრებს შორის, რომლებიც გუშინ გაიქცნენ, გელაევის ცნობილი ლაშქრობის მონაწილენიც არიან. ამდენად, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ არძინბას რეჟიმისთვის და დრანდის ციხეც განსაკუთრებულად უნდა ყოფილიყო დაცული. მაგრამ მოხერხდა ასაფეთქებელი ნივთიერების შეტანა და თანაც იმ რაოდენობით, რომ ლამის ნახევარი ციხე დაინგრა. ასე რომ, როგორც იტყვიან, "ციხე შიგნიდან გატყდა", ანუ გამოჩნდნენ ადამიანები, უთუოდ რეჟიმისგან ერთ დროს ნდობით აღჭურვილნი, რომლებიც გაიყიდნენ ან, სულაც, რეჟიმთან დაპირისპირების გამო "გატეხეს ციხე". ორივე შემთხვევაში სრულიად აშკარაა, რომ სეპარატისტული ხელისუფლებაში დაუნდობელი ომია გაჩაღებული.

ამ დაპირისპირების ნიშანდობლივი გამოვლინებაა ისიც, რომ დღეს სოხუმში ხალხმრავალი მიტინგია დანიშნული, რომლის დროსაც, არძინბას სეპარატისტული ხელისუფლების გადაყენებას მოსთხოვენ. ჯერჯერობით, თავად არძინბას არ ეხებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ის უკვე რაიმე ძალას აღარც წარმოადგენს.

დრანდის ციხიდან ქართველი პატიმრები გაიქცნენ

ინგა ალავიძე

გუშინ, გამთენიისას ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარის აფეთქების შედეგად, სოხუმის იზოლატორის ერთი მესამედი დაინგრა. აფეთქების შემდეგ საპყრობილედან 9 ქართველი პატიმარი გაიქცა, მათ შორის სამი სიკვდილმისჯილია. გავრცელებული ინფორმაციით, პატიმრებმა მოახერხეს ციხის ბადრაგის განიარაღება და მათი იარაღი თან წაიღეს.

სეპარატისტთა ძალოვანების ინფორმაციით, გაქცევა კარგად ორგანიზებული იყო, რადგან ქართველ პატიმრებს ციხეში ასაფეთქებელი საშუალებები წინასწარ შეუგზავნეს, გაქცევისას კი კორიდორი გაუკეთეს. არსებული შეტყობინებით, გაქცეულ პატიმრებს შორის არიან: აფხაზი სეპარატისტების მიერ სიკვდილმისჯილი გერვასი ჯოლოგუა, გიორგი ჩხეტიანი და ზურაბ მამასახლისი, რომელთაც 13-წლიანი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. გაქცეულთა შორისაა გილაევის რაზმის ორი წევრიც. ისინი 2001 წლის ოქტომბერში ჩეჩენი საველე მეთაურის მიერ კოდორის ხეობაში მოწყობილ რეიდში მონაწილეობდნენ და აფხაზმა სეპარატისტებმა გერვასი ჯოლოგუასთან ერთად დააპატიმრეს. გილაევის რაზმის 2 წევრსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

რუსეთში კვლავ ცდილობენ მოქალაქეობის კანონის გამარტივებას

ლენა მიქაძე

რუსეთის დუმა "მოქალაქეობის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას ცდილობს. თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ. საუბარია იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირის ყოფილ მოქალაქეებს რუსეთის მოქალაქეობის მიღება უნდა გაუადვილდეთ. გასულ პარასკევს დუმაში წარმოდგენილი ცვლილებების ორი პროექტიდან ვერც ერთი ვერ გავიდა - ვერც "მემარცხენე ძალთა კავშირის" სახელით, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ბორის ნადეჟდინის მიერ წარმოდგენილი ვარიანტი და ვერც დამოუკიდებელი დეპუტატებისა, რომელთგან ერთ-ერთი წარმოშობით სამტრედიელი იუშენკოვია. ცვლილებათა მისეული პროექტით, ის მუხლია შესაცვლელი, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეობის უფლება რუსეთში ხუთი წლის განმავლობაში მაცხოვრებელს ენიჭება. ნადეჟდინის პროექტით ამგვარი ვადა სავალდებულო არ არის ყოფილ სსრკ-ს ასაკოვან მოქალაქეთათვის, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად 2001 წლის იანვრამდე დაფუძნდნენ; ასევე მათთვის, ვინც მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით მიმართა შესაბამის ორგანოებს 2002 წლის ივლისამდე. მიუხედავად იმისა, რომ ნადეჟდინის ცვლილებების პროექტს უფრო მეტი მომხრე აღმოაჩნდა, ვიდრე იუშენკოვის საკანონმდებლო ინიციატივას, გასვლით არც ერთი არ გასულა.

პირდაპირ თუ ირიბად, რუსეთის დუმის მიერ "მოქალაქეობის შესახებ" კანონთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტი საქართველოსაც უკავშირდება. ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ინფორმაციას ამ საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, ასე თუ ისე, ფლობენ. თუმცა, იმავე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გივი შუღაროვი ვითარებას საგანგაშოდ არ მიიჩნევს იმის გამო, რომ დუმამ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის მიღება ვერ შეძლო. თავის მხრივ, რუსეთის დუმის დეპუტატები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აცხადებენ, რომ მუშაობას "მოქალაქეობის კანონში" ცვლილებების შეტანად კვლავაც გააგრძელებენ.

სამხედრო ნაწილებში სავალალო მდგომარეობაა

კახეთისა და ქართლის რეგიონებში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებში არსებული ვითარება საკმაოდ რთულია როგორც სოციალური, ასევე მორალური თვალსაზრისით, - აცხადებს ომბუდსმენის თანაშემწე სამხედრო მოსამსახურეთა საქმეში ნოდარ ეფრემიძე. ეფრემიძის თქმით, სამხედრო მოსამსახურეებს მოუგვარებელი აქვთ კვების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვა ყოფითი პრობლემები. ამას ემატება შენობების ავარიულობა. "ზოგიერთ ნაწილში არაა თეთრეული, ხოლო ფეხსაცმელი, რომელსაც სამხედრო მოსამსახურეებზე გასცემენ, ერთ თვეში ცვდება", - აღნიშნა ნოდარ ეფრემიძემ.

ომბუდსმენის თანაშემწის აზრით, შეუძლებელია, რომ ყოველივე ეს შეიარაღებული ძალების მორალურ სულისკვეთებაზე არ აისახოს. ამის ნათელი მაგალითია მიმდინარე წელს დაფიქსირებული დეზერტირობის 2 ათასზე მეტი შემთხვევა. ასევე სახეზეა სამხედრო ნაწილების არასრული კომპლექტაცია: "მხოლოდ პანკისის ხეობაში შინაგანი ჯარების ქვედანაყოფი გათვალისწინებული ნორმის 30-40 პროცენტითაა დაკომპლექტებული, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე ანტიკრიმინალური ოპერაცია მიმდინარეობს".

ამ ვითარებიდან გამოსავალს ნოდარ ეფრემიძე კონტრაქტულ სისტემაზე გადასვლაში ხედავს. **პრაიმ-ნიუსი**

„ახლებს" აშშ-ის რესპუბლიკური პარტია ეხმარება

პოლიტიკურ გაერთიანება "ახალ მემარჯვენეებს" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დახმარებას ამერიკული საკონსულტაციო ჯგუფის "ანდერსონ-მერფი-პიტსის" წევრები გაუწევენ. "ახალი მემარჯვენეები" სარგებლობენ აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერით, რომელიც "დიდი ენთუზიაზმით ელის" არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში ახალი დემოკრატიული მემარჯვენე-ცენტრისტული ძალების მოსვლას.

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ანდერსონ-მერფი-პიტსის" წარმომადგენლებმა მაიკლ მერფიმ და ჯიმ პიტსმა განაცხადეს.

"რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ ლიდერებს კარგად აქვთ გაცნობიერებული საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა და ის, რომ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების წარმატებაზეა დამოკიდებული. ამისათვის აუცილებელია, საქართველოში ახალგაზრდა დემოკრატიული პროამერიკული ძალა მოვიდეს. ასეთად ჩვენ "ახალ მემარჯვენეებს" მოვიაზრებთ", - აღნიშნა მაიკლ მერფიმ.

საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენლები "მემარჯვენეების" ოპონენტებს დაჰპირდნენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიისას "მემარჯვენეები" "შავი PR"-ით არ ისარგებლებენ. "ამგვარ მეთოდებს სუსტი პოლიტიკური პარტიები იყენებენ, "ახალი მემარჯვენეები" კი საკმაოდ ძლიერი გაერთიანებაა", - აღნიშნეს ამერიკელმა კონსულტანტებმა.

"ანდერსონ-მერფი-პიტსის" წარმომადგენლები "ახლების" წინასაარჩევნო კამპანიას ყოველგვარი ჰონორარის გარეშე წარმართავენ. თავის მხრივ "ახლებმა" საკუთარ თავზე აიღეს ამერიკელი სტუმრების მგზავრობისა და საქართველოში ცხოვრების ხარჯები. **ინტერ-პრესი**

ევროსაბჭოში საქართველოს შესახებ გაუხსნელი მასალები დევს

სტრასბურგში გასულ კვირას გამართულ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე, სადაც განსახილველ საკითხებში საქართველოს თემატიკა ფიგურირებდა, აღინიშნა, რომ ამ ქვეყნის შესახებ არსებობს საკმაოდ "მძიმე" მასალები, რომელიც ჯერჯერობით, დახურულად რჩება.

სხდომაზე გამოვიდა, ევროსაბჭოში საქართველოზე საკითხის მომხსენებელი მათეუშ იორში, რომელმაც აღნიშნა, რომ 2001 წლის შემდეგ ქვეყანაში ვითარება გამოსწორების ნაცვლად კიდევ უფრო გაუარესდა. თავის მოხსენებაში იორში საპარლამენტო არჩევნებისა და რელიგიური ექსტრემიზმის საკითხებსაც შეეხო.

ევროსაბჭოს ექსპერტის აზრით, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საარჩევნო კოდექსში დემოკრატიულობის თვალსაზრისით საჭირო ცვლილებების შეტანით არ არის დაინტერესებული.

მონიტორინგის კომიტეტის ექსპერტთა გაფართოებული დელეგაცია საქართველოში ჩამოსვლას ივნისის დასაწყისში გეგმავს, რის შემდეგაც საქართველოს შესახებ არსებული ყველა მასალა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განიხილება. **მედია-ნიუსი**

მოკლედ

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი, პარლამენტარი ჯუმბერ პატიაშვილი მიიჩნევს, რომ სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", რომელსაც პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა სათავეში, მყარი არ იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ ქვემო ქართლის რეგიონში თემურ ანდრიაძემ გუშინ გადადგომის შესახებ განაცხადა. თუ რა მოტივით მიიღო ანდრიაძემ ეს გადაწყვეტილება, არ დაუკონკრეტებია. ჯერჯერობით ასევე უცნობია, ვინ დაიკავებს ვაკანტურ თანამდებობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" დარწმუნებულია, რომ მომავალ პარლამენტში მინიმუმ, 70-80 და მაქსიმუმ, 100-120 დეპუტატით მოსვლას შეძლებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" მიმდინარე კვირას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აქციას სახელწოდებით "არჩევნები გაყალბების გარეშე" იწყებენ. აქცია ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა სიების დადგენას ითვალისწინებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "აღორძინება თბილისის" სახელწოდებით ცნობილმა საკრებულოს ფრაქციამ დღეიდან "გაერთიანებული პოლიტიკური კონსერვატორები" დაირქვა, მემარჯვენე-ცენტრისტული ორიენტაცია აირჩია და "აღორძინებასთან" ურთიერთობა ისტორიას ჩააბარა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ახალი მემარჯვენეები" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რომელიმე პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანების შესაძლებლობას გამორიცხავენ და აცხადებენ, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად გამოვლენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველები" ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ამ ფრაქციის წევრს ვახტანგ ხმალაძეს გაუწევს რეკომენდაციას. **პრაიმ-ნიუსი**

საქართველო ისედაც თავისუფალი ეკონომიკური ზონა არაა?!

სოფო ბუკია

საპარლამენტო უმრავლესობამ ყბადაღებული თეზ-ის თემას გუშინ საგანგებო სხდომა მიუძღვნა. "მოქალაქეთა კავშირის", "თანადგომის", "ალიანსის", "აფხაზეთისა" და "სოციალისტების" ინიციატივით გამართულ სხდომაზე დასასწრებად ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე, მეცნიერ-ეკონომისტები და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები მიიწვიეს. სახელისუფლებო ფრაქციებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ "აღორძინების" მიერ მომზადებულ და პრეზიდენტის მიერ დაწუნებულ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერენ.

თეზ-ის მომხრეები: თენგიზ ჭგუშია, ვახტანგ აბაშიძე, ანზორ აბრალავა.

ბესო გულაგაძის ფოტო

სპეციალური ეკონომიკური ზონები ანუ "ფრანკოს ზონა" - შეზღუდული ტერიტორიები, ქალაქები, საავიაციო და საზღვაო ნავსადგურებია, სადაც მოქმედებს განსაკუთრებული, შეღავათიანი ეკონომიკური პირობები ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეებისთვის.

ამგვარი ეკონომიკური ოაზისების შექმნის პერსპექტივამ დიდი ხანია, რაც ძილი დაუკარგა ბათუმელ "ამღორძინებლებს". აღნიშნული კანონპროექტის მოსმენა-განხილვა უკვე თითქმის ყველა საპარლამენტო კომიტეტმა მოასწრო. როგორც პროექტის ავტორები ამტკიცებენ, გათვალისწინებულ იქნა არაერთი შენიშვნა და წინადადება.

შესწორებული ვარიანტის პარლამენტში გატანას "აღორძინება" მიმდინარე სასესიო კვირას შეეცდება. დაბრკოლება, რომელიც ასლან აბაშიძის თანაგუნდელებს ოცნების ასრულებას ურთულებს - სახელისუფლებო ფრაქციები და პრეზიდენტია, რომელსაც არ ეზარება და თითქმის ყველა რადიოინტერვიუში აცხადებს, რომ "აღორძინების" ახალი იდეა ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

გუშინდელ სხომაზე სპეციალური ეკონომიკური ზონების აუცილებლობის შესახებ მოხსენება "აღორძინების" წევრმა ანზორ გოგიტიძემ წაიკითხა. კიდევ ერთხელ ითქვა, რომ არსებული ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი რადიკალური ეკონომიკური რეფორმებია; რომ ჩინეთს, სამხრეთ კორეას და მალაიზიას სწორედ თეზ-ების წყალობით უდგას სული და რომ თეზ-ი მისწრებაა განვითარებადი ქვეყნებისთვის.

"აღორძინების" ამგვარ შემართებას ცივი წყალი გადაასხა ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ. იგი მიიჩნევს, რომ თეზ-ების მოსაწყობად საჭირო თანხები საქართველოს დღესდღეობით არ გააჩნია. გაჩეჩილაძის თქმით, ამგვარ ეკონომიკურ ოაზისებში აუცილებლად იმოძრავებს გაურკვეველი წარმოშობის ინვესტიციები. **"მაგალითისთვის გამოდგება თქვენს მიერ ნაქები ჩინეთი, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი წარმოუდგენლად დიდია,"** – განავრცო ჩინეთის თემა გაჩეჩილაძემ.

და რაც ყველაზე მთავარია: მინისტრმა "აღორძინებას" საერთაშორისო ორგანიზაციების აზრის გათვალისწინებაც ურჩია. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს ერთიანი ეკონომიკური სივრცის თავისუფალ ზონებად დაყოფას. **"1999 წლის ბოლოს საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა, რამაც კიდევ უფრო ლიბერალური გახადა საგარეო ვაჭრობა. პრაქტიკულად, საქართველოში, საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, უკვე არსებობს თავისუფალი საექსპორტო ზონა,"** – აცხადებს გაჩეჩილაძე.

გარდა ამისა, მისი თქმით, საქართველოს ისედაც მცირე ტერიტორიის დანაწევრება ხელს შეუწყობს კუთხურობისა და სეპარატიზმის გაღვივებას.

ჯემალ გოგიტიძემ ჯერ ვიტალი ხაზარაძეს (ხაზარაძეს მიჰყავდა სხდომა) ეკონომიკის მინისტრის პარლამენტის შენობაში შემოტყუება მიულოცა, შემდეგ კი გაჩეჩილაძეს მინისტრობა მიუსამძიმრა. **"ძნელია, ალბათ, ეკონომიკის მინისტრი იყო ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა დაქცეულია და სადაც ერგნეთის ბაზრობა არსებობს. რაც შეეხება ჩინეთს, საინტერესოა, რომ თქვენ იქ მარტო ჩრდილოვანი ეკონომიკა შეამჩნიეთ და კარგი ვერაფერი იპოვეთ,"** – დაიცვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გოგიტიძემ,

გაჩეჩილაძე "ზემოდან დაკვეთის შესრულებაში" დაადანაშაულა და ჩინეთში ექსკურსიაზე წასვლა ურჩია.

თეზ-ის შექმნის წინააღმდეგია მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლადო პაპავაც. პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე, თეზ-ს ემტერებიან სახელისუფლებო ფრაქციებიც. ვიტალი ხაზარაძე შიშობს, რომ თეზ-ები ქვეყნის უსაფრთხოებას შეუქმნიან საფრთხეს. საკუთარ არგუმენტებს ხაზარაძე, როგორც ყოველთვის, მეცნიერულად ამაგრებს: **"მე ამ თემაზე ბევრ პროფესიონალ ეკონომისტს ვესაუბრე. ისინი თეზ-ების შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავენ."**

თემატური უმრავლესობა ინტერფრაქციულ ჯგუფს უპირისპირდება

პირველი გვერდიდან

სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლების სურვილი, შეცვლილიყო საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტებისა და ამომრჩეველთა სიების შედგენის წესი, მხოლოდ ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა. როგორც ჩანს, დღეს მათ მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ – დღეს მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის ძირითადი მუხლები ძალაში დარჩეს. გუშინდელმა დღემ აჩვენა, რომ მიზნის მისაღწევად თემატური უმრავლესობა საპროცედურო ომზე უარს არ იტყვის და შეეცდება, ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მიღებული ცვლილებების პაკეტის განხილვა, შეძლებისდაგვარად, დროში გაწელოს.

თემატური უმრავლესობისა და ოპოზიციური ფრაქციების ღია კონფლიქტი გუშინ დაიწყო და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი მიმდინარე სასესიო კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ამის მიზეზი კი კვირის დღის წესრიგია, სადაც ერთ-ერთ საკითხად სწორედ ამ ცვლილებების განხილვაა შეტანილი.

გუშინ სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებდნენ, რომ არ იცნობენ ამ ცვლილებების შინაარსს, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის საქმიანობა მათთვის დახურული იყო და რომ პლენარულ სხდომაზე ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული ცვლილებების გატანა, არც მეტი არც ნაკლები, პარლამენტის რეგლამენტის დარღვევაა, "რადგან აუცილებელია სავალდებულო პროცედურების გავლა, კომიტეტების სხდომებზე ამ ცვლილებების განხილვა" და ა.შ.

თემატური უმრავლესობის წარმომადგენელთა მოსაზრებები დაადასტურა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ **"პლენარულ სხდომაზე ამ საკითხის მოუმზადებლად გატანა დაუშვებელია".**

სხვათა შორის, ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომები არასდროს ყოფილა დახურული. თემატური უმრავლესობის წარმომადგენლები კი მის მუშაობას, ნებსით თუ უნებლიედ, ყოველთვის ბოიკოტს უცხადებდნენ და მის საქმიანობაში მონაწილეობას არ იღებდნენ. აქედან გამომდინარე, პარლამენტის ხელმძღვანელობისთვის და, კონკრეტულად მისი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძისთვის სამთავრობო ფრაქციათა წარმომადგენლების გუშინდელი განცხადებები აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა. მეტიც – ნინო ბურჯანაძემ თემატური უმრავლესობა დროის გაყვანის მცდელობაში დაადანაშაულა, ხოლო ირაკლი გოგავას მიერ წამოყენებულ ბრალდებას, თითქოს ბურჯანაძე ხელს უწყობს ოპოზიციონერებს მათთვის მისაღები საარჩევნო კოდექსის დამტკიცებაში, საკმაოდ მწარედ უპასუხა: **"თქვენ იკითხეთ, თორემ მე ეს 100 წელი არ მაინტერესებს. ქვეყანა რომ დაიქცეს, ნებისმიერ რაიონში მაჟორიტარულ არჩევნებში მაინც გავიმარჯვებო".**

დიდი ხმაურის მიუხედავად, გუშინ დეპუტატებმა კონკრეტული გამოსავალის მოძებნა მაინც ვერ შეძლეს. ასე რომ, პარლამენტარებს საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უკვე პლენარული სხდომის დარბაზში მოუწევთ - განიხილონ თუ არა ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტი თუ ეს პროცესი გაურკვეველი ვადით გადადონ.

„დაიკითხოს საქართველოს პრეზიდენტი"

ბელა მახარაძე

"თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო," - ასე ახსნეს "ნაციონალისტებმა" გუშინ პრეზიდენტის მიერ რადიოინტერვიუში გაკეთებული განცხადება, რომელშიც შევარდნაძე აცხადებს, რომ მან ზოგიერთი ბიზნესმენის დასახმარებლად საკუთარ უფლებამოსილებასაც კი გადააჭარბა.
კობა დავითაშვილმა, ჯერჯერობით, სიტყვიერად მიმართა გენერალურ პროკურორს, გამოიძიოს ეს საქმე და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ეჭვმიტანილად ცნოს. პრეზიდენტი საბოლოო დადანაშაულებამდე ხარების დღეასასწაულმა იხსნა, ზვიად ძიძიგურმა იგი შეიცოდა და თქვა, რომ "დღეისთვის საკმარისია, ხარებაა და შევიცოდოთ", შემდეგში კი შეიძლება პრეზიდენტი დაკითხონ.

კობა დავითაშვილი.

ბესო გულაგაძის ფოტო

გუშინ ეროვნულ ძალთა გაერთიანების წევრებმა ბრიფინგი გამართეს. მათი მთავარი მიზანი იყო მოწოდება ოპოზიციური პარტიებისათვის, განსაკუთრებით კი - "დემოკრატებისთვის", "ტრადიციონალისტებისათვის" და "ერთობისათვის", რომ თავი შეიკავონ და მხარი არ დაუჭირონ კანონპროექტს თეზის შესახებ, რადგან ეს იქნება იმ რეჟიმის ლეგალიზება, რომელიც დღეს საქართველოში არაკანონიერად არსებობს. აღინიშნა, აგრეთვე, რომ შესაძლოა ამან მათ მოლაპარაკებას გაერთიანების შესახებ ხელი შეუშალოს.

"**ამ კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს დღევანდელი რეჟიმის ლეგალიზებას, რომელსაც უკვე კარგად აქვს ფეხი მოკიდებული აჭარაში. ასეთი დრაკონული კანონის მიღება შევარდნაძისა და აბაშიძის რეჟიმს ხელ-ფეხს უხსნის,**" –განაცხადა დავით ბერძენიშვილმა. მან ჩამოთვალა იმ ადამიანების სია, რომელთაც ხელს აძლევს თეზის შესახებ კანონის მიღება: კახეთში - მეზვრიშვილი, ფოთში – ახვლედიანები, ქვემო ქართლში – მამალაძე. ზვიად ძიძიგურმა ამ სიას მიუმატა ჯორბენაძისა და რჩეულიშვილის ბიზნესი. ნაციონალები ამ კანონპროექტის მიღებას ქვეყნისათვის დამღუპველად მიიჩნევენ და იმედს გამოთქვამენ, რომ ხმის მიცემამდე ოპოზიციური პარტიები კარგად დაფიქრდებიან და არ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისათვის დამანგრეველი იქნება.

ამ თემაზე საუბრის შემდეგ კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებს მოასმენინა პრეზიდენტის ორშაბათის რადიოინტერვიუს ნაწყვეტი, სადაც შევარდნაძე ამბობს, რომ დღეს ყველასათვის კარგად ცნობილ ადამიანებს (ის გულისხმობდა როგორც ბიზნესმენებს, ასევე ხელისუფლებიდან ბიზნესში გადასულ პირებს) მან დიდი დახმარება გაუწია, მისი კომპეტენციის ფარგლებს ზემოთ. ამ სიტყვებს დავითაშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს და აცხადებს, რომ ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დავითაშვილი მოუწოდებს საქართველოს გენერალურ პროკურორს, დაკითხოს პრეზიდენტი, ათქმევინოს იმ ადამიანების გვარები, რომლებსაც ის თავის დროზე ეხმარებოდა და დაისაჯოს კანონით გათვალისწინებული სასჯელის შესაბამისად, რადგან ეს არის დანაშაულის აღიარება.

პრეზიდენტის დანაშაულში მხილებით კმაყოფილმა ზვიად ძიძიგურმა შევარდნაძის აღიარება ასე შეაფასა: "**თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო**". ნაციონალებმა ერთი დღისთვის საკმარისად ჩათვალეს პრეზიდენტის დადანაშაულება და შეიცოდეს ის, რადგან გუშინ ხარება იყო, ხოლო შემდეგისთვის აუცილებლად დაუბრუნდებიან ამ საკითხს და მთელი სერიოზულობით განიხილავენ, მაშინ კი პრეზიდენტს "ნაციონალისტების" რისხვისგან, ალბათ, აღდგომაც ვეღარ იხსნის.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეფავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

რუსთაველ "პარტმენთა" ვნებები

მაია მოსიაშვილი

საპარლამენტო არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე: რუსთავის მერი პრეზიდენტის კანცელარიას ემუქრება - საარჩევნო აგიტაციებს ჩაგიშლითო; რუსთაველი "ლეიბორისტები" მერიას ემუქრებიან - ხალხს ქუჩაში გამოვიყვანთო; მამალაძის შრომის ნაყოფი - რუსთავის "სმკ" მალე გამომზეურდება; "დემოკრატები" ჯერ-ჯეროობით სიჩუმეს ამჯობინებენ; "ედპ"-ელები გუბერნატორის კარებთან "აბირჟავებენ"; "ნაციონალები" არც მწვადს წვავენ და არც შამფურს; "ახლები" სად არიან, არავინ იცის...

"გოგიაშვილი იტყუება, როცა აცხადებს, რომ ბიუჯეტი შესრულებულია, ეს მოსახლეობისათვის თვალში ნაცრის შეყრაა. ადგილობრივი ბიუჯეტები ჩავარდნილია სწორედ იმ მიზეზით, რომ თანხების გადაქაჩვა ცენტრალურ ბიუჯეტში ხდება. კანცელარიაში ვუთახარი კიდეც - გაჩვენებთ, როგორ უნდა რუსთაველების აბუჩად აგდება-მეთქი. აგიტაციები რომ დასჭირდებათ და ჩამოვლენ, მე გამოვალ ხალხთან და ვეტყვი: პრეზიდენტის კანცელარია, მისი ზოგიერთი მაღალჩინოსანი არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რეგიონებში ხალხი უკეთ ცხოვრობდეს. ვაპირებ ცოტა მწარე წერილის მიწერას პრეზიდენტისადმი. წერილები მისი რეზოლუციებით თაროებზე აქვთ შემოდებული, გაუფასურდა მისი რეზოლუციები, ეს სახელმწიფოსთვის სირცხვილია," - ასეთი მკვეთრი პოლიტიკური განცხადება გაკეთა გუშინ რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა, რაც შესაძლოა იმასაც ნიშნავდეს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე რუსთავის მერი პრეზიდენტის კანცელარიას და მის პოლიტიკურ ინტერესებს დაუპირისპირდება.

ცოტა ხნის წინათ, მერი ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ არჩევნებამდე გამოაცხადებს იმ პოლიტიკური პარტიის ვინაობას, რომელსაც მხარს დაუჭერს. კულუარული ინფორმაციით, ტყეშელაშვილი საკმაოდ კარგ ურთიერთობაშია ზურაბ ჟვანიასთან და შესაძლოა მისი რჩეულიც ჟვანიას პარტია გახდეს. ამ ეჭვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ტყეშელაშვილის თანამებრძოლი ძველი "მოქალაქეები", რომლებთან ერთადაც გასულ ზაფხულს "სმკ" დატოვა, უკვე "გაერთიანებული დემოკრატები" არიან. იგულისხმებიან საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა მინდელი და ვიცე-მერი ზაზა იმედაშვილი. პირველი ქვემო ქართლის სამხარეო ორგანიზაციის კოორდინატორია, ხოლო მეორე - რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისა. იმედაშვილი რუსთავში "გაერთიანებული დემოკრატების" გეგმებზე ჯერ არ საუბრობს და დირექტივებს ცენტრიდან ელოდება. ჩვენი ინფორმაციით, "დემოკრატები" უახლოეს მომავალში რუსთავის საკრებულოში ფრაქციასაც შექმნიან. მათ იქ სამი კაცი უკვე ჰყავთ, თუმცა შესაძლებელია, ფრაქცია პარტიული ნიშნით არც ჩამოყალიბდეს, ისევე როგორც ახლახან შექმნილი ფრაქცია "რუსთავი", რომელშიც "აღორძინების", "მრეწველების" და "ახლების" თითო-თითო წევრი გაერთიანდა. საკრებულოს კულუარებში არავინ მალავს, რომ "რუსთავი" მამალაძის მხარდამჭერია და მისი წევრებიც ღიად დადიან გუბერნატორთან კონსულტაციებზე. ასევე იქცევიან რუსთაველი "ედპ"-ელებიც, რომლებიც მუდამ იყვნენ ოპოზიციაში ტყეშელაშვილთან. მამალაძის "ბანაკს" აგვირგვინებს განახლებული "მოქალაქეთა კავშირი". მისი რეინკარნაციის პროცესი მკაცრად გასაიდუმლოებულია. გამოჟონილი ინფორმაციით, ახალი "სმკ"-ს ბირთვი ძველი ლეიბორისტები და კონსტიტუციური უფლებების დაცვის კავშირის წევრები არიან. ყოფილი ლეიბორისტი დავით კაპანაძე საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედაც სახელდებოდა. კაპანაძე ახლახან გუბერნატორის რეკომენდაციით ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის ხელმძღვანელად დანიშნეს. **"მისი ფიგურის პოლიტიზირება რომ არ მოხდეს, არათუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, წევრიც კი აღარ იქნება,"** - განუცხადა "24 საათს" "სმკ"-ს რუსთავის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ედიშერაშვილმა. მისივე ინფორმაციით, 19 აპრილს რუსთავის "სმკ"-ს კონფერენცია ჩატარდება, სადაც ბევრი რამ გაირკვევა.

წინასაარჩევნო კამპანია დიდი ხანია დაიწყეს რუსთაველმა "ნაციონალებმა". მათი "პენსიონერების აქცია" დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში, თუმცა ისინი ძალიან მოიკოჭლებენ იმ მიმართულებით, რომლითაც მათი პარტიის თავმჯდომარემ დედაქალაქში სახელი გაითქვა - მკვეთრი დაპირისპირება მერიასთან, ან უკანონო მშენებლობების საწინააღმდეგო აქცია რუსთაველ "ნაციონალებს" პრიორიტეტად არ გაუხდიათ.

სამაგიეროდ უკვე გაირკვა, რომ მერიასთან დაპირისპირებას მთავარ საარჩევნო ანკესად "ლეობორისტები" გამოიყენებენ. **"რუსთავში არ არის წყალი, ელექტროენერგია, გზა. ნაგავს მიაქვს ქალაქი. უახლოეს დღეებში ვქმნით შრომის პარტიის მხარდამჭერთა მოძრაობას. დავწერთ პეტიციას ქალაქის ხელმძღანელობის სახელზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით. თუ ისინი არ შესრულდება, დავიწყებთ მასობრივ გამოსვლებს. ჩვენ ვგეგმავთ, რომ მასას, ხალხს ორგანიზება გავუკეთოთ,"** - განაცხადა გუშინ რუსთაველ ლეიბორისტთა კოორდინატორმა ზაზა ჯანიკაშვილმა. პარტია აქცენტს რუსთავის ენერგომომარაგებაში არსებულ ქაოსზე აკეთებს და ამაში მერიასთან ერთად კერძო ენერგოკომპანიას "რუსთავმშენ-2000"-ს ადანაშაულებს. **"ქალაქის მერი არ უნდა ხედავდეს, ობობას ქსელივით რომ გადაიჭიმა სადენები ქალაქში?! ელექტროენერგია 12 და 14 თეთრად იყიდება. "რუსთავმშენ-200"-მა თავისი არეალი დაარღვია, 10 კილოვატიანი ხაზი ჰაერში უკანონოდ გადაჭიმა. ისინი ყველაფერს უკანონოდ აკეთებენ,"** - აცხადებს ლეიბორისტი ლავრენტი ალანია. ის კერძო კომპანიის კრიმინალური საქმიანობის მფარველად მერიის ჩინოვნიკებს მოიაზრებს, თუმცა პიროვნებების დასახელებას თავს არიდებს. ხალხში გავრცელებული ინფორმაციით, "რუსთავმშენი-2000" საწარმოების, ორგანიზაციების საშუალებით, მათ ხელმძღვანელებთან გარიგების გზით აწვდის მოსახლეობას შუქს, რადგან კანონით ამისი უფლება არ აქვს. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია "რუსთავის ელექტროკავშირიცაა", რომლის მმართველი თომა ჩალაძე "ლეიბორისტული" პარტიის წევრია. "ლეიბორისტთა" ლიდერებმა ეს ინფორმაცია ვერც უარყვეს და ვერც დაადასტურეს.

იმერეთის გუბერნატორს მოკვლით ემუქრებიან



თემურ შაშიაშვილი.

ბესო ბესელიძის ფოტო

ვირველი გვერდიდან

პირდაპირ მეუბნება, ვისი დავალებითაც რეკავს, ზოგიც ახლობლურად მირჩევს, რაღაცას ყური მოვკარი და ფრთხილად იყავიო. ერთ-ერთმა სახლშიც დარეკა. ეს უკანასკნელი შემთხვევა უკვე გამოძიებულია და პიროვნების ვინაობაც დადგენილია. ასევე არსებობს ჩამონათვალი იმ საწარმოთა და ორგანიზაციებისა, რომელთა წინააღმდეგ მოქმედებას, თურმე, უნდა მოვერიდო. გამაფრთხილეს, რომ რამდენიმე ქარხანას თუ არ დაგვითმობთ, მოგკლავთო. მიუხადავად ამისა, მე "სატრაქტორ" და "ავტოქარხნების" პრივატიზების კანონიერების საკითხებს არ მოვეშვები. მიმაჩნია, რომ თუკი კრიმინალური მდგომარეობა არ შეიცვლება, საქართველოს მომავალი არა აქვს," - აცხადებს შაშიაშვილი.

კონკრეტულ სახელებს შაშიაშვილი არ ასახელებს და მხოლოდ მინიშნებებს აკეთებს.

"სამი დღის წინ ერთ-ერთ ტელევიზიას ინტერვიუ მივეცი, სადაც კალაშვილი, ტარიელ ონიანის და სხვების გვარები დავასახელე. აღნიშნული ინტერვიუ სატელევიზიო ეთერით არ გადაუცია, მაგრამ ამ პირებმა ყველაფერი შეიტყვეს," – ამბობს იმერეთის გუბერნატორი.

პრეზიდენტის რწმუნებულს მსგავსი შინაარსის განცხადება პირველად არ გაუკეთებია. შარშან თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში შაშიაშვილმა განაცხადა, უცხოეთში მცხოვრები ქურდები მოკვლით მემუქრებიანო. რწუნებულმა გვარები არც მაშინ დაასახელა, თუმცა, როგორც ამბობენ, საუბარი იყო ტარიელ ონიანზე. ამას შაშიაშვილის მაშინდელი მინიშნებებიც ადასტურებდა.

"ეს ამბავი უცხოეთში მყოფმა ინტელიგენციის წარმომადგენელმა გადმომცა, იქ მცხოვრები ქურდები მათ კარგად ხვდებიან და საუცხოოდ მასპინძლობენ. მანამდე კი მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა გამომიგზავნა წერილი. იქ მოთხრობილია ქურდები სად იკრიბებოდნენ, რაზე საუბრობდნენ, როგორ მემუქრებოდნენ და ასე შემდეგ... წერილში აღწერილია საქართველოში ნარკოტიკების შემოტანის მარშრუტები და სხვა კრიმინალური გეგმები... მოყვანილ ფაქტებში ბევრი მაღალი თნამდებობის პირი და პოლიციელი იყო გარეული. წერილი უშიშროების საბჭოს მაშინდელ მდივანს ნუგზარ საჯაიას ვაჩვენე და დღესაც შენახული მაქვს. საჯაიას ვკითხე, რა ვქნათ-მეთქი, ერთი კვირის განმავლობაში ვფიქრობდით, ვისთვის გაგვენდო ეს საქმე. ვიღაცას ოპერაცია ხომ უნდა ჩაეტარებინა? გესმით, რა ხდება ქვეყანაში?" - ასეთი განცხადება გააკეთა შაშიაშვილმა.

მუქარისგან თავის დაზღვევის მიზნით, მან რამდენიმე ადგილზე დალუქული წერილები დატოვა, რომელშიც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე ქურდისა და პოლიტიკოსის გვარი იყო მოხსენებული. შაშიაშვილი ამ წერილების გახსნას და საეჭვო პირთა სიის გაზრდას აპირებს.

პრეზიდენტის ბრიფინგი - რჩევებით და დამადლებით

საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი ტრადიციული რადიოინტერვიუ და ბრიფინგი უჩვეულოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ედუარდ შევარდნაძე, რომელიც გუშინ მეტისმეტად კარგ განწყობაზე გახლდათ, საკუთარ მოსაზრებებს ჟურნალისტებს ორი საათის განმავლობაში უზიარებდა.

პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ახალი პოლიტიკური ბლოკის შექმნას გამოეხმაურა:

"ერთი თვის განმავლობაში ბლოკის მონაწილეთა საბოლოო სია შედგება, რომელშიც უკვე "სოციალისტები" და მოძრაობა "დიდი აბრეშუმის გზით" შევიდნენ. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე სხვადასხვა ძალებთან კონსულტაციებს აწარმოებს, რათა მათი ბლოკში ჩართვა მოხდეს." შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, ბლოკი მომავალ არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოლებსო და იხუმრა, რომ მას არჩევნების მოსაგებად უცხოელი იმიჯმეიკერები არ დასჭირდება.

პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ საქართველოს კურსის გაგრძელების გარანტიების შექმნისათვის ჩამოყალიბდა.

"ამ კურსს ქვეყნის შიგნით აშკარად უჭერენ მხარს, თუმცა ცალკეული ძალები მას ფარულად და შენიღბულად ეწინააღმდეგებიან," – განაცხადა მან. საარჩევნო ბლოკის მომავალ სტრატეგიაზე საუბრისას შევარდნაძემ აფხაზეთის და ცნობილი "სინქრონულობის" საკითხიც გაიხსენა.

ერაყთან დაკავშირებით იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ამ ქვეყნის "აღდგენაში" საკუთარ წვლილს შეიტანს, თუმცა უარყო გავრცელებული ინფორმაცია ანტიტერორისტული ასეულების ერაყში გაგზავნის თაობაზე.

მან არც საქართველოში აშშ-ს ბაზების გახსნის შესაძლებლობა დაადასტურა და რუსეთს საკუთარი ბაზების სტამბულის ხელშეკრულების შესაბამისად გაყვანაც ურჩია.

გეორგიევსკის ტრაქტატის წლისთავის აღსანიშნავად დღესასწაულის გამართვა-არგამართვაზე საუბრისას ჩენა მართლაც მეტისმეტად გამაღიზიანებელი გახლდათ.

ამიტომაც დაიწყო იმ ბერკეტების ამოქმედება, რომელიც მმართველობის პერიოდში დააგროვა:

ამიტომაც დაიწყო საუბარი ხმების ყიდვაზე, ამიტომ გაახმოვანებინა მუქარა სახელმწიფო მინისტრს, ამიტომაც დასვა სასწრაფოდ ერთ მაგიდასთან დაქსაქსული პროშევარდნაძისტული ძალები, მათ შორის - "აბრეშუმის გზაში" გაერთიანებული ბიზნესმენებიც, ყველას თავისი ადგილი მიუჩინა და შექმნა საარჩევნო ბლოკი, რომელსაც, წინასწარი დაპირებების საწინააღმდეგოდ, თავად ჩაუდგა სათავეში.

მეტიც – შევარდნაძესთან გამართული შეხვედრიდან გამოსული რჩეულიშვილი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მარიამ ცაცანაშვილი, რომელიც საეჭვოა, პრეზიდენტთან შეუთანხმებელ განცხადებებს აკეთებდეს, უკვე ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ის ბიზნესმენები, ვინც ამ ხელისუფლებამ ფეხზე დააყენა, ახალი გაერთიანების დამფინანსებლებად უნდა იქცნენ (პატარკაციშვილის შემთხვევაში, ცხადია, "ფეხზე დაყენების" არა, მაგრამ – თავშესაფარის მიცემის არგუმენტი ჰქონდა მოშველიებული ხელისუფლებას).

მართალია, გუშინდელ ბრიფინგზე ამ განცხადებების შინაარსი საქართველოს პრეზიდენტმა **"არ გაიზიარა"**, მაგრამ დავით გამყრელიძისთვის იმის შეხსენებით, რომ თავის დროზე სახელმწიფო მეთაურის აპარატში მოიყვანა, შემდეგ – მონოპოლისტურ გარემოში ამუშავა (რატომ? ამ კითხვაზე პრეზიდენტს არ უპასუხია), დაადასტურა, რომ ქართული ბიზნესისგან დღესაც ხარკს ითხოვს.

გადაწყვეტენ თუ არა ამ ხარკის გაღებას "სინდისაამბოხებული" ბიზნესმენები, დღეს საბოლოოდ გარკვეული არ გახლავთ. თუმცა, უდავოდ საყურადღებოა, რომ უკვე კვირას, ჟურნალისტებთან საუბრისას, აშკარად უკან დაიხიეს როგორც გადასახადის გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა, ისე ბადრი პატარკაციშვილმა, რომლებმაც შევარდნაძის კურსის ერთგულება დაადასტურეს.

საინტერესოა ისიც, რომ გუშინდელ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტი ბოლო პერიოდისთვის უჩვეულოდ კარგ ხასიათზე გახლდათ. ხუმრობდა აბსოლუტურად ყველა თემაზე - ჟურნალისტების ხელფასით დაწყებული და "ახლების" "პიარშიკებით" დამთავრებული; ხალისობდა და გამარჯვებული სახით ამშვიდებდა სამწყსოს, რომ ახალი გაერთიანებების და მხარდაჭერის მიუხედავად, პოლიტიკურ სცენაზე მესამე ვადით არჩევის საკითხის შემოგდებას არ აპირებს.

"24 საათი"

რამ გაახალისა პრეზიდენტი

ვირველი გვერდიდან

ცხადია, გასულ არჩევნებში გამარჯვებულ საქართველოს პრეზიდენტს ამ მინიშნებების გაკეთება და მკვეთრი განცხადებებით გამოსვლა თავის დროზე არ დასჭირვებია. მაშინ ქართული ბიზნესი, ძირითადად, ერთ – სახელისუფლებო ყულაბაში ყრიდა ფულს და ედუარდ შევარდნაძესაც არ უხდებოდა სახელისუფლებო ბერკეტებით დამუქრება იმათთვის, ვინც მასთან არ არის.

დიდი ბიზნესი საქართველოს პრეზიდენტის დასაყრდენი გახლდათ, საქართველოს პრეზიდენტი კი - მისი რეალური "ლობი" და გარანტი.

ერთადერთი, ვისი ფულიც გასულ არჩევნებში შევარდნაძის წინააღმდეგ ამოქმედდა, ასლან აბაშიძე იყო და ამის ფინანსური შედეგი იწვნია კიდეც საკუთარ თავზე. ცენტრსა და რეგიონს შორის გართულებული საბიუჯეტო ურთიერთობებიც, ძირითადად, სწორედ ბიზნეს-ინტერესების კონფლიქტის გამოხატულება გახლავთ.

ფინანსური გადანაწილების პერიოდი საქართველომ ძალიან მძიმედ, მაგრამ მაინც გადაიტანა.

გარიგებები, რომლებიც არაერთ შემთხვევაში სახელმწიფოს და ხალხის საზიანოდ შედგა, საბოლოო ჯამში იმ სტაბილურობას უზრუნველყოფდა, რომელიც დღეს, საგარეო ფრონტზე მიღწეულ გარკვეულ პროგრესთან ერთად, შევარდნაძის ხელისუფლების თითქმის ერთადერთ დამსახურებად ითვლება.

ფაქტია, და ამას დღეს ვერავინ გაექცევა, რომ ხელისუფლების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტები, ქვეყნის ხელისუფლების კორუმპირებულობის გამო კაპიკებად "გაპრივატიზებული" ქონება, ხელოვნურად, ანუ ისევ და ისევ ხელისუფლების წყალობით შექმნილი მონოპოლისტური გარემო ნავთობის თუ სხვა ბიზნესში - ერთი სიტყვით, კრიმინალური ფული იყო ის საწყისი კაპიტალი, რომელზეც დღევანდელი დიდი ბიზნესის არა ყველა, თუმცა დიდი ნაწილია აშენებული. მაგრამ, ეს არ გახლავთ განსაკუთრებული შემთხვევა მსოფლიო პრაქტიკაში. ასეთი პერიოდი ყველა ქვეყანამ გაიარა.

საქართველოს ჰქონდა შანსი, ეს ეტაპი წარმატებით დაეძლია, თუმცა მმართველი ძალების მეშვეობით მოხერხდა ის, რომ საქართველო ამ მხრივ შედარებით უარესთა რიგში, ანუ სამხრეთ ამერიკული სახელმწიფოების ტიპის ქვეყნების ნუსხაში ჩაეწერა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ იყო მცდელობები, ზოგჯერ საკმაოდ უხერხემლოც, "მოჯადოებული წრის" გარღვევისა.

ჯერ კიდევ 1998 წელს გახმოვანდა ფინანსთა ახალგაზრდა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის იდეალისტური იდეა "ფინანსური ამნისტიის" გამოცხადების თაობაზე, რაც მის ენაზე ასე ჟღერდა: დიდ ბიზნესს კანონის ძალით ეძლეოდა გარანტიები, "შეენდობოდა" ცოდვები - საგადასახადო დავალიანებები, დაიწყებოდა ახალი ათვლა და სახელმწიფო, რომელიც უკვე პირნათელი იქნებოდა ბიზნესმენის წინაშე, მოსთხოვდა მას კანონის აღსრულებას, ანუ ბიზნესის გათეთრების სტიმულს მისცემდა.

ახალგაზრდა, ამ საკითხში იდეალისტი მინისტრის გათვლა ასეთი გახლდათ: აშშ-ში მეოცე საუკუნის შუახანს მივიდნენ იმ აზრამდე, რომ კანონიერების დაცვა ერთადერთი გარანტია იქნებოდა თუნდაც არაკანონერი გზებით მოპოვებული ქონების შენარჩუნებისა. ქართველები რითი ვართ ნაკლებნი?

მაშინ ექსპერტების დიდი ნაწილი მიხვდა, რომ იდეის "გაუთვლელობა" დამღუპველი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო და ექსპერტთა ვარაუდი მართლაც ძალიან მალე გამართლდა. მაშინ არც ბიზნესი და არც ხელისუფლება არსებული წონასწორობის დასარღვევად მზად არ აღმოჩნდა. შევარდნაძით ზურგგამყარებულმა ბიზნესმენებმა, "შენდობის" იმედით, საერთოდ უარი თქვეს გადასახადების გადახდაზე და ჭკუასელსაც საკუთარი "ამნისტია" ავად შემოუბრუნდა.

მაშინ, გასული არჩევნების წინ, ედუარდ შევარდნაძეს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა ერთი საარჩევნო ვადა და პრეზიდენტის ოჯახს ამ ვადის "ხელიდან გაშვება" არ სურდა; ხელისუფლების ხელშეწყობით წარმატებამიღწეულ ბიზნესს კი მოჯადოებული წრის გარღვევა არ უნდოდა, ან არ შეეძლო, რადგან ქვეყანაში წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკის გამო, უკვე ალტერნატივა აღარ ჰქონდა.

შევარდნაძეს სჭირდებოდა გარანტია იმისა, რომ მომავალ არჩევნებში თუ თავად არა, მის მემკვიდრეს მაინც ქართული ბიზნესის მხარდაჭერა უზრუნველყოფილი ჰქონოდა. ამისათვის კი ეს ბიზნესი მასზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული – ანუ უნდა ყოფილიყო ოჯახის ხელში. ოჯახის მიღმა დარჩენილ ბიზნესსაც დიდი საგადასახადო დავალიანებები, დროებით შერჩენილი კრედიტები და ა.შ. მოკლედ – კომპრომატები უნდა ჰქონოდა.

ედუარდ შევარდნაძის "სასახელოდ" უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ კანონით ყველა ბერკეტი გააჩნდა იმისათვის, რათა არგადამხდელების თუ სხვა სახის დამრღვევების წინააღმდეგ შესაბამისი ზომები მიეღო, ამ მიმართულებით არაფერი გააკეთა. საანაცვლოდ კი დაამკვიდრა კორუფციული კანონები და ამით თითქმის მთელი ქართული ბიზნესი ჩინოვნიკებზე დამოკიდებული დატოვა.

ქართველ ბიზნესმენთა დიდი ნაწილის სამარცხვინოდ კი უნდა ითქვას, რომ იგი შევარდნაძეს ამ კორუფციულ თამაშებში ბოლომდე ჩაჰყვა და "იდეალისტური ოცნება" - ქართული ბიზნესის გათეთრების თაობაზე - ოცნებადვე დატოვა.

2000 წლის შემდეგ, შიდაპოლიტიკური ბალანსის მსგავსად, ბიზნეს-წონასწორობაც დაირღვა და შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის გასვლის მოახლოების პირდაპირპროპორციულად ბიზნეს-დაპირისპირებები გააქტიურდა. 21-ე საუკუნის დასაწყისი სერიოზული ბიზნეს-შერკინებებით აღინიშნა, იქნებოდა ეს შეჯახება პრეზიდენტის ოჯახის შიგნით (გაიხსენეთ დაპირისპირება პიროლიზური ფისის თემაზე ახალედიანებსა და ნუგზარ შევარდნაძეს შორის), ბორჯომის თემაზე ატეხილი დავა თოფაძისა და ხაზარაძის ჯგუფებს შორის, იგივე ბორჯომის საკითხის გამწვავება ნავთობსადენთან დაკავშირებით, ავიაციაში გამწვავებული ბიზნეს-ურთიერთობები თუ ენერგეტიკულ სექტორში კვლავ დაწყებული გადანაწილება, რისი შედეგებიც მიმდინარე წელს საკუთარ თავზე ყველაზე მძიმედ საზოგადოებამ იწვნია.

ამ დაპირისპირების ძირითადი მიზეზი პრეზიდენტის ოჯახისა და გარემოცვის მიერ რაც შეიძლება მეტი სფეროს ხელში აღების მცდელობა გახლდათ. ცხადია, ოჯახს მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ კერძო საკუთრება დღევანდელ მსოფლიოში "წმიდათაწმიდაა" და ყოველგვარ პოლიტიკურ პატრონაჟს სჯობს.

ამ ბრძოლამ ქართული დიდი ბიზნესი გახლიჩა, რისი გამოხატულება იყო კიდეც ის მიმართვა, რომელიც გასულ კვირას დაიწერა.

შევარდნაძის რეაქცია იმაზე მწვავე აღმოჩნდა, ვიდრე ბიზნესმენები მოელოდნენ. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი: რომ არა პატარკაციშვილის განცხადება მისთვის სიმპათიური პარტიების შესახებ, ბიზნესმენთა წერილს, შესაძლოა, არავითარი რეაგირებაც არ მოჰყოლოდა, მაგრამ...

პატარკაციშვილის მიერ "აქცენტგასაკეთებელ" პარტიებად ოპოზიციური პარტიების დასახელებამ (აქ იმდენად მნიშვნელოვანი თავად პარტიების სახელწოდება არ არის, რამდენადაც ის, რომ ორივე მათგანი შევარდნაძის ოპოზიციური პოლიტიკური ძალა გახლავთ) ცხადყო, რომ შევარდნაძე მხარდამჭერი ბიზნესის ნაწილს კარგავდა. ცხადია ისიც, რომ აქ მარტო პატარკაციშვილზე არ იყო საუბარი.

შევარდნაძისთვის, რომლის საარჩევნო იმედები, ძირითადად, ურეიტინგო, მაგრამ ფინანსურად წელმაგარ ძალებზე, ოდიოზურ, მაგრამ "წარმატებული ბიზნესის" მეპატრონე ფიგურებზე გახლავთ დამყარებული, მის წინაღმდეგ სერიოზული ფინანსების გამოყენება მან. საარჩევნო ბლოკის მომავალ სტრატეგიაზე საუბრისას შევარდნაძემ აფხაზეთის და ცნობილი "სინქრონულობის" საკითხიც გაიხსენა.

ერაყთან დაკავშირებით იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ამ ქვეყნის "აღდგენაში" საკუთარ წვლილს შეიტანს, თუმცა უარყო გავრცელებული ინფორმაცია ანტიტერორისტული ასეულების ერაყში გაგზავნის თაობაზე.

მან არც საქართველოში აშშ-ს ბაზების გახსნის შესაძლებლობა დაადასტურა და რუსეთს საკუთარი ბაზების სტამბულის ხელშეკრულების შესაბამისად გაყვანაც ურჩია.

გეორგიევსკის ტრაქტატის წლისთავის აღსანიშნავად დღესასწაულის გამართვა-არგამართვაზე საუბრისას ჩენა მართლაც მეტისმეტად გამაღიზიანებელი გახლდათ.

ამიტომაც დაიწყო იმ ბერკეტების ამოქმედება, რომელიც მმართველობის პერიოდში დააგროვა:

ამიტომაც დაიწყო საუბარი ხმების ყიდვაზე, ამიტომ გაახმოვანებინა მუქარა სახელმწიფო მინისტრს, ამიტომაც დასვა სასწრაფოდ ერთ მაგიდასთან დაქსაქსული პროშევარდნაძისტული ძალები, მათ შორის - "აბრეშუმის გზაში" გაერთიანებული ბიზნესმენებიც, ყველას თავისი ადგილი მიუჩინა და შექმნა საარჩევნო ბლოკი, რომელსაც, წინასწარი დაპირებების საწინააღმდეგოდ, თავად ჩაუდგა სათავეში.

მეტიც – შევარდნაძესთან გამართული შეხვედრიდან გამოსული რჩეულიშვილი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მარიამ ცაცანაშვილი, რომელიც საეჭვოა, პრეზიდენტთან შეუთანხმებელ განცხადებებს აკეთებდეს, უკვე ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ის ბიზნესმენები, ვინც ამ ხელისუფლებამ ფეხზე დააყენა, ახალი გაერთიანების დამფინანსებლებად უნდა იქცნენ (პატარკაციშვილის შემთხვევაში, ცხადია, "ფეხზე დაყენების" არა, მაგრამ – თავშესაფარის მიცემის არგუმენტი ჰქონდა მოშველიებული ხელისუფლებას).

მართალია, გუშინდელ ბრიფინგზე ამ განცხადებების შინაარსი საქართველოს პრეზიდენტმა **"არ გაიზიარა"**, მაგრამ დავით გამყრელიძისთვის იმის შეხსენებით, რომ თავის დროზე სახელმწიფო მეთაურის აპარატში მოიყვანა, შემდეგ – მონოპოლისტურ გარემოში ამუშავა (რატომ? ამ კითხვაზე პრეზიდენტს არ უპასუხია), დაადასტურა, რომ ქართული ბიზნესისგან დღესაც ხარკს ითხოვს.

გადაწყვეტენ თუ არა ამ ხარკის გაღებას "სინდისაამბოხებული" ბიზნესმენები, დღეს საბოლოოდ გარკვეული არ გახლავთ. თუმცა, უდავოდ საყურადღებოა, რომ უკვე კვირას, ჟურნალისტებთან საუბრისას, აშკარად უკან დაიხიეს როგორც გადასახადის გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა, ისე ბადრი პატარკაციშვილმა, რომლებმაც შევარდნაძის კურსის ერთგულება დაადასტურეს.

საინტერესოა ისიც, რომ გუშინდელ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტი ბოლო პერიოდისთვის უჩვეულოდ კარგ ხასიათზე გახლდათ. ხუმრობდა აბსოლუტურად ყველა თემაზე - ჟურნალისტების ხელფასით დაწყებული და "ახლების" "პიარშიკებით" დამთავრებული; ხალისობდა და გამარჯვებული სახით ამშვიდებდა სამწყსოს, რომ ახალი გაერთიანებების და მხარდაჭერის მიუხედავად, პოლიტიკურ სცენაზე მესამე ვადით არჩევის საკითხის შემოგდებას არ აპირებს.

ვაკანსია!

საწარმოთა რესტრუქტურიზაციის და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA)

აცხადებს კონკურსს ფინანსების, მარკეტინგის, ზოგად და ოპერაციათა მენეჯმენტის სპეციალობის ბიზნეს-კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ **CERMA**-ს ინტერნეტ-გვერდი: **www.cerma.ge** სათაური: <თანამშრომლები>; ქვესათაური; <ვაკანსიები>.

საბუთების (თანმხლები წერილი და CV) მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 18 აპრილი 18 სთ-მდე. მისამართზე: ალ. ყაზბეგის 42 ა, ფაქსი: (995 32) 30 77 03, ელ-ფოსტა: **mailbox@cerma.ge**

შენიშვნა: იმ პირთა განცხადებებს, რომელთაც 2002წლისათვის უკვე მიმართეს CERMA-ს სამუშაოზე მოწყობის სურვილით, აღარ განვიხილავთ.

United Nations Development Programme

UNDP Georgia

UNDP

განცხადება

გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს წინადადებების მიღებას GIS-ის ბაზაზე სიღარიბის რუკის დასამუშავებლად. სამუშაოს აღწერილობა იხილეთ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge. წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნას გაეროს განვითარების პროგრამის ოფისში 21 აპრილის სამუშაო დღის ბოლომდე. დაინტერესებული კომპანიებისთვის საინფორმაციო სესია ჩატარდება 14 აპრილს, 15:00 საათზე გაეროს სახლში. მისამართი: ერისთავის ქ. №9.

ბაღდადში ჰუსეინის მთავარი სასახლე კოალიციის ხელშია

პირველი გვერდიდან

უნდა აღინიშნოს, რომ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ამერიკელი სამხედროების განცხადებით, აშშ-ს არმიის ქვედანაყოფები ბაღდადში პოზიციების შენარჩუნებას არ აპირებენ. საagენტო "ბი-ბი-სი-"ს კორესპონდენტის ცნობით, კოალიციის სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბაღდადის ცენტრში განხორციელებული რეიდი შაბათის მოვლენის ანალოგიურია. ამჯერად, ამერიკელი სამხედროების მარშრუტი – პრეზიდენტის სასახლეები და ინფორმაციის სამინისტრო, სპეციალურად იქნა ამორჩეული. ამ ოპერაციის ფსიქოლოგიური ეფექტი სამხედროზე არანაკლებია. ამერიკის არმიის დანაყოფებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ქალაქში შესვლა ნებისმიერ დროს შეუძლიათ. გარდა ამისა, ორშაბათის ოპერაციის კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენდა ერაყის მოსახლეობის დარწმუნება, რომ მათი ინფორმაციის მინისტრი ცრუობს, როცა აცხადებს, რომ მოკავშირეთა ჯარები უკვე სულს ღაფავენ. ამერიკელი გენერლები დარწმუნებულები არიან, რომ სულ მალე დადგება მომენტი, როცა სადამსა და მისი ხელქვეითებს აბსოლუტურად ყველა ბერკეტი გამოეცლებათ ხელიდან.

თუმცა სხვაგვარად ფიქრობს თავად ერაყის ხელისუფლება და მისი მთავარი პროპაგანდისტი მოჰამედ საიდ ალ-საჰაფი. იმ დროს, როდესაც საერთაშორისო სააგენტოები ბაღდადის ცენტრში ამერიკული ქვედანაყოფების შესვლის თაობაზე იუწყებოდნენ, მან ქალაქის იგივე ცენტრალურ ნაწილში ჟურნალისტებისათვის სახელდახელო ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ დედაქალაქი საიმედოდ არის გამაგრებული და ამერიკელთა შეტევა მოგერიებულია. **"ეს ურწმუნოები ბაღდადის კარიბჭესთან ასობით მოემართებიან სიკვდილის შესახვედრად. იყავით მშვიდად. ბაღდადი უსაფრთხოდ არის დაცული. ერაყელები გმირები არიან!"** - განაცხადა ერაყის ინფორმაციის მინისტრმა. სააგენტო "ბი-ბი-სი" არ იუწყება, თუ კონკრეტულად სად ჩაატარა მან ბრიფინგი.

მოგვიანებით კი, საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა ბაღდადში გააფთრებული ბრძოლების მიმდინარეობის თაობაზე. სააგენტო "ბი-ბი-სი" იუწყებოდა, რომ ამერიკული რეიდის მიუხედავად, ქალაქის უდიდეს ნაწილს კვლავ ერაყელები აკონტროლებენ. უნდა ითქვას, რომ ინფორმაციის სიმრავლე და სიჭრელე ბაღდადში არსებული რეალური სურათის წარმოდგენას საგრძნობლად ართულებს. "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტი ბაღდადიდან იუწყება, რომ ამერიკული ქვედანაყოფები ბაღდადის ცენტრში რესპუბლიკური სასახლის და სასტუმრო "რაშიდის" მიმდებარე რაიონს აკონტროლებენ, ხოლო პარალელურად, სადამის ფადაინებს ამ ტერიტორიის გარშემო აქვთ პოზიციები გამაგრებული. საინტერესოა, რომ ქალაქში რესპუბლიკური არმიის ნაწილები არ ჩანან.

ბაღდადის ბრძოლების თაობაზე იტყობინება ბრიტანული ტელეკომპანია "სკაიც," რომლის თანახმადაც ბაღდადში ხიდების უმრავლესობა ერაყელთა კონტროლქვეშ არის მოქცეული და ბრძოლები, ძირითადად, ბაღდადის ცენტრსა და გარეუბნების ვიწრო ქუჩებში მიმდინარეობს. ერთ-ერთი ხიდისათვის ბრძოლის დროს, ბაღდადის აღმოსავლეთ რაიონში აშშ-ს საზღვაო ქვეითი ჯარის ორი მებრძოლიც დაიღუპა. ამის თაობაზე კი სააგენტო "როიტერს" საზღვაო ქვეითთა სერჟანტმა მარვინ კროუფორდმა განუცხადა. მისი თქმით, ისინი დაჯავშნულ ამფიბიაში ისხდნენ, რომელიც ხიდისკენ მიემართებოდა. ამფიბიას საარტილერიო ჭურვი მოხვდა. სერჟანტის ინფორმაციით, საარტილერიო ბრძოლებისგან ხიდები ძლიერ არის დაზიანებული, რაც მათზე ტანკებისა და ჯავშანტექნიკის მიმოსვლას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ერაყელთა მიერ გაშვებული რაკეტა ბაღდადის სამხრეთით მდებარე მოკავშირეთა საკომუნიკაციო ცენტრს მოხვდა. დაიღუპა ოთხი ადამიანი, ორი ჟურნალისტი და ორი ჯარისკაცი.



ბასრას დიდ ნაწილს ბრიტანელები აკონტროლებენ

ბაღდადში ამერიკული რეიდის პარალელურად, ბრიტანული "უდაბნოს ვირთხები" ერაყის სამხრეთის ქალაქ ბასრაში წინ მიიწევენ. როგორც იუწყებიან, ბრიტანეთის სამხედრო დანაყოფები უკვე ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ. ერაყელი მებრძოლები ქალაქის ძველ ნაწილში არიან გამაგრებულები, თუმცა მათი პოზიციები უკვე საკმაოდ შეთხელებულია.

გენერალ-მაიორ პიტერ ოულის თქმით, ბასრაში ჯერ კიდევ არის დარჩენილი "წინააღმდეგობის კერები" და მოწინააღმდეგეს კონტრიერიშების განხორციელება ჯერჯერობით ისევ შეუძლია. ყატარში ბაზირებული კოალიციის სარდლობა ბასრასთვის წარმოებულ ბრძოლებს საკმაოდ წარმატებულად მიიჩნევს. მოკავშირეთა სამხედრო ხელმძღვანელები დარწმუნებულები არიან, რომ ბასრაზე სრული კონტროლი რამდენიმე დღეში დამყარდება.

როგორც ცნობილია, ბასრაზე შეტევა კვირას, გამთენიისას დაიწყო. ქალაქზე იერიში რამდენიმე ათასმა "უდაბნოს ვირთხამ" ასობით მძიმე ტექნიკის მხარდაჭერით განახორციელეს. საღამოთი ბრიტანელებმა ქალაქის ცენტრში თავად ბაასის პარტიის შტაბ-ბინის განადგურება შეძლეს. ბრიტანელი ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ქალაქის მოსახლეობა მათ სიხარულით შეეგება. გუშინვე ბასრაში ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება დაიწყეს. **"ჩვენ ვცდილობთ ვუჩვენოთ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მათთვის ნორმალური ცხოვრების დაბრუნებისათვის ყველაფერს გავაკეთებთ, სადამის რეჟიმისაგან გათავისუფლების შემდეგ,"** - განაცხადა ბრიტანეთის სამხედრო ძალების წარმომადგენელმა ელ ლოკვუდმა.

"ქიმიური ალი" - მკვდარი თუ ცოცხალი?

გუშინვე გავრცელდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ბასრაში სადამ ჰუსეინის ბიძაშვილის – ალი-ჰასან ალ-მაჯიდის, იგივე "ქიმიური ალის" გვამი იპოვეს. სააგენტო "ასოშეიტედ პრესმა" ამის დასტურად ბრიტანეთის არმიის წარმომადგენლის მაიორ ენდრიუ ჯეკსონის სიტყვები მოიყვანა. ჯეკსონი აცხადებს, რომ მისმა უფროსმა "ქიმიური ალის" სიკვდილის ფაქტი დაადასტურა. ჯერჯერობით, სხვა წყაროები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. თავიდან გავრცელებული ცნობის თანახმად, სამხრეთის ფრონტის სარდალი ალი-ჰასანი შესაძლოა, შაბათს ბასრაში მის სახლზე განხორციელებული ავიადარტყმის შედეგად დაღუპულიყო.

ალი ჰასან ალ-მაჯიდს "ქიმიური ალი" მას შემდეგ ეწოდა, რაც 1988 წელს ერაყელი ქურთების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა, რასაც ათასობით ქურთის სიცოცხლე ემსხვერპლა. "ქიმიური ალი" სადამ ჰუსეინის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. მასზე ნადირობა კოალიციის სპეცრაზმებმა ერაყში ომის დაწყებისთანავე დაიწყეს. თუ მისი სიკვდილი დადასტურდა, ეს სადამის რეჟიმისათვის საკმაოდ დიდი დარტყმა იქნება. თუმცა, უამისოდაც შეიძლება ითქვას, რომ ჰუსეინის რეჟიმი უკვე სულს ღაფავს.

ბაღდადური სიუჟეტები.

REUTERS

ჯეოსელის გაზაფხულის მოვანე აქცია
დარეკეთ 7055 და დარგეთ 1 ხე საქართველოს დედაქალაქში
ერთი მარის საფასურია 1 ლარი (მხოლოდ ჯეოსელის აბონენტებისათვის)
ყანში ჩატარებულ 2001 წლის ĠŞM კონგრესზე ჯეოსელის მწვანე აქციამ გაიმარჯვა ნომინაციაში "ĠŞM და საზოგადოება"

აშშ და დიდი ბრიტანეთი ერაყის მომავალზე ვერ თანხმდებიან

REUTERS

სამხედრო გეგმა.

გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება აშშ პრეზიდენტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის შეხვედრა, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში, ჰილსბოროს ციხესიმაგრეში მიმდინარეობს.

ბუში და ბლერი ბოლო ერთი თვის მანძილზე უკვე მესამედ ხვდებიან ერთმანეთს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ეს ბოლო შეხვედრა ნაჩქარევად დაიგეგმა, რადგან ერაყში კოალიციის ჯარებმა ძალიან სწრაფად წაიწიეს წინ და ომისშემდგომი ერაყის მოწყობაზე შეთანხმების მიღწევა გადაუდებელ ამოცანად იქცა.

როგორც ცნობილია, ამ საკითხზე ლონდონსა და ვაშინგტონს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ბრიტანეთი მოითხოვდა, რომ ომისშემდგომი ერაყის ადმინისტრირებაში ცენტრალური როლი გაერო-მ შეასრულოს. "ზუსტად ისე, როგორც ავღანეთში", - აცხადებს მისი უდიდებულესობის მთავრობის თავდაცვის მინისტრი ჰუნი. ბრიტანეთს ასევე სურს, რომ ერაყში მოწვეულ იქნას ავღანური "ლოია ჯირგას" მსგავსი კონფერენცია, რომელზეც ერაყელი უხუცესები და პოლიტიკური ლიდერები ქვეყნის მომავალს გადაწყვეტენ.

აშშ ამ ინიციატივას არ ეთანხმება და გარდამავალი მთავრობის სამფაზიან მოდელს უჭერს მხარს, რომლის თანახმადაც, ერაყი ჯერ ამერიკელებმა უნდა მართონ, შემდეგ მათმა დანიშნულმა მთავრობამ და ბოლოს უკვე კანონიერად არჩეულმა, ერაყის ხელისუფლებამ. საინფორმაციო საააგენტოების ცნობით, ბრიტანეთი ამ მოდელს დაყაბულდა, მაგრამ არჩევნების ჩატარების დროსა და, როგორც აღინიშნა, გაერო-ს როლთან დაკავშირებით უთანხმოებები რჩება.

შეხვედრაზე ასევე უნდა განიხილონ ისრაელ-პალესტინისა და ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხები. ბრიტანეთი აშშ-ს ადმინისტრაციისაგან შარონის მთავრობაზე ზეწოლის განხორციელებას მოითხოვს, რათა ეს უკანასკნელი სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებაზე დაიყოლიოს. არსებობს სამშვიდობო შეთანხმების ოთხეულის (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, გაერო) მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმაც, რომელიც ჯერჯერობით არ ხორციელდება.

შეხვედრის ადგილი, როგორც ამბობენ, სიმბოლურად შეირჩა და მან ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესისადმი ბლერისა და ბუშის მხარდაჭერა უნდა დაადასტუროს.

ევროველი მემარცხენეებისთვის ბუშის საგარეო პოლიტიკა მიუღებელია

ჟურნალმა "ფორინ პოლისმა" ევროპელ მემარცხენეთა ერთ-ერთი ლიდერის, დენიელ კონ-ბენდისა და ამერიკელ მემარჯვენეთა ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის, რიჩარდ პერლის დებატები გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამ დისკუსიის ოდნავ შემოკლებულ ვარიანტს.

კონ-ბენდი. მე რომ ახლა აშშ-ს პრეზიდენტთან ვიჯდე, ვეტყოდი: "მისტერ ბუშ, მე არა ვარ პაციფისტი და მჯერა, რომ სამხედრო ინტერვენცია შეიძლება აბსოლუტურად აუცილებელი იყოს. 1944 წელს, როდესაც მოკავშირეები ნორმანდიაში გადმოსხდნენ, ფრანგებს ამით თავისუფლება მოუტანეს".

მაგრამ დღეს თქვენი მთავრობა ისე იქცევა, როგორც ბოლშევიკები რუსეთის რევოლუციის დროს. თქვენ მთელი მსოფლიოს შეცვლა გსურთ! ისევე, როგორც ბოლშევიკები, თქვენ ამტკიცებთ, რომ ისტორია თქვენს სიმართლეს დაადასტურებს. თქვენ გინდათ, რომ მთელმა მსოფლიომ "ამერიკულ ოცნებას" მისდიოს. თქვენ ფიქრობთ, რომ იცით, რა სურთ ერაყელებს, სირიელებს, ჩრდილოეთ კორეელებს, ლიბერიელებს, იემენელებს და ყველა სხვას. ყველა რევოლუციონერის მსგავსად, თქვენ კარგი იდეები გაქვთ, მაგრამ თქვენი პრობლემა ამ იდეების განსახორციელებლად გამოყენებულ საშუალებებში მდგომარეობს. მოულოდნელად, თქვენ მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დამყარება მოინდომეთ. თქვენი ადმინისტრაცია, რომელიც თავისი მოღვაწეობის დასაწყისში საგარეო პოლიტიკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მთლიანად შეიცვალა.

პერლი. სამართლიანი კითხვაა. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ერაყში დემოკრატიის დამყარებით, იმიტომ, რომ პირველ რიგში სადამ ჰუსეინის განიარაღება გვსურს. დემოკრატია ამ შემთხვევაში ერაყის განიარაღების "თანმხლები პროდუქტია". ახლო აღმოსავლეთი არასტაბილურია და ეს არასტაბილურობა მუდმივად მატულობს. დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან არ ომობენ. ჩვენ კი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება გვსურს. ამიტომ გვინდა ერაყში პოლიტიკური სისტემის შეცვლა.

კონ-ბენდი. მე დემოკრატიის ღირებულებაში არ მეპარება ეჭვი. პირიქით, მე ვსვამ კითხვას, რომელია დემოკრატიის მისაღწევად საუკეთესო გზა. გახსოვთ გენერალი დე გოლი, რომელიც დაჟინებით უმტკიცებდა დუაიტ ეიზენჰაუერს, რომ როგორც ფრანგი, პირველი სწორედ იგი უნდა შესულიყო გათავისუფლებულ პარიზში 1944 წელს, რაც არ უნდა უმნიშვნელო ყოფილიყო იმ დროს მისი გავლენა. მე იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ თვითონ ფრანგებს და არა ამერიკელ გენერალს შეეძლოთ აღედგინათ ქვეყანა და მოეწმინდათ ის სირცხვილი, რომელიც საფრანგეთს ნაცისტებთან თანამშრომლობის გამო მიადგა. მეორე, რეგიონში დემოკრატიის დამყარების თქვენეული გზა არასწორია. სტაბილური და მშვიდობიანი ახლო აღმოსავლეთის გასაღებს წარმოადგენს ირანი და არა ერაყი. ერაყისაგან განსხვავებით, ირანს ჰყავს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დემოკრატიისათვის მზადაა. მესამე, ჯერ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი უნდა გადაიჭრას. ისრაელი ისევე არ ასრულებს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, როგორც ერაყი. თქვენ ამაზე მიპასუხებთ, რომ ამ ორი ქვეყნის შედარება არ შეიძლება. მაგრამ ასეთ შედარებას ბევრი არაბი აკეთებს. და სანამ ხალხი თქვენ არ გენდობათ, ერაყში პრობლემები არ გამოგელევათ.

პერლი. თქვენ ახლა წარმოიდგინეთ ცხენზე ამხედრებული ამერიკელი გენერალი, რომელიც შეიჭრება ბაღდადში და ამით დაადასტურებს იმას, რისიც დიდი ხანია ეშინიათ, რომ ჩვენ იმპერიალისტურ სახელმწიფოდ ვიქეცით. მე განსხვავებული შეხედულება მაქვს. ჩვენ გვყავს აჰმედ ჩალაბი, ერაყის ეროვნული კონგრესის ლიდერი, რომელიც შევა ბაღდადში. ამ რეჟიმისათვის ბოლოს მოღება ერაყელებს თავისუფლებას მოუტანს. ქვეყნის მართვაც და ნავთობიც მათ ხელში დარჩება. ჩვენ სწრაფად გადავცემთ მათ ხელისუფლების სადავეებს, შეიძლება, რამდენიმე თვეშიც – ჩვენ მივცემთ მათ შანსს, თავიანთი მომავალი თავად განსაზღვრონ. ბოლოს ერაყელები ისევე მადლობელი იქნებიან ჩვენი, როგორც ფრანგები იყვნენ ნაცისტებისაგან გათავისუფლებისათვის.

კონ-ბენდი. კარგით ერთი, ეგ არ არის მართალი.

პერლი. არ არის აუცილებელი, ვინმე მოვიდეს და მადლობა გვითხრას. ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ ერაყელები მუდმივი შიშის ქვეშ არ იცხოვრებენ.

კონ-ბენდი. თქვენ ამტკიცებთ, რომ ერაყში ახალი სახელმწიფოს აშენებას აპირებთ. ამ დროს, ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია საქმე ავღანეთში. იქ ვითარება ისევ არასტაბილური ხდება, ქალების დისკრიმინაცია ისევ განახლდა. ჩვენ ქაბულის უსაფრთხოების დაცვას ძლივს ვახერხებთ. მე ძალიან მეშინია, რომ სანამ თქვენ ერაყში იბრძვით, გულბუდინ ჰექმათიარმა შეიძლება ქაბული აიღოს. ამ ომის დამთავრებისთანავე თქვენ დაივიწყებთ ერაყს და სირიაზე გადახვალთ, შემდეგ - საუდის არაბეთზე. რადგან მსოფლიოში ყველაზე დიდი არმია გყავთ, შეგიძლიათ, რაც გინდათ, ის გააკეთოთ.

პერლი. არა მგონია, ამერიკის ადმინისტრაცია ასე ფიქრობდეს

კონ-ბენდი. მაგრამ, ასე იფიქრებთ ერაყის შემდეგ. ხომ აფინანსებს სირია ტერორისტულ ორგანიზაცია "ჰამასს"?

პერლი. დიახ, და არა მხოლოდ სირია. ვფიქრობ, ჩვენ გვეძლევა ძალიან კარგი შესაძლებლობა, დავარწმუნოთ სირია, შეწყვიტოს ტერორიზმის მხარდაჭერა. პირობას გაძლევთ, რომ სადამის დამხობის შემდეგ, ამას უფრო ეფექტურად შევძლებთ. რა სჯობს - სირიის პრეზიდენტს, ბაშარ ალ-ასადს ტერორიზმზე ერაყის გათავისუფლებამდე ესაუბრო, თუ გათავისუფლების შემდეგ?

კონ-ბენდი. გათავისუფლებამდე.

პერლი. და თქვენ გგონიათ, რამეს მიაღწევთ?

კონ-ბენდი. მეც ზუსტად ამას ვამბობ. მოდით, მთლიანად შევცვალოთ დღის წესრიგი. თუ ჩვენ გვინდა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის "დომინოს ეფექტის" მიღება, ევროპა და ამერიკა უნდა შეთანხმდნენ მიზნებსა და საშუალებებზე. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრა აუცილებელია. მე მესმის, რომ ომები შეიძლება იყოს აუცილებელი, მაგრამ მჯერა, რომ ეს ომი არ იყო საჭირო.

პერლი. პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების შანსები გაიზრდება, როგორც კი სადამი წავა. ჩალაბი და სხვები ამბობენ, რომ ისინი მხარს დაუჭერენ სამშვიდობო პროცესს და სცნობენ ისრაელის სახელმწიფოს. სანამ სადამი ხელისუფლებაშია, სამშვიდობო პროცესი განწირულია.

კონ-ბენდი. ჩვენს შორის აზრთა სხვადასხვაობა პალესტინის თემას სცილდება. ამერიკა უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ ტრანსატლანტიკური ურთიერთობები იცვლება. აქამდე ამერიკისა და ევროპის ურთიერთობები მამაკაცისა და ქალის ტრადიციულ ურთიერთობებს წააგავდა. კაცი ბრძანებს, ქალი ემორჩილება. შემდეგ, მოხდა ემანსიპაცია. მე რაღაც ახალს ველი ევროპაში. ევროპას შეუძლია, თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და მე ვოცნებობ იმაზე, რომ მან ბოსნიის მსგავს კრიზისებთან გამკლავება თავად შეძლოს. ახალი ევროპა არ იქნება ანტი-ამერიკული, მაგრამ ის არც პროამერიკული იქნება. ის იქნება პროევროპული. ამერიკული ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ევროპულს. თქვენ, ამერიკელებს არასოდეს გჯეროდათ ჩვენი. როდესაც ჩვენ ევროზე მუშაობა დავიწყეთ, თქვენ დაგვცინოდით, მაგრამ ჩვენ ეს კარგად გამოგვივიდა. ჩვენ კიდევ ბევრს შევძლებთ. ჩვენ განსხვავებული შეხედულებები გვაქვს კიოტოს პროტოკოლზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოზე. ორ კონტინენტს სუვერენიტეტის ცნება სრულიად განსხვავებულად ესმის.

პერლი. თუ ჩემი პროგნოზი გამართლდა და ერაყში ყველაფერი კარგად წავიდა, მაშინ ტრანსატლანტიკური ურთიერთობები სწრაფად აღდგება. პრობლემები დარჩება ფრანგების ამბიციურობის გამო, რომელთაც დამოუკიდებელი, ძლიერი და ამერიკის გამაწონასწორებელი ევროპის შექმნა სურთ. და თუ ფრანგები ამას მართლაც გააკეთებენ, მაშინ ჩვენ მოგვიწევს ვიფიქროთ, ევროპელთა მიერ ტრანსატლანტიკური ალიანსის რღვევას რით ვუპასუხოთ.

ანალიტიკოსები: ეცემა თუ არა ბაღდადი?

ორშაბათს აშშ-ს ძალები ბაღდადის ცენტრში შევიდნენ და სადამ ჰუსეინის ორი სასახლე დაიკავეს. აშშ-ს ოფიცრების თქმით, ეს ძალის დემონსტრაციაა და არა ბაღდადზე საბოლოო შეტევა. საინტერესოა სამხედრო ანალიტიკოსების კომენტარი ერაყში და ბაღდადში აშშ-ს სტრატეგიასთან დაკავშირებით.

REUTERS

ერაყის ინფორმაციის მინისტრი ბოლო დაეცემა.

ენდრიუ ბრუკსი, სტრატეგიული კვლევების საერთაშორიოს ინსტიტუტის სამხედრო ანალიტიკოსი, ლონდონი:

"ბასრა დაეცემა. დაეცემა ბაღდადიც. ერთი კვირის წინ გვიკვირდა, თუ სად იყო ერაყის არმია. ცხადია, რომ ისინი ბევრნი არიან. მათმა წინააღმდეგობამ, რომლისაც ყველას ეშინოდა, მათი ბაღდადში ყოფნა არ დაადასტურა."

"როგორც ამ დღეებმა გვიჩვენა, ქუჩის ბრძოლები არც თუ ისე ინტენსიურია. ვფიქრობ, ორ კვირაში ყველაფერი დასრულდება."

ფრენკ უმბახი, გერმანიის საგარეო ურთიერთობების სამხედრო და უსაფრთხოების ანალიტიკოსი:

"ბოლო დღეებმა აჩვენა, რომ ამერიკელებისათვის ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ სიფრთხილეა საჭირო. ბაღდადის ბრძოლებში "დაარტყი და გაიქეცის" სტრატეგია, როგორც ჩანს, არ ნიშნავს იმას, რომ ერაყის სამხედრო ძალა მთლიანად განადგურებულია. ბრძოლები რამდენიმე კვირას კიდევ გაგრძელდება."

"ვფიქრობ, ეს მოქნილი სტრატეგიაა. ჩემი აზრით, ეს ნაწილობრივ ფსიქოლოგიური თამაშია და მოსახლეობას უჩვენებს, რომ ერაყის ხელისუფლების განცხადებები, თითქოს აშშ-ს ძალებმა ბაღდადთან დამარცხება იწვნიეს, მხოლოდ პროპაგანდაა."

"მათ მიზანს ბაღდადში დარჩენილი ძალების მორალური განადგურება წარმოადგენს. მთავარი პრობლემა ახლა დროის საკითხია. დროის ფაქტორის რისკი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქებში იზრდება მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი და ღრმავდება ჰუმანიტარული კრიზისი. მე ვფიქრობ, რომ ქუჩის ბრძოლები მოგვიანებით გაიმართება."

ვლადიმირ კუზარი, რუსეთის არმიის გაზეთის "კრასნაია ზვეზდას" კომენტატორი:

"მოსალოდნელი იყო, რომ ბაღდადისათვის ბრძოლა მძიმე და ხანგრძლივი იქნებოდა, მაგრამ როგორც ვნახეთ, ამერიკელებმა ორ დღეში ბაღდადის ცენტრში შეღწევა მოახერხეს. თუმცა, ცხადია, რომ იქ "ნამდვილი ბრძოლა" არ ყოფილა. ბასრასთვის ბრძოლამაც იგივე აჩვენა. აქ მათი ტაქტიკა ერაყის წინააღმდეგობის გატეხვას დაბომბვებით ისახავდა მიზნად. იგივეა ბაღდადშიც."

"მე ვფიქრობ, რომ ბაღდადში ყველაფერი ორ დღეში დასრულდება. მაგრამ ამერიკელების კონტროლის დამყარებას ბაღდადზე ხანგრძლივი დრო, შესაძლოა, წლებიც დასჭირდეს. იქ პარტიზანული ომი გაგრძელდება."

"ერაყს არ ჰყავს ნამდვილი არმია. ათ წელიწადზე მეტია, არმია კარგად არ დაფინანსებულა. ამ არმიის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა მოსალოდნელი არ არის, თუმცა, კამიკაძეთა თავდასხმების გამორიცხვა არ შეიძლება."

დიპლომატიური კოლონის დაცხრილვაში რუსები ამერიკელებს ადანაშაულებენ

რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გუშინ, ერაყში რუსეთის ელჩის ტიტორენკოს განცხადება გაავრცელეს, რომლის თანახმადაც რუსულ დიპლომატიურ კოლონას ამერიკელებმა ცეცხლი წინასწარი განზრახვით გაუხსნეს.

კოლონამ გუშინ სირიის საზღვარს მიაღწია. ორი ადამიანი, მძიმედ დაჭრილი მძღოლი და თანმხლები დიპლომატი, ერაყის საავადმყოფოში დარჩნენ.

6 მანქანიდან 4 დაცხრილული იყო. M-16-დან გასროლილი ტყვიები მანქანებიდან ჟურნალისტების თანდასწრებით ამოიღეს. ამ ტიპის ავტომატურ შაშხანებს ამერიკული არმია იყენებს.

როგორც აშშ-ს სარდლობის წარმომადგენელმა, გენერალმა ბრუკსმა განაცხადა, მათ ამერიკული დანაყოფებისაგან ცეცხლის გახსნის შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ. მისი თქმით, რუსული კოლონის გადაადგილების მარშრუტი მათთან შეთანხმებული იყო.

ანონიმი წყაროების განცხადებით, რუსულმა კოლონამ შეთანხმებული მარშრუტიდან გადაუხვია და სხვა გზით წავიდა, რამაც, შეიძლება, მოკავშირეთა მხრიდან ცეცხლის გახსნა გამოიწვია. თუმცა, რუსები აცხადებენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შეცდომა გამორიცხულია, რადგან კოლონის მანქანებზე ქვეყნის დროშა იყო გამოსახული.

ახლა მოსკოვს შეუძლია, ეს ინციდენტი ან მიაფუჩეჩოს ან სერიოზულ დიპლომატიურ სკანდალად აქციოს. რამდენიმე მკაცრი განცხადება მოსკოვმა უკვე გააკეთა.

ტერაქტი გროზნოში

გუშინ, გროზნოში, ადგილობრივი დროით 4 საათსა და 15 წუთზე მორიგი ტერაქტი მოხდა.

ჩეჩნეთის ინფორმაციის სამინისტროდან 150 მეტრის მოშორებით, ფუგასურ ნაღმზე აფეთქდა ავტომანქანა ნივა, რომელშიც სამხედრო ფორმაში ჩაცმული 5 ადამიანი იჯდა. ყველა მათგანი დაიღუპა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მანქანაში მსხდომნი უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები იყვნენ. წინასწარი ვარაუდით, ტერაქტი სწორედ მათ ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მანქანა 10 მეტრის მანძილზე გადაადგდო. გარშემო შენობებში ჩაიმსხვრა მინები.

გუშინ, რამდენიმე საათით ადრე, ტერაქტის ადგილიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მეორე ნაღმი იქნა აღმოჩენილი. ძალოვნების განცხადებით, იგი მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით იპოვეს.

ელექტროენერგიის გათიშვა აღარ მოხდება

ნინო ნარჩემაშვილი

თბილისის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ელქტროენერგიის ახალი მრიცხველები ჯერ არა აქვთ დამონტაჟებული, დენის გარეშე აღარ დარჩება. ამის შესახებ გუშინ, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პაატა ვარდოსანიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ეს საკითხი კარგა ხანია სადავო იყო. შეგახსენებთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ გამოტანილი ცნობილი დადგენილება ფიქსირებული გადასახადის გაუქმების შესახებ იმის მიზეზი გახდა, რომ "ეი-ი-ეს თელასმა" შეუძლებლად მიიჩნია თბილისის უმრიცხველოდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. კომპანიის წარმომადგენელთა მტკიცებით, მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის დასარიცხად და ამოსაღებად მექანიზმი აღარ არსებობდა. სემეკ-სა და ამერიკულ კომპანიას შორის არაერთი შეხვედრა გაიმართა და მრავალჯერ ითქვა, რომ სემეკ-ს არა აქვს უფლება "ეი-ი-ესის" მიერ წარმოდგენილი ფიქსირებული დარიცხვის რაიმე ახალი წესი დაამტკიცოს, რადგან ასეთი გადასახადის შემოღება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება. სემეკ-ში აცხადებენ, რომ "ეი-ი-ეს თელასს", მარეგულირებელი კომისიის რიგი დადგენილებების შესაბამისად, ყველა საჭირო უფლება და მექანიზმი გააჩნია, რათა მოსახლეობას ელექტროენერგია მიაწოდოს და მისი საფასური ამოიღოს. პაატა ვარდოსანიძის განცხადებით, **"თბილისის მოსახლეობის გამრიცხველიანება "ეი-ი-ეს"-ს 2002 წლის ბოლოსათვის უნდა დაესრულებინა. აღნიშნული პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს და ეს სრულებითაც არ არის მოსახლეობის ბრალი. ამდენად, უსაფუძვლოა "ეი-ი-ეს თელასის" მოტივაცია უმრიცხველო მოსახლეობის ელექტრომომარაგების გარეშე დატოვების შესახებ."**

აღსანიშნავია, რომ გამრიცხველიანების დასამთავრებლად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) "ეი-ი-ეს"-ს ჯერ კიდევ დეკემბრის თვეში 9,3 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო. სემეკ-ში აცხადებენ, რომ აღნიშნული თანხა საკმარისზე მეტია 30 ათასი აბონენტის გამრიცხველიანებისათვის.

"ეი-ი-ეს"-ის მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯერის ვალერი ფანცულაიას თქმით: **"დღეისათვის მრიცხველების გარეშე თბილისის მოსახლეობის რვა პროცენტია დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნია იურიდიული საფუძველი, აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტოს, "ეი-ი-ეს"-ი ასეთ ზომებზე არ წავა."** გამრიცხველიანების პროცესი ორ-სამ თვეში დამთავრდება. მანამდე კი, მისივე განცხადებით, გადასახადების ამოღების მოწესრიგების მიზნით, სემეკ-ში განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილია "ეი-ი-ეს"-ის მიერ შემუშავებული ახალი ვარიანტი - კერძოდ, ელექტროენერგიის საფასური დენმიმღებების საორიენტაციო სიმძლავრის მიხედვით გამოითვლება.

ერთი სიტყვით, როგორც სემეკ-ის სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, ამერიკული კომპანიის მიერ გუშინ შეთავაზებული ახალი ვარიანტის საბოლოო განხილვამდე მოსახლეობის აღნიშნულ კატეგორიას ელექტროენერგია არ გაეთიშება.

მოკლედ

ვაშინგტონი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აპირებს, სენატს მოსთხოვოს 75 მილიონი დოლარი საქართველოში რამდენიმე პროექტის დასაფინანსებლად. 2004 წელს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ორი პრიორიტეტული მიმართულებით გაგრძელდება - საქართველოს სასაზღვრო ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესება და საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განვითარება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბუნებრივი აირის მიწოდება პრაქტიკულად აღდგენილია. უკვე დასრულებულია თანაწმინდისა და ვაკის რაიონებში ბუნებრივი აირის მიწოდება. გუშინ, გვიან საღამოსათვის დასრულდა საბურთალოს გაზმომარაგებაც. დღეს დილიდან კი დაიწყება წყნეთის მომარაგება. რაც შეეხება მარცხენა სანაპიროს, ცაავას თქმით, მიუხედავად ქუთაისის ქუჩაზე დაბალი წნევის გაზსადენზე მომხდარი ავარიისა, შესაძლებელი გახდა მისი ლიკვიდაცია ისე, რომ მოსახლეობას გაზი არ შეწყვეტია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ კომპანია "საქრუსენერგომ" გამთენიისას აღადგინა რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "კავკასიონი". სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამჟამად რუსეთიდან 280 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება. **ინტერ-პრესი**

„ქართული მხარე მოვალეა, პირობა შეასრულოს"

გადაიხდის თუ არა "თურქიშ ეარლაინზი" 17 მილიონ ლარს?

სოფო კვინტრაძე

10 აპრილს საქართველოს ეწვევა თურქული ავიაკომპანიის "თურქიშ ეარლაინზის" ხელმძღვანელ პირთა დელეგაცია. ვიზიტის მიზანი იმ პრობლემების მოგვარებაა, რომელიც "თურქიშ ეარლაინზს" შეექმნა საქართველოში. მხარეებს შორის უთანხმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც საგადასახადო დეპარტამენტმა ავიაკომპანიას 17 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება დაუფიქსირა. 16 აპრილს თურქები და ქართველები სიმართლის გარკვევას უზენაეს სასამართლოში შეეცდებიან.

თურქეთის ელჩი დიჭლე კოფუზი.

ალექსანდრა ბაბალაძის ფოტო

რამდენიმე კვირის წინ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ იასე ზაუტაშვილმა მთავრობის სხდომაზე დაასახელა ურჩი გადამხდელი კომპანიები. სიაში მოხვდა თურქული ავიაკომპანია "თურქიშ ეარლაინზი" - პირველი არასაბჭოური ავიაკომპანია საქართველოში, რომელმაც თბილისში რეისების განხორციელება 1996 წლიდან დაიწყო. ზაუტაშვილის ინფორმაციით, ავიაკომპანიას ბიუჯეტისადმი 17 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება აქვს.

დავა საგადასახადოსა და თურქულ ავიაკომპანიას შორის სხვადასხვა სახის სასამართლო ინსტანციებში მანამდეც მიმდინარეობდა. ამჟამად "თურქიშ ეარლაინზის" სარჩელს უზენაესი სასამართლო განიხილავს. დავის საგანი კი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც საქართველოსა და თურქეთს შორის 1992 წლის 2 ივლისს დაიდო. ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის სამოქალაქო ავიაციის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს. მისი მეცხრე მუხლის მეოთხე პარაგრაფი კი შეიცავს დებულებას, რომელმაც ბოლო პერიოდში მხარეებს შორის უთანხმოება გამოიწვია. ამ პარაგრაფის თანახმად, ორი ქვეყნის ორი ავიაკომპანია, რომლებიც რეისებს განახორციელებენ თურქეთსა და საქართველოში, თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადისაგან.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობამ 1992 წლის 17 ნოემბერს (სარატიფიკაციო პროცედურის დაწყებამდე) თურქეთს მიმართა თხოვნით - გაცემულიყო ფრენების ნებართვა ქართული ავიაკომპანია "ორბისათვის". თურქულმა მხარემ ეს ნებართვა გასცა, როგორც თავად აცხადებენ, "კეთილი ნების გამოხატულების ნიშნად". ავიაკომპანია "ორბი" თურქეთში 1993 წლის იანვრიდან 1997 წლის ივნისამდე დაფრინავდა და მას არანაირი გადასახადი არ ეკისრებოდა. 1994 წელს თურქეთის მეჯლისმა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა. საქართველოს კანონმდებლობა კი ამ პერიოდში საერთაშორისო ხელშეკრულების საკანონმდებლო ორგანოში რატიფიკაციას არ ითვალისწინებდა. 1995 წელს კი, როდესაც მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია ჩვენი ქვეყნისთვისაც სავალდებულო გახდა. თუმცა, თურქეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება საქართველოს პარლამენტში დღემდე არ არის რატიფიცირებული.

საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას სწორედ ეს არგუმენტი მოჰყავს "თურქიშ ეარლაინზის" წინააღმდეგ. მათი განცხადებით, ხელშეკრულება, რომელიც არ არის რატიფიცირებული, უკანონოა და, აქედან გამომდინარე, არც ის საგადასახადო შეღავათებია კანონიერი, რომლებსაც იგი აწესებს. თურქული მხარე კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ჯერ კიდევ მაშინ შევიდა ძალაში, როცა საქართველოს კანონმდებლობა მის რატიფიკაციას არ ითვალისწინებდა. როგორც თურქეთის ელჩი დიჯლე კოფუზი აცხადებს, თუ უზენაესი სასამართლო მსგავს გადაწყვეტილებას გამოიტანს, მაშინ საგადასახადო დავალიანების საკითხი თავისთავად მოიხსნება დღის წესრიგიდან. **"საერთაშორისო ხელშეკრულებაში წერია, რომ ავიაკომპანიები თავისუფლდებიან გადასახადისაგან. ქართული მხარე მოვალეა, ეს პირობა შეასრულოს. "აირზენას" შეუძლია, რომ თურქეთის მიმართულებით ფრენები განახორციელოს და საგადასახადო შეღავათები მასზეც გავრცელდება,"** – აღნიშნა დიჯლე კოფუზმა.

თურქული ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა, საგადასახადო დეპარტამენტთან შექმნილი პრობლემის გარდა, ქართულ ფლაგმან ავიაკომპანიასთან - "აირზენასთანაც" შეეცდება ურთიერთობის გარკვევას. როგორც ცნობილია, პრეზიდენტის 1999 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულების თანახმად, უცხოურ ავიაკომპანიებს, საავიაციო ბაზრის ცალმხრივად ათვისების შემთხვევაში, ეროვნული ავიაკომპანიისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა ევალებათ. თურქული მხარე აცხადებს, რომ მან "აირზენას", საერთო ჯამში, სამი მილიონი დოლარი გადაუხადა კომპენსაციის სახით. "თურქიშ ეარლაინზმა" კომპენსაციის გადახდა ერთი წლის წინ შეწყვიტა ანუ მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ სხვა უცხოური ავიაკომპანიები "აირზენას" ამ თანხას არ უხდიდნენ. თურქეთის ელჩი დიჯლე კოფუზი აცხადებს, რომ საჰაერო ბაზრის ცალმხრივად ათვისებისათვის კომპენსაციის გადახდა მსოფლიო ავიაბაზარზე გავრცელებული პრაქტიკა არაა. მისი თქმით, მსგავსი კანონმდებლობა მხოლოდ ისრაელს აქვს. თურქული მხარე იმედოვნებს, რომ ავიაკომპანიასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდება და "თურქიშ ეარლაინზი" არ გახდება იძულებული, საქართველოში საქმიანობა შეწყვიტოს. **"თურქეთსა და საქართველოს შორის იმდენად მნიშვნელოვანია სტრატეგიული თანამშრომლობა, რომ აღნიშნული პრობლემა მასზე გავლენას ვერ მოახდენს. თუმცა, ცხადია, უმჯობესი იქნება, პრობლემა არ გამწვავდეს და მალე მოგვარდეს,"** – იმედი გამოთქვა თურქეთის ელჩმა.

მონიტორინგი

საბანკო სექტორში ეკონომიკის განვითარებისთვის თანხა არ რჩება

2003 წლის 7 აპრილისათვის ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული მეორე კვარტლის ან ოთხი თვის შემოსავლების პროგნოზები და ჩვენც, შესაბამისად, შემოსავლების შესრულებას წლის პროგნოზებთან შედარებით წარმოგიდგენთ.

შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები წარმოდგენილია N1 ცხრილში.

დღეს გვინდა, შემოგთავაზოთ არასაგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტლის პროგნოზის შესრულების ანალიზი და წლის პროგნოზის შესრულების პერსპექტივები.

არასაგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტლის შესრულების ოპერატიული ინფორმაცია წარმოდგენილია N2 ცხრილში.

წლის პროგნოზი 1 აპრილისათვის შესრულებულია 29,6 პროცენტით და, ერთი შეხედვით, სანერვიულოც არაფერი უნდა გვქონდეს. მაგრამ პირველი კვარტლის პროგნოზი, ძირითადად, ეროვნული ბანკის მოგების ტრანსფერის ხარჯზე შესრულდა, რომელიც შემდეგ კვარტლებში, სამწუხაროდ, აღარ იქნება.

პირველ კვარტალში გაცემული კრედიტებიდან შემოსავლების შესრულება განაპირობა პირველი კვარტლის პროგნოზის მეტად დაბალ დონეზე დაგეგმვამ. საკმაოდ პრობლემატური იქნება მომდევნო თვეებში გაცემული კრედიტების დაბრუნება თითქმის 15 მილიონი ლარის ოდენობით. ჩვენი შეფასებით, ამ ნაწილში ბიუჯეტის შემოსავლების შესწორება დაახლოებით 8-9 მილიონი ლარით გარდაუვალია.

დივიდენდების პირველი კვარტლის პროგნოზი კი პირიქით, ზედმეტობით იქნა დაგეგმილი. პირველ კვარტალში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ცნობილი წინა წლის მოგების საბოლოო მაჩვენებლები და, შესაბამისად, რთული დასაგეგმია დივიდენდებისაგან მისაღები შემოსავლებიც. საკარაუდოდ, ამ ნაწილში წინასწარ (ჯერ საბოლოოდ შეუთანხმებელ) გადახდებს ჰქონდა ადგილი. დივიდენდების წლის პროგნოზის შესრულება, წესით, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა დასკვნებს შემოგთავაზებთ მოგვიანებით, ფინანსთა სამინისტროში დივიდენდების განაწილების მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ.

არარეალურია დაგეგმილი შემოსავლების მიღება მიწის პრივატიზაციიდან, საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან, გადასახადებიდან და სხვა არასაგადასახადო შემოსავლებიდან. ჩვენი შეფასებით, ამ ნაწილებში ბიუჯეტის შემოსავლების 8-9 მილიონი ლარით შესწორება გარდაუვალია.

თვის მეორე ნახევარში იწყება საბანკო სექტორიდან სესხების აღება ბიუჯეტის შემოსავლების შესასრულებლად, შესაბამისად მცირდება ლარის მასა და ჩნდება ლარზე დამატებითი მოთხოვნაც. მომდევნო თვის დასაწყისში კი საბანკო სექტორს უბრუნდება 10-15 დღით ადრე აღებული სესხი, შესაბამისად იზრდება ლარის მასა და ჩნდება დამატებითი მოთხოვნა, ამჯერად უკვე აშშ დოლარზე და სხვა ვალუტაზე. **ამ პირობებში ეკონომიკის დასაფინანსებლად საბანკო სექტორში თავისუფალი თანხები კი აღარ რჩება. მით უფრო, რომ ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების პროგრამის დაფინანსება საკმაოდ სარფიანი და შედარებით ნაკლებად სარისკო ოპერაციაა.**

1-4 აპრილს ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები წარმოდგენილია N3 ცხრილში.

დასრულდა ლტოლვილთა მარტის შემწეობის დაფინანსება, დაფინანსდა მარტის კვების ხარჯები, გაგრძელდა მარტის ხელფასების გაცემა. ენერგოსექტორის სუბსიდირებისათვის გაიცა 5 მილიონი ლარი. ტელეანძის 971 ათასი ლარიც, პრაქტიკულად, ენერგოსექტორის სუბსიდიაა.

2003 წლის 3 აპრილისათვის სოციალური ფონდის ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერი პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული 26,77 მილიონი ლარის ნაცვლად დაფინანსდა 14,03 მილიონი ლარით ანუ 52,4 პროცენტით. მათ შორის, ტრანსფერი პენსიებზე დაფინანსდა 52,7 პროცენტით, ტრანსფერი უმწეოთა დახმარებაზე – 66,7 პროცენტით, ტრანსფერი რეგრესულ პენსიებზე – 66,7 პროცენტით, ჯანდაცვის პროგრამების ტრანსფერი – 45,8 პროცენტით, სოციალური ადაპტაციის პროგრამების ტრანსფერი – 65 პროცენტით, მიგრანტთა პროგრამების ტრანსფერი – 55,6 პროცენტით, დევნილ ინვალიდთა პროგრამის ტრანსფერი – 61,2 პროცენტით.

ახლა მივუბრუნდეთ სოციალური ფონდის ხარჯებს: წინა კვირას დასრულდა დეკემბრის საპენსიო ვალდებულების დაფინანსება; იანვრის საპენსიო ვალდებულებების ბოლომდე დაფინანსებას აკლია 7,1 მილიონი ლარი; დაწყებულია თებერვლის და მარტის საპენსიო ვალდებულებების დაფინანსება შესაბამისად 7,7 მილიონი და 2,1 მილიონი ლარით; წინა კვირას დასრულდა გარდაცვლილ პენსიონერთა 2002 წლის ივლისის დავალიანების დაფინანსება.

ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 69,7 პროცენტით, სოციალური ადაპტაციის პროგრამები - 28,3 პროცენტით, ხოლო უმუშევრობის პროგრამები კი 25,7 პროცენტით.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

2003 წლის 1 - 4 აპრილის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

№	დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
1	წინა პერიოდის დავალიანება	304.3
	დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები	304.3
2	საბიუჯეტო ორგანიზაციების მარტის ხელფასები	6,641.8
	უმაღლესი სასწავლებლები	1,516.0
	მეცნიერებათა აკადემია	1,465.0
	ქ. თბილისში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები	1,950.0
	კულტურის სამინისტრო	715.0
	სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები	215.5
	კონტროლის პალატა	111.0
	საერთო სასამართლოები	669.3
3	საბიუჯეტო ორგანიზაციების მარტის თვის კვების ხარჯი	1,471.4
	თავდაცვის სამინისტრო	349.2
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	339.6
	სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები	253.7
	იუსტიციის სამინისტრო	226.1
	საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	169.6
	უშიშროების სამინისტრო	119.2
	ვეტერანთა დეპარტამენტი	12.0
	დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	2.0
4	ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	2,565.0
	ლტოლვილთა მარტის თვის შეწყობა	2,540.0
	ლტოლვილთა ერთჯერადი დახმარება	25.0
5	მარგველთის ეპარქიის ზესტაფონის წმინდა სიმონ კანანელის სასულიერო სწავლების ცენტრს	33.5
6	სოციალური ფონდის ტრანსფერი	2,200.0
	ჯანდაცვის პროგრამები	2,200.0
7	სხვა საჭიროები და მომსახურება	419.7
	სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური	24.5
	კონტროლის პალატა	1.8
	საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	150.0
	თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის სალიცენზიო ბიურო	3.1
	გენერალური პროკურატურა	49.5
	სახალხო დამცველის აპარატი	14.4
	კულტურის სამინისტრო	8.4
	განათლების სამინისტრო	2.2
	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	3.5
	სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები	162.3
8	სამხედროიანები ხარჯები	0.5
	განათლების სამინისტრო	0.5
9	განათლების სამინისტროს პროგრამები	150.4
10	ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამები	200.0
11	სუბსიდიები	5,971.0
	საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია (ტელეანძა)	971.0
	სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო	5,000.0
12	სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხები	14.1
13	სახაზინო ვალდებულებების დისკონტი	722.3

1-ლი კვარტლის არასაგადასახადო შემოსავლები

მაჩვენებლები	წლის პროგნოზი	კვარტლის პროგნოზი	შესრულება	%	
				წლიურ შესრულებაზე	კვარტალურ შესრულებაზე
არასაგადასახადო შემოსავლები	78,400.0	21,356.0	23,210.0	29.60%	108.68%
შემოსავლები ეკონომიკურ კრედიტებიდან	16,000.0	1,000.0	1,008.5	6.30%	100.85%
შემოსავლები ეროვნული კრედიტებიდან ეკონომიკურ სესხებიდან	8,000.0	850.0	853.3	10.67%	100.39%
შემოსავლები ზიარ საგადასახადო რესურსებიდან ეკონომიკურ სესხებიდან	8,000.0	150.0	155.2	1.94%	103.47%
დივიდენდები	16,000.0	910.0	916.3	5.73%	100.69%
ბიუროს პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები	2,000.0	300.0	311.4	15.57%	103.80%
საქართველოს ეროვნული ბანკის 2002 წლის მოგების ტრანსფერი	15,000.0	15,000.0	16,000.0	106.67%	106.67%
შემოსავლები საკუთრებიდან და საგზაო საქმიანობიდან	1,000.0	100.0	169.6	16.96%	169.60%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადახდები. შემოსავლები არაკანონიერი და თანმდევი (ანაბრალოდან) ეკონომიკიდან	10,000.0	1,500.0	1,525.3	15.25%	101.69%
ადმინისტრაციული ჯარიმა მესამეთა და სანქციებიდან მიღებული შემოსავალი	1,300.0	300.0	300.9	23.15%	100.30%
სხვა შემოსავალი	17,100.0	2,246.0	2,978.0	17.42%	132.59%

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 7 აპრილისთვის

მლნ. ლარებში

დასახელება	წლის პროგნოზი	შესრულება	%
			წლის პროგნოზთან
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	233.57	21%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	833.7	168.15	20%
საგადასახადო შემოსავლები	659.9	136.77	21%
არასაგადასახადო შემოსავლები	78.4	23.58	30%
გრანტები	95.4	7.8	8%
სოციალური ფონდი	244.2	55.75	23%
საგზაო ფონდი	49.5	8.97	18%
ფეფიციტის დაფინანსება	239.8	60.12	25%
გარეშემდგომი საბრუნავი სესხები	8.5	1.96	23%
სესხები ეროვნულებიდან შემოსავალი	22	6.95	32%
ეროვნული ბანკის სესხი	40	19.51	49%
ეროვნული ბანკის მოგებიანობის სესხი		2	
პრივატიზაციიდან შემოსავალი	41.5	3.71	9%
საინვესტიციო კრედიტები	127.8	25.99	20%

დასახელება	წლის პროგნოზი	შესრულება	%
			წლის პროგნოზთან
საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	511.7	128.7	25%
საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	389.1	67.26	17%

გრიგოლ ხურცილავას ხელახალი ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

ექიმ-ექსპერტები გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის ახალ ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიულ პორტრეტს 27 აპრილამდე, პროცესის განახლებამდე შექმნიან. განსასჯელი ხურცილავა და მისი ათტომიანი საქმე ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გადაეცემა. "თუ გავითვალისწინებთ მისი ხასიათის ინდივიდუალურ ნიშნებს, იმყოფებოდა თუ არა ძლიერი სულიერი აღელვების ქვეშ განსასჯელი ხურცილავა, როცა მან მკვლელობა ჩაიდინა?" – ეს ის ერთადერთი კითხვაა, რომელსაც ხელახალმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი.

რუსუდან ბერიძე ჩვენების მიცემის დროს.

გიორგი ბახტაძის ფოტო

უკვე ჩატარებული ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც, გრიგოლ ხურცილავა შერაცხადია და მას დანაშაულის ჩადენის მომენტში შეეძლო ეკონტროლებინა საკუთარი თავი და ქცევა, განსასჯელის ადვოკატს არ აკმაყოფილებს და საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ხელახლა შესწავლას მოითხოვს. ამის მიზეზად ადვოკატი დავით დადიანი ექსპერტის სიტყვებს ასახელებს – ხურცილავას ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული შესწავლა ისე მოხდა და ექსპერტიზის დასკვნაც ისე დავწერე, მკვლელობის მოტივი არ ვიცოდიო.

"უმჯობესი იქნება, ექსპერტიზა სასამართლოზე დასახელებული მოტივის შესაბამისად ჩატარდეს და გაირკვეს, დანაშაულის ჩადენისას იმყოფებოდა თუ არა ხურცილავა აფექტში", – ასეთია ადვოკატის მოთხოვნა, რომელსაც გუშინ სახელმწიფო ბრალმდებლები დაუპირისპირდნენ.

პროკურორების აზრით, ხელახალი ფსიქიატრიული ექსპერტიზა მხოლოდ პროცესის გაჭიანურებას შეუწყობს ხელს და ახალს და მნიშვნელოვანს ვერაფერს იტყვის. **"მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ადვოკატის მოთხოვნა, რადგან გამოვრიცხავთ სულიერი აფექტის მდგომარეობას თავად ხურცილავას ჩვენებებიდან და საქციელიდან გამომდინარე. იგი თავად გვიყვება, როგორ მოიქცა გასროლის შემდეგ, როგორ აიღო გასაღები, გააღო კარი, შემდეგ კი საკეტი გარედანაც და შიგნიდანაც ზეწრით გაწმინდა ანაბეჭდების მოსასპობად. როგორც თავად განსასჯელი აცხადებს, მკვლელობის ადგილიდან წამოსულმა ორი მანქანა გამოიცვალა, ისაუბრა მძღოლთან, შემდეგ კი მეგობართან. ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ უკვე ყველაფერი თქვა. ჩვენი აზრით, ჩატარებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა საკმარისია",** - ასეთი გახლდათ პროკურორების მოსაზრება, რომელიც სათათბირო ოთახში ნახევარსაათიანი ფიქრის შემდეგ მოსამართლე გუგუნაშვილმა არ გაითვალისწინა. მოსამართლემ საფუძვლიანად მიიჩნია ადვოკატის მოთხოვნა და განსასჯელს ხელახალი სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაუნიშნა.

მანამდე კი, გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაიკითხა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში რუსუდან ბერიძე, რომელმაც 2-3-წუთიანი დაკითხვით დაადასტურა გრიგოლ ხურცილავას განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავების მეორე დღეს, საგამოძიებო ოპერაციის – დაკითხვის - ჩატარებამდე საპყრობილეში შეხვედრისას ხურცილავამ მას მკვლელობის მოტივი დაუსახელა.

"იმ პერიოდში, როცა ხურცილავა დააპატიმრეს, გავრცელდა ხმები, რომ საპყრობილეში მას პატიმრებისგან საფრთხე ემუქრებოდა. მასთან ამის გამო მივედი. ხურცილავამ თვითონ გადაწყვიტა მკვლელობის შესახებ საუბარი და დეტალურად მომიყვა იმ ღამის ამბები. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ დელიკატურ საკითხზე ასე ღიად მიწევს საუბარი. ჩემი რწმენით, გიორგი სანაია ამას არ იმსახურებდა", - ასეთი იყო რუსუდან ბერიძის ხანმოკლე ჩვენება.

როგორი იქნება გრიგოლ ხურცილავას ახალი ფსიქოლოგიური პორტრეტი და რას აღმოაჩენენ ფსიქოლოგ-ექსპერტები ახალს გრიგოლ ხურცილავას ხასიათში, წინასწარ ძნელი სათქმელია. ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, შემდეგ პროცესზე გაირკვევა, როცა ექსპერტიზის დასკვნა გამოქვეყნდება და ფსიქიატრ-ექსპერტები დაიკითხებიან.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი თავმჯდომარის გარეშე დარჩა

თამარ კაკიტაძე

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ პაატა მხეიძემ, რომელმაც სახელი ციხე-კოლონიების ჩხრეკით გაითქვა, გუშინ იუსტიციის სამინისტროს ყოველკვირეულ თათბირზე გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა.

მართალია, ჩვენი ინფორმაციით, მხეიძემ წარსულშიც ორჯერ მოინდომა სისტემიდან წასვლა, მაგრამ მინისტრმა მისი სურვილი მაშინ არ დააკმაყოფილა. ამჯერად კი, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირწმუნება, გილიგაშვილი მას დაკავებული თანამდებობიდან აუცილებლად გაათავისუფლებს.

პაატა მხეიძის თანამდებობიდან წასვლის მიზეზი, როგორც თვითონ ირწმუნება, მომავალი საპარლამენტო არჩევნები გახდა.

"გადაწყვეტილი მაქვს, თერჯოლის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად ვიყარო კენჭი. საარჩევნო კამპანია, მოგეხსენებათ, საკმაოდ რთული პროცესია. არჩევნებამდე ხშირად მომიწევს იმერეთში ყოფნა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი კი ისეთი სისტემაა, რომელიც ყურადღების ოდნავ მოდუნებასაც ვერ იტანს," – ამბობს მხეიძე, რომელიც მინისტრის სახელზე დაწერილ განცხადებაში ისეთ თანამდებობაზე გადასვლას ითხოვს, სადაც შედარებით მეტი დრო და ნაკლები პასუხისმგებლობა ექნება.

მხეიძე, დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნისას, სისტემაში განხორციელებულ საკადრო პოლიტიკას, ოპერატიული სამუშაოების გატარებას და ციხე-კოლონიების აშენება-გარემონტებას საკუთარ წარმატებად მიიჩნევს.

"ერთადერთი იმაზე მწყდება გული, რომ ქალთა კოლონიის მშენებლობის დასრულება ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში არ მოხდა. ესეც რომ დამემთავრებინა, ჩავთვლიდი, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ჩემი წილი აგური მეც მაქვს დადებული," – ამბობს პაატა მხეიძე და ვარაუდობს, რომ დეპუტატად გახდომის შემთხვევაშიც იზრუნებს იმ სისტემაზე, რომელიც დღეს საკუთარი სურვილით დატოვა.

ჯარისკაცის თვითმკვლელობის მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია

ქართულ არმიაში მორიგი თვითმკვლელობა მოხდა. თელავის 111-ე ბატალიონის ჯარისკაცმა, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში მცხოვრებმა 18 წლის გელა ჯავახიშვილმა საკუთარ სახლში თავი ჩამოიხრჩო. ჯავახიშვილის ოჯახის წევრებისა და ნათესავების მტკიცებით, თვითმკვლელობის მიზეზი სამხედრო ნაწილში შექმნილი პრობლემები გახდა. "გელა ჯავახიშვილს სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა თანამოსამსახურეებთან", - ირწმუნებიან გარდაცვლილის ახლობლები.

გელა ჯავახიშვილი სამხედრო-საველდებულო სამსახურში გასული წლის 22 აპრილს გაიწვიეს, რის შემდეგაც იგი თელავის 111-ე ბატალიონში ჩაირიცხა. იმავე წლის 8 ოქტომბრიდან იგი ერთი თვის განმავლობაში თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობდა. ჯავახიშვილი დეკემბერში გამოცხადდა ვაზიანის სამხედრო ნაწილში და მეთერთმეტე ბრიგადის ხელმძღვანელობას პატაკით მიმართა ნაწილში ჩარიცხვის თხოვნით. თუმცა, როგორც ვაზიანისა და თელავის რაიონის სამხედრო პროკურორებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, ამის შემდეგ ის არც ვაზიანის და არც თელავის სამხედრო ნაწილში უნახავს ვინმეს.

როგორც სამხედრო პროკურეორები აცხადებენ, მოწმდება გარდაცვლილის ახლობლების მიერ დასახელებული ვერსია. "თვითმკვლელობის მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. თუკი ჯავახიშვილის ოჯახის წევრების მიერ დასახელებული მოტივი დადასტურდება, შესაძლოა, საქმე აღიძრას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით", - ასეთია ვაზიანისა და თელავის სამხედრო პროკურორების კომენტარი.

იანვრიდან დღემდე ქართულ არმიაში უკვე მეოთხე თვითმკვლელობა მოხდა. გასულ წელს 21-მა სამხედრო მოსამსახურემ მოიკლა თავი.

რამდენიმე დღის წინ კახეთისა და ქართლის რეგიონებში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებში არსებული ვითარების შესასწავლად მონიტორინგი განხორციელდა. "სამხედრო ნაწილებში სიტუაცია საკმაოდ რთულია როგორც სოციალური, ასევე მორალური თვალსაზრისით," - აცხადებს ომბუდსმენის თანაშემწე სამხედრო საკითხებში ნოდარ ეფრემიძე.

"სამხედრო მოსამსახურეთა პრობლემები, ძირითადად, სოციალურ ხასიათს ატარებს - ესაა კვებასთან დაკავშირებული მძიმე ვითარება, აღჭურვილობის, მედიკამენტების ნაკლებობა, ოფიცერთა მცირე ანაზღაურება, შენობების ავარიული მდგომარეობა.

ზოგიერთ ნაწილში არ არის თეთრეული, ხოლო ფეხსაცმელი, რომელსაც სამხედრო მოსამსახურეებზე გასცემენ, ერთ თვეში ცვდება. ყოველივე ეს არ შეიძლება შეიარაღებული ძალების მორალურ სულისკვეთებაზე არ აისახოს, რისი მაჩვენებელიც დეზერტირობის 2 ათასზე მეტი შემთხვევაა, რომელიც მიმდინარე წელს დაფიქსირდა; სახეზეა სამხედრო ნაწილების არასრული კომპლექტაციაც", - ასეთ შეფასებას აძლევს სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცთა მდგომარეობას სახალხო დამცველის თანაშემწე სამხედრო საკითხებში ნოდარ ეფრემიძე.

დრანდის ციხიდან ქართველი პატიმრები გაიქცნენ

პირველი გვერდიდან

სოხუმში, მომხდარი ფაქტის გამო, განგაშია გამოცხადებული. არძინბას ხელისუფლების შს ორგანოები და რუსეთის სამშვიდობო ძალები საბრძოლო მზადყოფნაზე არიან გადასული. სოხუმის ყველა შესასვლელ-გასასვლელი გადაკეტილია. სამშვიდობოების საგუშაგოებზე, "ცისფერჩაფხუტიანებთან" ერთად, აფხაზი მილიციელებიც მორიგეობენ.

სეპარატისტთა შს სამინისტროს საგამოძიებო განყოფილებამ გაქცეულებზე ძებნა გამოაცხადა, შს სამინისტროს პირად შემადგენლობასა და სამშვიდობოებს გაქცეულთა ფოტოსურათები დაურიგა.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უშიშროების მინისტრი ლევან კიკნაძე ადასტურებს, რომ გაქცევა მოხდა და აფეთქებასაც ჰქონდა ადგილი, თუმცა ლევან კიკნაძე ვერ აკონკრეტებს ქართველი პატიმრები დრანდის ციხიდან გაიქცნენ, თუ სოხუმის იზოლატორიდან. **"საპატიმროდან გაიქცა 9 ქართველი პატიმარი. ამის თაობაზე ჩვენ აფხაზეთის მხარემ მოგვაწოდა ინფორმაცია, მაგრამ დასაზუსტებელია, საიდან გაიქცნენ პატიმრები. თუ სოხუმის იზოლატორიდან გაიქცნენ, მაშინ ინფორმაცია, რომ გაქცეულთა შორისაა გერვასი ჯოლოგუა და მასთან ერთად დაპატიმრებული სხვა ქართველები, სიმართლეს შეეფერება, რადგან ქართველი პარტიზანები სწორედ სოხუმის იზოლატორში იმყოფებოდნენ. თუმცა, ესეც დასაზუსტებელია. შესაძლოა, ქართველი ტუსაღები დრანდის ციხეში გადაიყვანეს. მართალია, ინფორმაცია მივიღე, მაგრამ ეს არ არის ის წყარო, რომლის ნდობაც შეიძლება, ამიტომაც დაზუსტებით რაიმეს თქმა, ჯერჯერობით, მიჭირს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლევან კიკნაძემ.

ქართველ პატიმართა გაქცევის ფაქტს ადასტურებს პარტიზანთა დაჯგუფების "ტყის ძმების" ლიდერი დავით შენგელიაც. **"გაქცევა მართლაც განხორციელდა; როგორც შემატყობინეს გაქცეულთა შორისაა გერვასი ჯოლოგუა, მეტს ვერაფერს გეტყვით,"** – ამბობს შენგელია. სხვათაშორის, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის შს მინისტრი გაქცევის ორგანიზებაში სწორედ ქართველ პარტიზანებს ადანაშაულებს.

ბოლო 9 წლის მანძილზე სოხუმის იზოლატორიდან პატიმრების გაქცევის ეს პირველი შემთხვევაა. აფხაზ სეპარატისტთა უშიშროებისა და შს მინისტრები გაქცევის ხელშეწყობაში იზოლატორის ადმინისტრაციასა და აფხაზ ბადრაგებსაც ადანაშაულებენ. არსებული ინფორმაციით, "ციხე შიგნიდან გატყდა", ამიტომაც გაქცევის მომენტში პოსტზე მყოფი იზოლატორის მორიგეგუშაგები გუშინვე დააპატიმრეს. საუბარია იზოლატორის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზეც. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სოხუმის იზოლატორიდან გაქცევა ჩრდილოეთკავკასიელებმა დაგეგმეს. სწორედ მათ მოისყიდეს გუშაგები და პატიმრებს კორიდორიც მათ გაუკეთეს. არსებული ინფორმაციით, გაქცეულ ტუსაღთა შორის უმეტესობა ჩეჩნები არიან.

ერთი კვირის წინ საქართველოს ომბუდსმენმა ნანა დევდარიანმა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ გერვასი ჯოლოგუასა და სხვა ქართველი პარტიზანებისთვის სასიკვდილო განაჩენის შეცვლის თაობაზე არძინბას შუამდგომლობა გაუგზავნეს. რამდენიმე დღის წინ სოხუმიდან ჩამოსული პასუხი იტყობინებოდა, რომ არძინბა სიკვდილმისჯილ ტუსაღებს განაჩენს შეუმსუბუქებდა.

„მართლმსაჯულების ავტორიტეტის შელახვას არ დავუშვებ"

თამარ კაკიტაძე

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ ტრადიცია დაარღვია და იმ მოსამართლეთა გვარები დაასახელა, რომლებიც, სხვადასხვა კანონდარღვევათა გამო, მოსამართლეთა რიგებს დაემშვიდობნენ.

"ყოველთვის ვიყავი და დღესაც ვიქნები მოსამართლეთა უფლებებისა და დამოუკიდებლობის დამცველი, მაგრამ ბევრმა მოსამართლემ კანონით მინიჭებული იმუნიტეტი ბოროტად გამოიყენა, რის გამოც ხშირად ამა თუ იმ მოსამართლის უღირს საქციელზე საუბრობენ. მე კი მართლმსაჯულების ავტორიტეტის შელახვას არ დავუშვებ. ამიტომ, დღეიდან საჯაროდ გამოვაცხადებ იმ მოსამართლეთა გვარებს, რომლებიც სადისციპლინო საბჭომ თანამდებობიდან გაათავისუფლა", - აღნიშნა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ლადო ჭანტურიამ.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს არსებობიდან დღემდე მანტიას 16 მოსამართლე დაემშვიდობა, მაგრამ მართლმსაჯულების სისტემიდან მათი წასვლა იმდენად უხმაუროდ ხდებოდა, რომ სასამართლო წმენდა საზოგადოებისგან თითქმის შეუმჩნეველი იყო.

ამიერიდან კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უღირს მოსამართლეთა საჯაროდ დასახელებას სისტემატურად აპირებს. გუშინდელ ბრიფინგზე სამი ასეთი მოსამართლის გვარი გახმოვანდა.

სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებით, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეებისადმი გამოჩენილი "ჰუმანურობის" გამო, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ბახტაძე მართლმსაჯულებას დაემშვიდობა. ჭანტურიას ინფორმაციით, ბახტაძეს მკვლელობისათვის, ბანდიტობისთვის და ყაჩაღობისთვის გასამართლებული რამდენიმე პიროვნება პატიმრობიდან გაუთავისუფლებია. მოსამართლის მხრიდან მიღებული "ჰუმანური" გადაწყვეტილებები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საეჭვოდ მიაჩნია და იგი გენპროკურორის სახელზე წარდგინების მომზადებას აპირებს. **"მინდა, გამოძიებამ დაადგინოს, თუ რა მიზეზით მიიღო ბახტაძემ ამგვარი გადაწყვეტილებები,"** – განაცხადა ლადო ჭანტურიამ.

უხეში კანონდარღვევების გამო, ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე კობა ქამხაძე თანამდებობას დაემშვიდობა.

მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭომ მანტია დაატოვებინა გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს ალექსანდრე (მამუკა) ჩხეიძესაც. ეს ის მოსამართლეა, რომელიც გადაცემა "60 წუთმა" ქრთამის აღებაში ამხილა. თუმცა, როგორც ჭანტურია ირწმუნება, გარდაბნის მოსამართლე თანამდებობიდან აღნიშნული გადაცემის გამო არ გაუთავისუფლებიათ. როგორც ცნობილი გახდა, მის მიმართ დისციპლინური დევნა ტელევიზიით მხილებამდე რამდენიმე თვით ადრე ყოფილა აღძრული. ჩხეიძის მოსამართლეთა რიგებიდან დათხოვნის მიზეზიც სწორედ ძველი დანაშაულები გამხდარა. კერძოდ, მას ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე დარბაზში მყოფთათვის უხეშად მიუმართავს და თანაც, გარდაბნის მოსამართლეს განაჩენის აღსრულება გაუჭიანურებია. რაც შეეხება "60 წუთში" ნაჩვენებ სიუჟეტს - გადაცემის ეთერში გასვლის მეორე დღესვე ლადო ჭანტურიას გენპროკურორისთვის მიუმართავს და გამოძალვის ფაქტის გამოძიება მოუთხოვია. თითქმის ხუთთვიანი გამოძიების შემდეგ, კანონის თანახმად, გენპროკურორს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის თანხმობა უთხოვია, რათა ჩხეიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო. **"გავეცანი პროკურატურიდან გამოგზავნილ მასალებს და მიმაჩნია, რომ საკმარისი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ჩხეიძეს იმუნიტეტი მოეხსნას,"** – აღნიშნა ლადო ჭანტურიამ.

შესაძლებელია, მოსამართლეთა რიგებს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეიმურაზ ტაბატაძე და კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზურაბ მებონიაც დაემშვიდობონ. ორივე მოსამართლის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება სადისციპლინო კოლეგიამ უკვე მიიღო. მაგრამ კანონის თანახმად, "დასჯილ" მოსამართლეებს უფლება აქვთ, საკუთარი უფლებები იმავე სადისციპლინო კოლეგიაზე დაიცვან. სწორედ კოლეგიის "განაჩენის" შემდეგ გადაწყდება მართლმსაჯულებაში მათი ყოფნა-არყოფნის საკითხიც.

"დამნაშავე მოსამართლეების მიმართ მომავალშიც უკომპრომისოები ვიქნებით. მართალია, ქვეყანას არ სჭირდება შეშინებული მოსამართლე, მაგრამ კანონდამრღვევი მართლმსაჯულების წარმომადგენელი სახელმწიფოსთვის უარესია," – ამ სიტყვებით დაასრულა გუშინდელი შეხვედრა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

რუსეთი ქისტ პატიმრებს ტერორიზმში ადანაშაულებს

რუსეთ-საქართველოს საზღვართან დაკავებულ ქისტებს საოლქო სასამართლო განაჩენს დღეს გამოუტანს. გუშინ გამართულ პროცესზე პროკურორმა ედიშერ ქარჩავამ განსასჯელი ქისტების წინააღმდეგ ახალი ბრალდება წარმოადგინა: პროკურორის თქმით, რობიზონ მარგოშვილი და გიორგი კუშტანაშვილი, რუსეთის გენერალური პროკურატურიდან გადმოგზავნილი დოკუმენტების თანახმად, ბრალდებულნი არიან ტერორიზმსა, მკვლელობებსა და სხვა სერიოზულ დანაშაულში.

თეა ხოფერია

"მე ვითხოვ, ბრალდებულებს იარაღის უკანონოდ ტარებისთვის ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯოთ. საქმე ხელახალ გამოძიებას უნდა დაუბრუნდეს საზღვრის უკანონოდ გადმოლახვასთან დაკავშირებით და რუსეთიდან გამოგზავნილი ახალი დოკუმენტების შესასწავლად,"– ასეთი მოთხოვნა დააყენა პროკურორმა ქარჩავამ.

ქისტების ადვოკატები სრულიად აბსურდულს უწოდებენ ბრალდების მხარის ასეთ მოთხოვნას და დარწმუნებულები არიან, რომ ქისტები დარბაზიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ. ადვოკატ კახა არაბიძის მტკიცებით, ბრალდებული ქისტები ნამდვილად საქართველოს მოქალაქეები არიან. ისინი რუსეთ-საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოლახვაში იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ იქნებიან დადანაშაულებულნი, რომ მწყემსი ქისტები საერთოდ არ გასულან საქართველოს ფარგლებს გარეთ. არაბიძის თქმით, ამ ფაქტის არაერთი მოწმე არსებობს (ადვოკატის მტკიცებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არ არის განსაზღვრული ზუსტი საზღვარი). რაც შეეხება იარაღის უკანონოდ ტარებას, ამ ბრალდებაში ადვოკატები ქისტებს სრულიად უდანაშაულოდ მიიჩნევენ.

ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი, რომელიც გუშინდელ პროცესს ესწრებოდა, დარწმუნებულია, რომ ქისტები, მტკიცებულებების უქონლობის გამო, პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდნენ. **"ბრალდების დამამტკიცებელი ერთი საბუთი მაინც ჰქონდეთ. თავ-პირს იმტვრევენ, რომ ერთგულება დაუმტკიცონ რუსებს. ზღაპარია, რასაც აქ ლაპარაკობენ. დარწმუნებული ვარ, რომ განსასჯელებს გაათავისუფლებენ,"** – აცხადებს ხიზრი ალდამოვი. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი პატიმარი, რობიზონ მარგოშვილი, ხიზრი ალდამოვის დისშვილია.

მხარეთა კამათის დასრულების შემდეგ გუშინდელი პროცესი დღეისთვის გადაიდო. დღეს ცნობილი გახდება, ვის პოზიციას გაიზიარებს მოსამართლე, რომელმაც განსასჯელებს განაჩენი უნდა გამოუტანოს.

მოკლედ

თბილისი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან თბილისის მე-5 საპყრობილეში გადაყვანილი პატიმარი, 33 წლის ვასილ ონოფრიშვილი აცხადებს, რომ პოლიციის განყოფილებაში სცემეს. ონოფრიშვილი 2 აპრილს ქურდობის ბრალდებით დააკავეს. მე-5 საპყრობილეში შეყვანისას პატიმარს აღენიშნებოდა ხუთი ჭრილობა თავზე, ნახეთქი ჭრილობა ზედა ტუჩზე, ნაკაწრები ცხვირზე, დაზიანებები ბეჭისა და წვივის არეში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი მაია ნიკოლეიშვილი შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.ნარჩემაშვილმა ექსპერტს მედალი გამოძიებაში შეტანილი წვლილისთვის გადასცა. „სკოლის დამთავრების შემდეგ, როდესაც ოქროს მედლით დამაჯილდოვეს, მედალი აღარ მიმიღია და ძალიან გამიხარდა," – განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტი შევარდნაძე სახელმწიფო მოხელეების იმუნიტეტთან დაკავშირებით აცხადებს, რომ საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება. „იმუნიტეტი არ უნდა იცავდეს იმ ხალხს, რომელთაც უკანონო გზით დიდძალი ქონება და შესაბამისი გავლენა აქვთ ნაშოვნი. იმუნიტეტი არ უნდა აძლევდეთ მათ საშუალებას, თავი აარიდონ კანონიერად დასმულ შეკითხვებს. ამაზე სამართლებრივი რეაგირება იქნება ის რეფორმები, რომლებიც ამჟამად სამართალდამცავ ორგანოებში მიმდინარეობს," - განაცხადა პრეზიდენტმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში აცხადებენ, რომ პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით არის აღძრული და საქმე შერიგებისა თუ ბოდიშის მოხდის გამო არ დაიხურება. პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა მამუკა გვარამიამ განაცხადა, რომ გენერალური პროკურატურა დღემდე ელოდება პარლამენტის ოფიციალურ პასუხს ცისკარიშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე. თუ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დეპუტატს იმუნიტეტს არ მოუხსნის, იმუნიტეტის გასვლამდე ძიება შეჩერებული იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება თურქული გემის "შექერ ბაბას" 265 ათასი ლარით დაჯარიმების თაობაზე.

სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა მამალაძემ არასაკმარისად მიიჩნია მოსარჩელე მხარის მტკიცებულებები და სამართლიანად ჩათვალა ფოთის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევ და უკანონო თევზჭერით დაკავებულ გემს აღნიშნული ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. **ინტერ-პრესი**

ზურაბ აბაშიძე: "ეს არის აშკარა საბჭოთა მენტალიტეტი"

რუსეთის პარლამენტმა საქართველო-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებაზე სპეციალური განცხადების განხილვა ოთხშაბათს, 9 აპრილისათვის დანიშნა. ამაში გასაკვირი არაფერია - პარლამენტი, როგორც ყოველთვის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მითითებას ელოდება. არც ის იქნება გასაკვირი, თუ რუსეთის პარლამენტსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არც კი გაახსენდებათ, თუ რას ნიშნავს 9 აპრილი საქართველოსათვის.
რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩთან - ზურაბ აბაშიძესთან ჩვენი საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო.

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

- დასანანი იქნება, თუკი საკითხის განხილვა 9 აპრილს დაემთხვევა. ჩვენ ამ საკითხზეც ვესაუბრეთ რუსეთის პარლამენტის ხელმძღვანელობას. მათ გულწრფელად აღიარეს, რომ არ ახსოვდათ ეს თარიღი. ამიტომ იმედი მაქვს, თუკი განხილვას მაინც გადანყვეტენ, ეს 9 აპრილს არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში, ასეთი დაპირება მოგვცეს.

- ბატონო ზურაბ, თუ იცით, რა პოზიცია აქვს პარლამენტის ხელმძღვანელობას ამ განცხადების მიმართ? დაუჯერებელია, რომ ყველა ასე აგრესიულად იყოს განწყობილი რუსეთის პარლამენტში.

- დღეისათვის ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი დეპუტატის, ბატონი ჩეხოევის ინიციატივა, რომ სათათბირომ განიხილოს ეს საკითხი და მიღოს შესაბამისი დადგენილება, რომლის პროექტიც ხსენებულმა დეპუტატმა მოამზადა და მანვე გაავრცელა სათათბიროში. მას ამის უფლება, რა თქმა უნდა, ჰქონდა. ამ საკითხზე სათათბირომ იმსჯელა და გადადო მსჯელობა, რადგანაც დარღვეული იყო გარკვეული პროცედურული ასპექტები. ჯერ იმის თქმა, რომ დუმამ რაღაცნაირად თავისი პოზიცია გამოხატა, ნაადრევია. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ვნებათაღელვა არ ღირს.

არც განცხადების ტექსტის პროექტის კომენტირება მიმაჩნია აუცილებლად, ბატონი ჩეხოევის მიერ მომზადებულ პროექტზეც არ ღირს დროის დაკარგვა. ამ დეპუტატის პოზიცია საქართველოს მიმართ და მისი მსოფლმხედველობა, ავად თუ კარგად, ჩვენთვის ცნობილია. მაგრამ სხვა იქნება, თუ ასეთი დოკუმენტი ფართო მხარდაჭერას ჰპოვებს მთელ სათათბიროში. მე ვესაუბრე ჩემს რუს კოლეგებს, რუსეთის ფედერაციის საბჭოს წარმომადგენლებს, რომლებიც საღად და სერიოზულად მოაზროვნე ხალხია. ისინი სამართლებრივად იაზრებენ ამ საკითხებს და წინაც იხედებიან. გვარებს არ ჩამოვთვლი, მაგრამ ისინი არ ფიქრობენ, რომ ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, ასეთი რეაქცია უნდა გამოიწვიოს მესამე ქვეყნის პარლამენტში. ჩემთვის გასაგებია - შეიძლება ვინმეს არ მოსწონდეს საქართველო-აშშ-ს ურთიერთობები, მაგრამ როგორც წესი, ასეთ რამეზე სერიოზული უკმაყოფილების გამოხატვა კულუარულად ხდება, მაგრამ არა ისე, რომ სუვერენულ სახელმწიფოში გაფორმებულ ხელშეკრულებაზე რუსეთის დუმა დადგეს და დოკუმენტი მიიღოს. ეს იურიდიული ნონსენსია. რაზეა ბოლოს-დაბოლოს საუბარი? საქართველო აფორმებს ხელშეკრულებას ამერიკასთან, რომელიც არის რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენ ერაყთან ხომ არ ვდებთ ამ ხელშეკრულებას?

- ნუთუ ამას ვერ ხვდებიან რუსი პარლამენტარები და ზოგიერთი მძიმეწონიანი პოლიტოლოგი?

- ეს არის აშკარა საბჭოთა მენტალიტეტის, ცივი ომის მენტალიტეტის გადმონაშთი, როცა ყველაფერი, რაც აშშ-სთან იყო დაკავშირებული, რუსეთისათვის საფრთხედ აღიქმებოდა. ამ ლოგიკის მიხედვით, საქართველოს ცაში ამერიკული თვითმფრინავი ცუდია რუსეთისათვის, ხოლო ნატო – აგრესიული ბლოკია. ფსიქოლოგიურად შემიძლია ჩვენი რუსი კოლეგების გაღიზიანების გაგება. დიდი სახელმწიფოს მოქალაქეს, ალბათ, მოვლენების სხვა ხედვა და სხვა ამბიციები აქვს. ამას წყნარად უნდა შევხედოთ. თუ ჩვენ უფრო მკაფიოდ გაგვარკვევენ, რას ნიშნავს რუსეთის სტრატეგიული ინტერესები კავკასიაში, მაშინ ჩვენი მოქმედებანიც უფრო ადეკვატური იქნება.

თუ რუსეთთან გეოგრაფიული მეზობლობა იმას ნიშნავს, რომ საქართველომ აშშ-სთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან არ ითანამშრომლოს, მაშინ ეს რაღაც სხვას მოასწავებს. თუ რუსეთი და აშშ სტრატეგიული პარტნიორები არიან და ერთად ებრძვიან საერთაშორისო ტერორიზმს, ხოლო ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტები ერთობლივ განცხადებებს აკეთებენ იმაზე, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების სფეროში რუსეთი და აშშ საქართელოს დახმარებას აღმოუჩენენ, მაშინ სად არის აქ წინააღმდეგობა და რატომ უნდა აღიქვამდეს ამას რუსეთი, როგორც მის წინააღმდეგ მტრულ ნაბიჯს? მაგრამ საქმეც იმაშია, რომ რუსი დეპუტატების ერთი ნაწილის ხედვა არ შეესაბამება უმაღლესი ხელისუფლების პოზიციას. იმ განცხადებებსაც თუ გადავხედავთ, რაც ბოლო ხანს პრეზიდენტმა პუტინმა გააკეთა და მათ პარლამენტის განწყობას შევადარებთ, განსხვავება აშკარად სახეზეა. მხედველობაში მაქვს ერაყის მოვლენები, რის მიმართაც რუსეთის ხელისუფლება, პარლამენტის ორივე პალატისაგან განსხვავებით, უფრო ფრთხილ და წინდახედულ პოზიციას იკავებს. ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტ პუტინის უკანასკნელი განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთი, საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დაინტერესებული არ არის ერაყში აშშ-ის დამარცხებით. ეს, ფაქტობრივად აშშ-ს მხარდაჭერაა.

- სიტყვამ მოიტანა და პირადად თქვენ რითი ხსნით იმას, რომ მოსკოვში არ იმართება ერაყში ომის წინააღმდეგ მიმართული ხალხმრავალი მანიფესტაციები?

- ახსნა სწორედ ესაა - უმაღლესი ხელისუფლება აცნობიერებს, რომ უპირველეს ყოვლისა აშშ-სთან ურთიერთობის გაუარესება არ შედის რუსეთის ინტერესებში.

- ისევ რუსეთის დუმაში მომზადებულ განცხადებას დავუბრუნდეთ. თუ არის იმის საშიშროება, რომ რუსეთის დუმაში აგორებულ ამ ისტერიას შეეწიროს რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულება?

- არ მინდა, ამას ზედმეტი მნიშვნელობა მივანიჭო. თუ სათათბიროში ასეთ დოკუმენტს მიიღებენ, ეს პირველ რიგში რუსეთის საერთაშორისო იმიჯისათვის იქნება ცუდი. დოკუმენტის მიღებამ შეიძლება იმოქმედოს ჩარჩო ხელშეკრულების მომზადების ტემპებსა და დინამიკაზე, მაგრამ ესეც დროებითი მოვლენა იქნება. ჩვენ ამის გამოცდილება გვაქვს, როცა რამდენჯერმე

ბესო ბელეიშვილის ფოტო
ზურაბ აბაშიძე

გადადეს ხელშეკრულებაზე მუშაობა. მაგრამ ეს ჩარჩო ხომ მარტო საქართველოს არ სჭირდება? ცუდია და გაუგებარი, როცა გარკვეული პოლიტიკური წრეები უდიერად ექცევიან იმ განწყობასა და პოზიტივს, რაც სოჭში პრეზიდენტების შეხვედრაზე იყო მიღწეული. ამის გაზვიადება ჯერ არ შეიძლება. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს დუმა. რას მიაღწევს ამით რუსეთის პარლამენტი.

- თუ რუსეთის პარლამენტი მაინც თავისას გაიტანს, როგორ აისახება ეს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე?

- გაუარესდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების ატმოსფერო და ფონი. მერე, ალბათ, ჩვენ პარლამენტშიც გამოჩნდება ვინმე, ვინც ადეკვატურ რეაქციას მისცემს ამ აქტს და არანაირ სიკეთეს ეს არ მოიტანს, უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოებრივ აზრსა და ადამიანების განწყობაზე. მაინც ვიმედოვნებ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და ემოციებს არ გადააყოლებენ იმ პოზიტივს, რაც ბოლო დროს ორი ქვეყნის ურიერთობებში დაგროვდა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ჩემი შეხვედრები პარლამენტში.

- საინტერესოა, რას ამბობენ რუსეთის სათათბიროში, მაინც რატომ აღიზიანებთ საქართველო-აშშ სამხედრო თანამშრომლობა დუმის ცნობილ დემოკრატებსაც, ვინც საქართველოსადმი ადრე ლოიალურად იყვნენ განწყობილნი?

- ჩვენ მათ განვუმარტეთ, რომ ამ სახით საქართველო გამოხატავს თავის მადლიერ დამოკიდებულებას ამერიკისადმი, რომ ჩვენ განსაკუთრებულ პირობებს ვუქმნით ამერიკელებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს არ არის შვიდი ან თხუთმეტი ათასი ჯარისკაცი. სულ ოთხმოც კაცზეა ლაპარაკი. მათ ექნებათ ის პრივილეგიები, რითიც საელჩოების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი სარგებლობს: უვიზოდ გადაადგილება, გათავისუფლება საბაჟო გადასახადებისაგან და სხვა. ეს ჩვენს სახელმწიფო ინტერესებში შედის, რომ მათ ბარიერები არ შეექმნათ. კი მაგრამ, საქართველოს ტერიტორიაზე უვიზო გადაადგილების უფლება არ ჰქონდათ ჩვენს რუს კოლეგებსა და სამხედროებს? ვინ შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოსა და რუსეთს შორის: ჩვენ და ამერიკელებმა? განა არ მოვაწერეთ ხელი 1995 წელს რუსეთთან ხელშეკრულებას 25 წლის მანძილზე სამხედრო ბაზებზე? რას ვთხოვდით რუსეთს: რომ აფხაზეთში დაგვხმარებოდნენ და ხელი შეეწყო ჩვენი ჯარის მშენებლობაში. ვთხოვდით იმას, რაც ამერიკელებმა საკუთარი ინიციატივით შემოგვთავაზეს. რაც შეეხება დემოკრატიული ყაიდის პოლიტოლოგებს, ზოგიერთი მათგანი კარგად რომ "გაფხიკო", შიგნით მაინც შოვინისტს აღმოაჩენ.

- როგორ პოზიციას დაიკავებს მთელ ამ ისტორიაში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი?

- არა მგონია, ბატონი პრეზიდენტი ამ დისკუსიაში ჩაერიოს. დარწმუნებული ვარ, რომ იგი საქართველო-აშშ-ს ხელშეკრულებას სერთაშორისო პოლიტიკის კონტექტსში განიხილავს. ეს არის მასშტაბური ხედვა, და პუტინმა ეს არაერთხელ აჩვენა, მაგალითად, როცა შუა აზიაში აშშ სამხედრო კონტიგენტის გამოჩენას დაუჭირა მხარი, როცა ერაყის მოვლენებთან დაკავშირებით გამოხატა თავისი პოზიცია, როცა აფხაზეთზე საუბრისას გადადგა ცნობილი ნაბიჯები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში საქართველოსადმი მაინც ფართო და მასშტაბური ხედვაა და დასავლეთთან ჩვენს მჭიდრო ურთიერთობებსაც მეტი გაგებით ეკიდებიან.

"ჯანსაღი გარემოს" დღიური

ნანა ქადაგიშვილი
ეთერ მამულაშვილი
თამარ დვალი

ჯანდაცვის საერთაშორისო დღის, 7 აპრილის დევიზია "ჯანსაღი გარემო ბავშვებისათვის", რამაც განსაზღვრა კიდეც ოფიციოზის გუშინდელი პროგრამა - ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრების მონახულება.
ზუსტად ვერავინ გეტყვით, რამდენი მაწანწალა ბავშვი დატანტალებს თბილისის ქუჩებში და რა ბედი ელით მათ მომავალში. სახელმწიფო მხოლოდ მათზე ზრუნავს, ვისი აღრიცხვაც მოახერხა. მერიის მონაცემებით, ასეთი ბავშვი ათასამდე იქნება.
ისინი ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ, სწავლობენ და იზრდებიან. სახელმწიფო მათ 16 წლამდე, ასე თუ ისე, უპატრონებს...

ბესო ბელეიშვილის ფოტო
ჯერჯერობით ერთ სკამს იყოფენ

მინისტრს იმედი აქვს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წლევანდელი ღონისძიება არაჯანსაღი გარემოს მიზეზით შექმნილ პრობლემებს მიუძღვნა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ამირან გამყრელიძის ცნობით, პრეზიდენტის განკარგულებით, ამოქმედდება მრავანლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოს მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას ითვალისწინებს. აღნიშნულ პროგრამაში ჯანსაღ გარემოზე პასუხისმგებელი ყველა უწყება ჩაერთვება. მინისტრს იმედი აქვს, რომ ამ პროგრამის ამოქმედება ქვეყნის გარემოს გაჯანსაღებას სერიოზულად შეუწყობს ხელს...

ჩვილებთან და "ბეღურებთან"

გუშინ ბავშვების პირველი სტუმარი მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობა იყო. დავით პავლიაშვილმა და ციცო გუგავამ ჯერ ჩვილ ბავშვთა სახლი მოინახულეს, შემდეგ – მაწანწალა ბავშვთა თავშესაფარი "ბეღურები". ერთ დროს ჰუმანიტარული დახმარებით განებივრებულ ჩვილ ბავშვთა სახლს, სადაც დღეს 126 უმწეო ბინადარია, მძიმე პერიოდი უდგას. მისი ბიუჯეტი 1997 წლის შემდეგ არ შეცვლილა, თუმცა ჩვილთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. დაფინანსება დროულად მოდის, მაგრამ საკმარისი არ არისო, - თქვა სახლის დირექტორმა, ავთანდილ ბუბუტეიშვილმა და... მერიას ყურადღებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

განსხვავებული მდგომარეობაა "ბეღურებში" - მას არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო" პატრონობს. ამ თავშესაფარში 30 ბავშვი ცხოვრობს, მაგრამ დღის განმავლობაში სამეცადინოდ და საკვებად ასზე მეტი ხელმოკლე ოჯახის შვილი აკითხავს. თბილისში ხუთამდე ასეთი თავშესაფარი და ბავშვთა ათი სახლია, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, იცხოვრონ 16 წლამდე. რა იქნება შემდეგ? ეს პრობლემა ყოველთვის მწვავედ იდგა და, ისევ საბავშვო სახლების ხელმძღვანელობის კერძო ინიციატივებით, ინდივიდუალურად წყდებოდა. ამ მიმართულებით მუშაობა ქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმაც დაიწყო. შეიქმნა "ბავშვთა უფლებების კონვენციის უზრუნველყოფის საკოორდინაციო ცენტრი," რომელიც სწორედ მზრუნველობამოკლებული ბავშვების პრობლემებზე იმუშავებს და მათ შემდგომ ბედზეც იზრუნებს.

მოგვიანებით ჩვილ ბავშვთა სახლს ჯანდაცვის მინისტრი, ამირან გამყრელიძეც ესტუმრა. როგორც მან განაცხადა, იგი ასეთ დაწესებულებებს წელიწადში, მინიმუმ, სამჯერ მაინც სტუმრობს. ამჯერად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად პატარებს მედიკამენტები, ჩასაცმელი და ტკბილეულობა მიუტანა.

ნინოსაც იმედი აქვს

გუშინდელი ვოიაჟი მინისტრმა უნარშეზღუდულ ბავშვთა პანსიონატ "ნატვრის ხეში" დაასრულა. სტუმრის გამოჩენა აქ დიდი დღესასწაულია, რისთვისაც ყველა განსაკუთრებულად ემზადება. ასე იყო გუშინაც - ბავშვები ყველანაირად ცდილობდნენ, თავი გამოეჩინათ; ლექსისა და სიმღერის შესრულების დროს ღელავდნენ, უნდოდათ უშეცდომოდ წარმოეთქვათ, თავი მოეწონებინათ...

დერეფნის შუაგულში "ამოზრდილმა," დაახლოებით, ორმეტრიანმა ხემ ემოციური მუხტი კიდევ უფრო გააღვივა. სურვილების ხე - ასე ჰქვია ამ საოცრებას, რომლის დახმარების იმედი თითოეულ იქ მყოფ ბავშვს აქვს.

სურვილების ხე ულამაზესი ბაფთებით, იშვიათი ფერის ლენტებით და ერთი და იგივე შინაარსის ნატვრის ბარათებით არის აჭრელებული. თანატოლებისგან განსხვავებით, ისინი არც "ბარბიზე" ოცნებობენ და არც "ბეტმენზე". აქაურთა ნატვრა მალე გამოჯანმრთელება და სკოლაში წასვლაა.

"მინდა, რომ მალე ფეხზე გავიარო და სკოლაში სხვების დაუხმარებლად გარეშე წავიდე," - თორმეტი წლის ნინოს დაბადებიდან ცერებრალური დამბლა აქვს, დღის მნიშვნელოვან ნაწილს პანსიონატში ატარებს, იმედი აქვს, რომ ეს ნატვრა სექტემბერში აუცილებლად შეუსრულდება...

ერთი უჯრის ამბავი...

ხათუნა გულავა
ლონდონი

დღეს უცხოეთში ბევრი ქართველია გახიზნული. ზოგი გაჭირვებისა და ზოგიც დალხინების გამო. ზოგჯერ კი, ბედის საძებნელად წასულთ, ისეთი ადამიანებიც ხვდებიან, ვინც საქართველო იცის და სულაც არ მიაჩნია განვითარებად ბანანის რესპუბლიკად. რედაქციაში ლონდონიდან გამოგზავნილ ამ წერილში სწორედ ერთ ასეთ ადამიანზეა მოთხრობილი... თუკი ამ წერილის გმირი - ნიკოლას მაინერცაგენი ოცნებას აისრულებს და საქართველოში ჩამოვა, უფრო დაწვრილებით „მისი" საქართველოს შესახებ მაშინ ვისაუბრებთ.

ნიკოლას მაინერცაგენის პორტრეტი

ლონდონში, სახლში, საწერი მაგიდის პირველ და საპატიო უჯრაში ორად ორი ნივთი უდევს - ქართული ვერცხლის ძველებური ქამარი და 1814 წელს გამოშვებული პირველი პრინტირებული ბიბლია. ეს ნივთები ლონდონში დაბადებული, 60 წლის ნიკოლას მაინერცაგენისთვის ოჯახური რელიქვიაა...

ჩემი წინაპრები გერმანიიდან 1828 წელს გადმოსახლებულან დიდ ბრიტანეთში. საქართველო კი ბავშვობიდან მიყვარს. ბიძაჩემს, ლუის მაინერცაგენს, 1910 წელს თავის დასთან ერთად საქართველოში უმოგზაურია. მთელი ბავშვობა საქართველოსა და ქართველების შესახებ მესმოდა. ფუნდამენტური, რთული და ინდივიდუალური ხასიათი გაქვთ. დიდი სიყვარული შეგიძლიათ, რასაც სხვა ნაციაში იშვიათად შევხვედრილვარ. მაშინაც კი, როცა საქართველო რუსეთის რესპუბლიკა იყო და უმეტესობა რუსეთად აღიქვამდა, ჩემთვის საქართველო ყოველთვის ინდივიდუალობით გამორჩეული ქვეყანა იყო.

ნიკოლას მაინერცაგენი არისტოკრატული ოჯახიდანაა. მისი დიდი ბაბუა, ბაბუა, მამა და თავადაც კემბრიჯში, იგივე კოლეჯში სწავლობდნენ, სადაც პრინცი ვილიამი ეუფლება ცოდნას....

ნიკოლასი თავად შემომეხმიანა და მთხოვა, მესტუმრე საინტერესო რამ უნდა გაჩვენოო... ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სწორედ ეს საინტერესო რამ გახდა ამ წერილის დაწერის მიზეზი - ეს იყო ალბომად აკინძული მეოცე საუკუნის გარიჟრაჟის საქართველოს სურათები. ბიძამისი, ლუის მაინერცაგენი საქართველოს მთაში, ისეთ ადგილებშია ნამყოფი, სადაც ბევრ ჩვენგანს ფეხიც კი არ დაუდგამს. ეს ალბომი კი ბიძამისისთვის იყო განსაკუთრებულად ძვირფასი და ახლა ნიკოლას მაინერცაგენისთვისაა განძი.

საქართველოში ჩამოსვლა ოცნებად მაქვს გადაქცეული, - ამბობს - მაგრამ, ხან ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს და ხანაც ცოტა არ იყოს, თქვენი პოლიტიკური ვითარება მაშინებს. იმედი მაქვს, ამ ზაფხულს მაინც შევისრულებ დიდი ხნის ოცნებას...

იცნობს ძალზე ბევრ ინგლისში მცხოვრებ ქართველს და საოცარ სიამოვნებას გვრის, როცა ქართველებს ერთმანეთს აკავშირებს. ასეთ დროს ის გაცილებით უფრო ბედნიერია, ვიდრე რომელიმე მათგანი.

ლონდონში (ალბათ, მთელს ინგლისშიც), ძალზე იშვიათად შეხვდები ადამიანს, რომელსაც რაიმე სმენია საქართველოს შესახებ. რომ ვეუბნები, საქართველოდან ვარ-მეთქი, უმეტესობა გაოცებული სახით მიყურებს და მეკითხება - საიდან?

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

ჩვენი იარაღი საზოგადოების მხარდაჭერაა

მაია ჭალაგანიძე

ახალი, მართლაც, არაფერი მომხდარა. ბლოკი - შევარდნაძე-ჯორბენაძე-რჩეულიშვილი-ჩხაიძე-(იმედია, ვიტალი ხაზარაძეც) მუდამ არსებობდა. დღეს, უბრალოდ, ეს ოფიციალურად გაცხადდა. ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი გერგეთის ქუჩაზე, მსხვილ გადამხდელთა კავშირში შემდგარი შეხვედრის საპირწონედ გადადგა... პურის არმქონე საზოგადოებას სანახაობა ესაჭიროება. ამიტომაც, ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამ სანახაობას არ გვაკლებს და დრო და დრო სხვადასხვა სოუსით შემოგვთავაზებს-ხოლმე. პრეზიდენტმა ორშაბათის ბრიფინგზე განაცხადა, რომ არ აპირებს კურსის შეცვლას. ეს კი ნიშნავს, რომ მისი საარჩევნო ბლოკის გამარჯვების შემთხვევაში, ყველაფერი ისევ ისე გაგრძელდება. უფრო მეტიც - არსებული უკანონობა, კორუფცია და სხვა დანარჩენი - დაკანონდება. რადგანაც საზოგადოებას ასე გაგრძელება აღარ შეუძლია, თუ ხალხს ამის თავი ექნა - რევოლუცია გარდაუვალი იქნება. საქართველო ამას ნამდვილად ვერ გადაიტანს. რას უპირისპირებს ამას მეორე საარჩევნო ცენტრი - მსხვილი ბიზნესმენები და ოპოზიცია, კერძოდ კი "ახლები"? გვესაუბრება "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე.

დავით ხერხეულიძის ფოტოლენტი

- "მსხვილ გადამხდელთა კავშირში" გამართული შეხვედრისა და პათოსის საპასუხოდ, პრეზიდენტმა საარჩევნო ბლოკი შეკრა. თქვენი აზრით, რას მოიტანს ეს გაერთიანება და კიდევ ვინ შეიძლება შეუერთდეს მათ?

- გერგეთის ქუჩაზე შეკრებილი ბიზნესმენები ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, სრულიად ობიექტურად გამოხატავდნენ შეშფოთებას. ეს აწუხებთ არა მხოლოდ ბიზნესმენებს, არამედ საზოგადოების ყველა ფენას. ყველა შეშფოთებულია არსებული სიტუაციით, უხელფასობით, უპენსიობით...

ბიზნესმენებს ბიზნესისადმი აგრესიული დამოკიდებულება აწუხებთ. შეხვედრაზე საუბარი იყო ბიზნესის განვითარებისთვის ხელის შეწყობაზე. სწორედ ბიზნესია სამუშაო ადგილების და იმ დოვლათის შემქმნელი, რომლის გარეშეც ქვეყანა ფეხზე ვერ დგება.

რაც შეეხება ჩვენს მონაწილეობას, მე და ჩემი პარტიული მეგობრები მიწვეულნი ვიყავით, როგორც „გადამხდელთა კავშირის" ყოფილი წევრები. ვთქვით, რომ თუ თქვენ ამ უკმაყოფილებას რეალურად გამოხატავთ, მაშინ ეს პირდაპირ ხელისუფლების მისამართით უნდა გააკეთოთ და დემოკრატიულ არჩევნებზე იზრუნოთო. სხვა შემთხვევაში, ამ ხელისუფლებისაგან უკეთესის მოლოდინი ნამდვილად მიამიტობაა.

რაც შეეხება, საპასუხო რეაქციას. ჩემის აზრით, ხელისუფლება არაადეკვატურად გაღიზიანდა. ეს გამოიხატა მრეწველთა ოფისში ჯორბენაძისა და მრეწველების შეხვედრით, რაც ბიზნესის გახლეჩვისა და დაპირისპირების მცდელობა იყო. ამას მოჰყვა განცხადებები, რომ ჯორბენაძე და ხელისუფლება ეყრდნობა „ავღანელთა კავშირს", მეომრებს. ეს იმდენად ამოვარდნილი იყო კონტექსტიდან, რომ, გარკვეულწილად, კუნთებზე ყურებად და მუქარად აღიქმებოდა. ეს იყო მინიშნება - ხელისუფლება მზად არის მოწინააღმდეგეებს ფიზიკური ძალით გაუსწორდეს.

რაც შეეხება შევარდნაძის ირგვლივ ბლოკის გაერთიანებას - ახალი არაფერია, თუ არ ჩავთვლით, რომ შევარდნაძე აშკარად და ღიად ჩაერთო ამ ბლოკის ხელმძღვანელობაში. ვფიქრობ, ეს ამ ბლოკის სრული ფიასკო და იმის აღიარება გახლავთ, რომ იგი, როგორც პოლიტიკური ძალა, გაკოტრდა და გარშემო სრულიად ურეიტინგო და საზოგადოების მხარდაჭერის არმქონე ფიგურები შემოიკრიბა.

აქცენტი სწორედ ადმინისტრაციულ რესურსზე კეთდება. საუბარია სახელმწიფო ფულზე. ავიღოთ, თუნდაც, ის უცნაური განცხადებები, რომ თურმე, სახელმწიფო და ხელისუფლების დახმარებით შექმნილი საწარმოები ვალდებულნი არიან, ფული ამ ბლოკში მიიტანონ. ეს სრულიად გაუგებარი და საგანგაშოა.

- დღევანდელ პოლიტიკურ სურათს თუ გადახედავთ, რა პერსპექტივები აქვს ამ ბლოკს?

- ჩემი აზრით, ეს ბლოკი მკაფიოდ გამოხატავს თავის რუსულ ორიენტაციას (თუკი ასეთი რამ გააჩნია). სამწუხაროდ, მათ ისიც კი არ იციან, რომ რუსეთშიც რეიტინგიანი და პოპულარული პოლიტიკური ძალები სჭირდებათ და არა ურეიტინგო. ალბათ, აქედან გამომდინარეა, რომ ვახტანგ რჩეულიშვილმა კრემლის ზღურბლი ვერ გადალახა და ვერ მიაღწია იმ სიმაღლეებს, რომელიც მას სჭირდება... ასეთ ძალებს პერსპექტივა არ აქვს არც ამერიკაში და არც რუსეთში. ჩემი აზრით, პრეზიდენტი ამერიკისკენ მიმავალ უკანასკნელ გზას იჭრის, რადგანაც ამგვარი ტიპის ადამიანები ამერიკელებს საფრთხობელებივით აშინებთ.

ბლოკს ერთადერთი პერსპექტივა აქვს - გამოიყენოს პოლიტიკური ძალდობის მეთოდები. სახელისუფლო ძალების მხრიდან ამის ტესტირება სწორედ ბიუჯეტის მიღების დროს მოხდა. ჩვენ ველით, რომ ძალადობის შემდგომი ნაბიჯი - საარჩევნო კანონი იქნება. და თუ ამ სახელისუფლო ბლოკმა დაინახა, რომ არ აქვს რესურსები და ვერ მიაღწევს სერიოზულ წარმატებას, არ არის გამორიცხული, ეს ძალადობა ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდოს,

- ცხადია, სადაც დიდი ფულია, იქ იარაღიც გამოჩნდება. თქვენ მზად ხართ ამისთვის?

- საზოგადოების იმედით - მზად ვართ.

მინდა გავაფრთხილო ყველა, განსაკუთრებით ხელისუფლების ბლოკის წარმომადგენლები, რომ ნებისმიერი ოპოზიციური ძალის ლიდერს ერთი ღერი თმაც რომ ჩამოუვარდეს, შევარდნაძისთვის და ჯორბენაძისთვის ეს კატასტროფით დასრულდება. ამიტომ, ვურჩევ, თავშიც ნუ გაივლებენ მსგავს ქმედებას. უმჯობესი იქნება ქვეყანაში მშვიდობა, სტაბილური, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები უზრუნველყონ. სხვა შემთხვევაში, საზოგადოება თავად გამოუტანს განაჩენს ამ ძალას და, პრაქტიკულად, უკვე გამოტანილი აქვს.

- ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკა ბიზნესს ყოველთვის მომხმარებლის თვალით უყურებდა და ამ ტენდენციის წინააღმდეგობა იყო გერგეთის ქუჩაზე გამართული შეხვედრის პათოსიც. თუმცა, ბიზნესმენებმა ხელისუფლების მისამართით, ერთგვარი პოლიტიკური მოთხოვნებიც დააყენეს, რაც მოგვიანებით უარყვეს კიდეც. რა მოხდა?

- ეს შეხვედრა თქვენს მიერ ნახსენები ტენდენციის წინააღმდეგ იყო მიმართული. შეხვედრაზე შევეცადე ამეხსნა, რომ ხელისუფლებაში ის პოლიტიკური ძალა უნდა მოვიდეს, რომლისთვისაც ბიზნესი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და ძლიერი კონკურენტუნარიანი გარემოა უზენაესი და არა ოლიგარქიულ-კლანური გარემო. უნდა გაიმარჯვონ იმ ძალებმა, ვინც მთელი არსით ემსახურება იმას, რომ ქვეყანაში ყველანაირი ბიზნესი განვითარდეს - წვრილი, საშუალო, მსხვილი - და ვცადე ამეხსნა, რომ სწორედ თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების მხარდაჭერით არის შესაძლებელი არსებული გარემოს შეცვლა.

შევთავაზე კიდეც, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტიის სახელით გაგვეკეთებინა წარდგინება იმ ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამისა, რითიც არჩევნებზე გასვლას ვაპირებთ. ასევე, სხვა პოლიტიკური პარტიების მოწვევაც შევთავაზეთ...

- ბიზნესმენებმა მხარი დაგიჭირეს?

- არანაირი მხარდაჭერა არ ყოფილა. ზოგიერთმა წარმომადგენელმა გამოხატა თავისი სიმპათია თუ ანტიპათია, მაგრამ ეს შეხვედრა არ ემსახურებოდა იმის დაფიქსირებას, რომ „გადამხდელთა კავშირში" მყოფი ბიზნესმენები მხარს უჭერენ რომელიმე პარტიას. თუმცა, რა თქმა უნდა, ბიზნესი, როგორც ეს მთელს მსოფლიოშია, მხარს დაუჭერს რომელიმე პოლიტიკურ ძალას.

დღეს კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით მეორდება ჩამოყალიბებული მახინჯი ტენდენციები, როდესაც სახელისუფლო პარტია ცდილობს, მი-ითვისოს საბიუჯეტო თანხები; აწარმოოს ბიზნესის რეკეტი და ამისთვის საგადასახადო, საბაჟო, ფინანსთა სამინისტრო, ლეგიონი და ა.შ. - ბერკეტები აამუშაოს.

- ალბათ, იმიტომ, რომ პრეზიდენტი თავისი კურსის ერთგულია და ეს ბლოკის შექმნით დაადასტურა. მართალია, მან საქციელი არ მოუწონა რჩეულიშვილს, რომელიც ყველა ბიზნესმენს ლამის მუქარის ძალით უპირებს ბლოკში შერეკვას, მაგრამ იქვე თქვენ, დათო გამყრელიძეს, შეგახსენათ, რომ სწორედ მისი ძალისხმევით და თანხმობით დაიწყეთ „ალდაგის" შექმნა...

- აქამდე - „ალდაგით" ანგარიშსწორებას „მოქკავშირის" მაშინდელი გუნდი ცდილობდა, როცა ჩვენ უმრავლესობა და კომიტეტის თავმჯდომარის პოსტები დავტოვეთ. შემდეგ - ჯორბენაძემ, აკაკი ზოიძემ და „მოქკავშირის" ახალმა წარმომადგენლობამ დაიწყო ბრძოლა სადაზღვევო ბიზნესთან. ახლა თავად პრეზიდენტი ჩაება ამ ბრძოლაში... თავი დაანებონ იმ კომპანიას, რომელმაც ღირსეულად განვლო მთელი ეს პერიოდი, შექმნა სადაზღვევო ბიზნესის უზარმაზარი ბაზარი და ტრადიცია. „ალდაგი", მათი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობს და მომავალშიც იმუშავებს.

რაც შეეხება ექსკლუზივს, რაზეც პრეზიდენტმა ისაუბრა - ცოტა უხერხულია მისგან ამის საუბარი. თუ უკანონობა იყო, ეს შეიძლება მისი იმპიჩმენტის მიზეზი გახდეს. გარწმუნებთ, რომ მაშინ არავითარი კანონი არ დარღვეულა. პირიქით - ეს იყო ხელშეწყობა საქართველოს სადაზღვევო ბაზრისთვის. თუ ის არამხოლოდ ჯორბენაძისა და რჩეულიშვილის პრეზიდენტია, არამედ საქართველოსი, მთელს ქვეყანაში ხელს უნდა უწყობდეს ბიზნესის განვითარებასა და წინსვლას.

- სწორედ იმ მიზეზით, რომ ბიზნესი ხელს უწყობს მატერიალური დოვლათის, სამუშაო ადგილების და ა.შ. შექმნას, ხელისუფლება სადაზღვევო ბიზნესში მოინდომებს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას და „ალდაგი" თქვენს პოლიტიკურ კურსს შეეწირება...

- ეს ჯერ კიდევ წინა თაობის „მოქკავშირიდან" დაიწყო. მინდა განვაცხადო, რომ „ალდაგში", სულ რაღაც, 9 პროცენტი გამაჩნია. როდესაც პარლამენტში მოვედი და პირველი ნაბიჯი გადავდგი პოლიტიკაში - ბიზნესს ჩამოვშორდი, რადგან ეს ორი ნაბიჯი ერთმანეთთან კონფლიქტშია. დღეს ჩემი ინტერესი და საქმიანობა - პოლიტიკაა. რაც უნდა შეუტიონ და გაანადგურონ კომპანია, ისინი ქვეყანას დაააზიანებენ და არა დავით გამყრელიძეს.

ვამაყობ იმ კომპანიით, რომელიც ჩემი პირმშოა. მე ის საკუთარი შვილებივით გავზარდე და შეიძლება თავის დროზე უფრო მეტი დროც კი დავუთმე მის მშენებლობას. ვფიქრობ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად, საკმაოდ წარმოსადეგი და თეთრი ბიზნესი ჩამოვაყალიბე.

ამავე დროს, ძალზე უცნაურია, როდესაც პრეზიდენტი ვინმეს აყვედრის ბიზნესის ხელშეწყობასა და განვითარებას. ის თუ ამას პიროვნული სიმპათია-ანტიპათიით აკეთებდა - არასწორია და თუ ქვეყნისთვის აკეთებდა, დასაყვედრებელი მას არავისთან არაფერი აქვს.

- ბუნებრივად თუ ხელოვნურად, ხელისუფლება ნებისმიერ ბიზნესმენს გამოუძებნის ჩრდილოვან მხარეებს და ახალ საარჩევნო ბლოკში, შეიძლება საზოგადოებისთვის მოულოდნელი სახეები ვიხილოთ.

- ეს რეალურია. შეიძლება, ბევრმა კეთილსინდისიერმა მეწარმემ ვერ გადადოს თავი. ბუნებრივია, ჩვენ პოლიტიკაში ვართ და ამ საქმეს ვემსახურებით, ვინც ბიზნესშია, ის თავის საქმეს აკეთებს. შეიძლება, ბიზნესი სასწორზე ვერ დადოს და თავის სინდისთან, პრინციპებთან და მომავლის ხედვასთან მოუწიოს წასვლა კომპრომისზე... ამით ის ყოვლად უნიჭო, წარუმატებელი და კორუმპირებული ხელისუფლების გვერდით აღმოჩნდება. იმ ადამიანების გვერდით, ვინც ასე თუ ისე წამონეული ბიზნესის დასამარება მოახერხა.

ყველა ამ მეწარმეს და ბიზნესმენს მოვუწოდებ - არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვე მოითმინონ, გაუძლონ ამ ზენოლას. ვფიქრობ, რომ ნებისმიერ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე ექნება უმწვავესი რეაქცია და ხელისუფლებას საშუალებას არ მისცემს ტერორით, ძალადობითა და შანტაჟით გადმოიბიროს ადამიანები.

- ამ კუთხით თუ შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტი, რომ ბადრი პატარკაციშვილმა და ნიკო ლეკიშვილმა შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები უარყვეს და თქვეს, რომ პრეზიდენტის კურსის წინააღმდეგ არასდროს წავლენ...

- პატარკაციშვილი ბიზნესმენია. ის პოლიტიკაში ღიად არასდროს ჩარეულა და, ბუნებრივია, არც მომავალში აპირებს ჩარევას. შეიძლება, მას გარკვეული სიმპათიები ჰქონდეს, მაგრამ, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ ის ოპოზიციაში გადადის და ვიღაცის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას იწყებს. მან ჩვენი პარტიისადმი და „გაერთიანებული დემოკრატებისადმი" თავისი სიმპათიები გამოხატა. როგორც ბიზნესმენმა და მოქალაქემ ჩათვალა, რომ მომავლისთვის ასეთი პოლიტიკური ძალები ესიმპათიურება. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ის და, ალბათ, ნიკო ლეკიშვილიც პრეზიდენტ შევარდნაძეს ბრძოლას უცხადებენ. ყველა ამ ადამიანს თავისი პოზიცია აქვს და ისინი არ არიან ჩვენი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები და არც რაიმე ფორმით მონაწილეობენ.

- რა ბედი ეწევა ოპოზიციის წინასაარევნო გაერთიანებას, რომელიც, აგერ უკვე, რამდენი ხანია არ მოხერხდა...

- არასდროს გვითქვამს, რომ ოპოზიციურ გაერთიანებაში ვაპირებთ შესვლას. ჩვენთვის ძალზე ძვირფასია ჩვენი დამოუკიდებლობა. ამდენი ხანია, პარტიას ვაშენებთ არა იმისთვის, რომ გავცვალოთ და გავყიდოთ სკამებზე. როცა ბლოკში შედის, პარტია კარგავს სახეს, იმიჯს, ძირითად კურსს. ძალიან ვუფრთხილდებით ჩვენს ერთობას და ერთადერთობას. ვუფრთხილდებით იმას, რომ დამოუკიდებლად გამოვიდეთ და ჩვენი პრინციპები და იდეოლოგია იოლ გამარჯვებებზე არ გავცვალოთ.

დანარჩენი ოპოზიციური პარტიების გაერთიანება, ალბათ, მოხდება - ამისი დრო არის. როგორ და რა ფორმით მოხდება, თავად გადაწყვეტენ. ჩვენ დიალოგი გვაქვს სხვადასხვა ოპოზიციურ ძალებთან. კონსულტაციები ეხება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, საარჩევნო კანონმდებლობას და იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან არ დავუშვათ არჩევნების გაყალბება და ძალადობა.

- როგორც ჩანს, ეს თქვენი დამოუკიდებლობა, თქვენმა მოწვეულმა ექსპერტებმაც განაპირობეს...

- ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ დღეს ჩვენთან ვაშინგტონში და ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილ ექსპერტთა და კონსულტანტთა ჯგუფი იმყოფება. ჩვენი სტუმრები - რესპუბლიკური ძალების კონსულტანტები არიან. ისინი მხოლოდ რესპუბლიკელებთან მუშაობენ. უკვე რამდენჯერმე ითქვა, რომ მუშობდნენ მამა ბუშთან. აგრეთვე - პრეზიდენტ ბუშის ძმასთან, რომელიც ორჯერ გახდა გუბერნატორი და ა.შ.

- რა შეკვეთა აქვთ თქვენგან?

- ეს მათთვის ანაზღაურებადი სამუშაო არ არის. რესპუბლიკურ პარტიაში მეგობრები გვყავს. ცნობილია, რომ რესპუბლიკელები აშშ საგარეო პოლიტიკის ამინდს ქმნიან და არც ის არის დასამალი, რომ ამ პიროვნებებს ადმინისტრაციაზე სერიოზული გავლენა აქვთ. ჩვენი მეგობრების რეკომენდაციით, თხოვნითა და მხარდაჭერით ისინი დაინტერესებულნი არიან საქართველოს მომავლით. მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის სტრატეგიული ინტერესის სფერო, უახლოესი პარტნიორი და მოკავშირე. რა თქმა უნდა, ისინი დაინტერესებულნი არიან, რომ ერთიანი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის პარტია გაძლიერდეს, იყოს გამარჯვებული, გავლენიანი.

მათი ეს ვიზიტი პირველია და არის გაცნობითი. ამის შემდგომ, ისინი გადაწყვეტენ, რა ფორმით დაგვეხმარებიან - იქნება სტრატეგიის შემუშავება, მესიჯის ფორმირება თუ სხვა...

- ექსპერტების გარეშეც გექნებათ გათვლები, თუ ვინ და რა რაოდენობის ხმებით მოვლენ პარლამენტში...

- არ მინდა, მარჩიელობა დავიწყო. არჩევნებამდე დიდი დროა და გარწმუნებთ, რომ 7 თვის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვლება. ერთი რამ კი ცხადია - სახელისუფლო ძალებს არანაირი რესურსი არ აქვთ იმისთვის, რომ რეიტინგი აიმაღლონ. ისინი თავიდან ბოლომდე დაეყრდნობიან ადმინისტრაციულ რესურსს და გაყალბების ტექნოლოგიას.

- როგორც ცნობილია, 20 პროცენტი გაყალბების მაქსიმუმია...

- ეს საკმაოდ დიდი ციფრია. უნდა ჩავთვალოთ, რომ პოლიტიკურ პარტიებს მინუსოვანი სასტარტო მდგომარეობა აქვთ. ქვემო ქართლში და გარკვეულ რეგიონებში, ოპოზიციურ პარტიებს არ აქვთ საშუალება, რომ თავისუფალი არჩევნებით მოვიდნენ... თუმცა, ჩვენი იმედი და გამარჯვების შანსი საზოგადოების მხარდაჭერაა. დარწმუნებულნი ვართ - მხარდაჭერა არ მოგვაკლდება.



ქართული ეგზოტიკა ებრაელი მსმენელის თვალით

თბილისის საოპერო თეატრი ისრაელიდან დაბრუნდა

მადი სერებრიაკოვა

"ქართული კულტურა ისრაელს იპყრობს," – ასე აღწერდა ებრაული გაზეთი "მაარივი" თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლებს ისრაელში - რიშონ-ლეციონის ყოველწლიურ ფესტივალზე. თბილისის თეატრის მიერ წარდგენილი სპექტაკლები (ვიქტორ დოლიძის "ქეთო და კოტე") და გალა-კონცერტი რიშონ-ლეციონის ფესტივალის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ქართული თეატრის წარმატებას ებრაელი მსმენელი და იქაური პრესა აღფრთოვანებით შეხვდა. ამ გასტროლებს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა - ქართული კულტურის ისრაელელებისთვის გაცნობის გარდა, მასპინძლები ამ აქციას საქართველოს მხრიდან ძნელბედობის ჟამს მხარდაჭერის აქტადაც განიხილავენ. ფესტივალი 5 აპრილს დასრულდა და ქართული დასი თბილისში დაბრუნდა.

ისრაელის ელჩი რივკა კოენი (შუაში) სპექტაკლის მონაწილეებთან

"ქეთო და კოტეს" პლაკატი

ფესტივალი "ხელოვნების გაზაფხული რიშონ-ლეციონში" უკვე მეოთხედ იმართება ისრაელში, თელ-ავივის მახლობლად. მასში რეგულარულად მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დასები და სოლისტები. წელს რიშონ-ლეციონში ჩავიდნენ - ავსტრიის, ესპანეთის, აფრიკის და ლათინური ამერიკის როგორც აკადემიური, ასევე ეთნოგრაფიული, კოლექტივები. საქართველოდან ოპერის თეატრის გარდა, ბათუმის თითების თეატრიც იყო მიწვეული.

წლევანდელი ფესტივალისთვის მზადება ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. რიშონ-ლეციონის კულტურის ცენტრის დელეგაცია, რომელსაც საქართველოდან ემიგრირებული კომპოზიტორი, იოსებ ბარდანაშვილი ხელმძღვანელობდა, თბილისში ჩამოვიდა და აქაური საოპერო თეატრის რეპერტუარი მოისმინა. საბოლოოდ საგასტროლოდ ვიქტორ დოლიძის "ქეთო და კოტე" აირჩიეს, რაც ამ დადგმის კომიკურმა ჟანრმა განაპირობა. რიშონ-ლეციონის მუნიციპალიტეტისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელობამ ქართული თეატრის გასტროლი წლევანდელი ფესტივალის მთავარ მოვლენად მიიჩნია.

ეს გასტროლები ქართული დასისთვისაც ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. თბილისის საოპერო თეატრი ათ წელიწადზე მეტია, საგასტროლოდ არ წასულა. "ქეთო და კოტეს" წარმოდგენის გარდა, გალა-კონცერტიც მოეწყო, სადაც სოლისტებმა ქართულთან ერთად იტალიური და რუსული კლასიკური საოპერო რეპერტუარიც შეასრულეს. სპექტაკლებსა და კონცერტს დიდი წარმატება ხვდა წილად. **"რამდენიმე დღით ადრე უკვე ყველა ბილეთი გაყიდული იყო,** – აღნიშნავს თეატრის დირექტორი ზურაბ ლომიძე, - **მნიშვნელოვანია, რომ სპექტაკლებს მხოლოდ ქართული დიასპორა არ დასწრებია; ჩვენი გამოსვლების სანახავად ისრაელის საუკეთესო მუსიკალური საზოგადოება ჩამოვიდა".**

28 და 29 მარტს "ქეთო და კოტე" ორმა შემადგენლობამ წარადგინა (თემურ გუგუშვილი – ნინო ლეჟავა, გია მახარაძე – ლიანა კალმახელიძე). განსაკუთრებული წარმატება კი გალა-კონცერტს ხვდა წილად, რომელშიც, აღნიშნული სოლისტების გარდა, ომარ ხოფერია, ბესო გაბიტაშვილი, ირმა ბერძენიშვილი და თეატრის ახალგაზრდა თაობის სხვა მომღერლები იღებდნენ მონაწილეობას. ისრაელის პრესამ განსაკუთრებულად გამოყო ომარ ხოფერიასა და თემურ გუგუშვილის შესრულება: "მათმა თბილმა, ძლიერმა და შთამბეჭდავმა ხმამ ისრაელის საზოგადოება აღაფრთოვანა." გაზეთებმა - "ჰაარეცი" და "მაარივი," კრიტიკული შენიშვნებიც გამოთქვეს, რაც, ძირითადად, სპექტაკლის დეკორაციას ეხებოდა. საერთო შთაბეჭდილება მაინც უდავოდ დადებითი იყო. ერთ-ერთი ებრაული გაზეთი წერდა: "ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ვიზიტი ისრაელში საუკეთესო საშუალება იყო ისრაელისთვის ქართული კულტურის გასაცნობად, რომელიც მეტად შთამბეჭდავი, ეგზოტიკური და საინტერესოა".

ამ გასტროლებს ქართველებისთვის კიდევ ერთი სასიამოვნო მოვლენა ახლდა - სწორედ იმ დღეებში პაატა ბურჭულაძე თელ-ავივის თეატრში "სიმონ ბოკანეგრას" ასრულებდა. მისივე წყალობით, ოთხმა ქართველმა მომღერალმა (ბესო გაბიტაშვილმა, გია მახარაძემ, თემურ გუგუშვილმა და ლიანა კალმახელიძემ) თელ-ავივის თეატრში გაიარა მოსმენა. თეატრის არტისტულმა მენეჯერმა ქართველი მომღერლების საშემსრულებლო ოსტატობა მოიწონა და მათ მომავალ სპექტაკლებში ჩართვას დაჰპირდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ გასტროლებმა პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა - რეგიონში გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქართული თეატრის გასტროლი ბოლო მომენტამდე არ იყო გადაწყვეტილი. ამ ყველაფერს ერაყში დაწყებული პროცესებიც დაემატა, რამაც ისრაელში კულტურული მოვლენებისა და ტურიზმის შეფერხება გამოიწვია. ამიტომაც იყო ისრაელში გამართული გასტროლი ორმაგად მნიშვნელოვანი:

"ისრაელი დიდად აფასებს ამ მძიმე და რთულ პერიოდში ოპერის ვიზიტს, ეს უფრო დააახლოებს ორ მეგობარ ხალხს," – აღნიშნავს ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, რივკა კოენი, რომელიც გასტროლების ორგანიზებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და დასს თავადაც გახლდათ ფესტივალზე.

ისრაელში გამგზავრებას ფინანსური პრობლემებიც უშლიდა ხელს. საბოლოოდ გასტროლიორებს საკუთარი თვითმფრინავი დაუთმო პრეზიდენტმა შევარდნაძემ, ხოლო გამგზავრების ხარჯები ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა დაფარა.

"არამეჩითოვური" გამოფენა

ანა კორძაია-სამადაშვილი

გარდა იმისა, რომ იური მეჩითოვი, პროფესიონალი ფოტოგრაფი და შემოქმედია მას ერთი შესანიშნავი თვისება ახასიათებს: ყველაზე უშნო სინამდვილეშიც კი მშვენიერების დანახვას ცდილობს. ალბათ ამის გამოა, რომ ყველა მდედრობითი სქესის არსება ოცნებობს, ბატონ იურასეული პორტრეტი ჰქონდეს.

და აი, "ძველ გალერეაში" ამ ბატონმა იურიმ, რომელიც 1979 წლიდან "ნამდვილი ფოტოგრაფობით" იყო ცნობილი, ანუ არანაირ ხრიკებს და ტექნიკურ ხერხებს არასოდეს მიმართავდა, მისთვის უჩვეულო გამოფენა, "დიჯიტალური თამაშები"გახსნა, რომელიც სტილით ყველა დანარჩენისგან განსხვავდება, მაგრამ ოსტატის ხელწერა მაინც იშვიათად შეგეშლებათ რამეში. ისიც სასიამოვნოა, რომ გასულ წელს გალერეა "ნიუ არტში" ჩვენი გაზეთის ფოტოგრაფების მიერ გამართული პირველი ციფრული გამოფენის და "კლუბ 22"-ში ლევან ხერხეულიძის "ნაგავსაყრელის" შემდეგ, ციფრული ფოტოგრაფიას იური მეჩითოვმაც მიმართა.

გალიაში გამომწყვდეული ძველისძველი პობედა; ცარიელი, პირქუში, მაგრამ მაინც მიმზიდველი ქალაქის ქუჩები, წვიმის წვეთებით დაფარული მანქანის ფანჯრიდან დანახული ბრჭყვიალა სამოთხე – "ლუკოილის" ბენზინგასამართი სადგური; და ფოტო, რომელიც ყველაფერ ამის დასკვნად შეიძლება მივიჩნიოთ: დაბზარული, სძაგელი კედელი, რომელზეც ოკრობოკრო ასოებით წერია: "ძვირფასო მიყვარხარ".

ეს ნამუშევრები ციფრული კამერით შეიქმნა. კამერა მას "მთავარ გაზეთში" რეპორტაჟების გასაკეთებლად გადასცეს, მაგრამ მისი აზრით, საქმიანობაში დიდად არ არიგია. აი, სათამაშოდ კი შესანიშნავი გამოდგა: ბატონი იური დღის განმავლობაში მოპოვებულ მასალას კომპიუტერში "ყრიდა", შემდეგ კი ნაცრისფერ, უსახურ კადრებს იმად აქცევდა, რის ხილვასაც "ძველ გალერეაში" შეძლებთ.

სწორედ Adobe Photoshop-ის მეშვეობით შეიქმნა გამოფენის მეორე ნაწილიც: Reuter-ისთვის მომუშავე კოლეგების მიერ ფერად ფირზე გადაღებული ფოტოები, რომლებიც უფრო პროპაგანდისტული იყო, ვიდრე რეალობის ამსახველი, იური მეჩითოვმა შავ-თეთრად აქცია. მათ, ვინც ერაყში მიმდინარე პროცესებით ინტერესდება, ამ ფოტოსურათების დიდი ნაწილი ნანახი აქვს, მაგრამ "დიჯიტალურ თამაშებზე" მათ სულ ახლებურად აღიქვამთ: ეროტიკული ფოტოსურათების დამთვალიერებელი აირწინაღიანი ჯარისკაცი, ტყვედ აყვანილი მამაკაცები, რომლებიც სასოწარკვეთისგან გაქვავებული სახეებით მოაბიჯებენ – "საშინელება, ტკივილი, სიკვდილი და ნგრევა მართლაც საშინელება, ტკივილი, სიკვდილი და ნგრევაა". და სავსებით ვეთანხმები ბატონ იურის, რომ ომის მომხრეთა აღლუმები პარანოიის ერთ-ერთი ფორმაა, ომის მოწონება კი – კლინიკური შემთხვევა.

თუმცა ეს გამოფენა პოლიტიკური აქცია არ არის, მთლად აპოლიტიკურ მოვლენასაც ვერ ვუწოდებთ. იური მეჩითოვი თვლის, რომ "აპოლიტიკურობაც პოლიტიკაა – უპასუხისმგებლობის პოლიტიკა. სილამაზის ტრფიალი და მისი შემქმნელი ადამიანი კი უფრთხილდება სილამაზეს, პასუხს აგებს სილამაზეზე".

გოგენი ერაყის საავადმყოფოს "დაეხმარება"

62 წლის ნორვეგიელი კოლექციონერი, ვერა ოლსნესი პოლ რენე გოგენის 70 ნამუშევარს ყიდის, რომ ბაღდადის მახლობლად მდებარე საავადმყოფოს ფინანსურად დაეხმაროს.

პოლ რენე გოგენი პოსტიმპრესიონისტი მხატვრის, პოლ გოგენის შვილიშვილია. ვერა ოლსნესი, გოგენების ოჯახის მეგობარია და 35 წელია, ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერობას ეწევა.

გოგენის შვილიშვილის ნამუშევართა აუქციონის მოწყობით კოლექციონერი ერაყის ომის მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავს. "ყველა ომის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ მე პოლიტიკა არ მაინტერესებს, – განუცხადა ბი-ბი-სი-ს ოლსნესმა, - უბრალოდ, მინდა, ხალხს დავეხმარო". გოგენის სურათები მისი კოლექციის ყველაზე ღირებული ნაწილია. "ძალიან მიჭირს მათთან განშორება. ამ სურათებს 35 წლის განმავლობაში ვუყურებდი. ისე კი, თავად მხატვარს ნამდვილად გაეხარდებოდა, მისი სურათები ასეთ კეთილშობილურ საქმეს რომ მოხმარდება"- თქვა კოლექციონერმა.

...პოლ რენე გოგენი 1911 წელს ნორვეგიაში დაიბადა; ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში – საფრანგეთსა და დანიაში, გაატარა. მისი 250 ნამუშევარი ნორვეგიის ნაციონალურ გალერეაში ინახება. თავისი განთქმული ბაბუისგან განსხვავებით, იგი ზეთის საღებავებით არასდროს ხატავდა....

აუქციონი ოლსნესის გალერეაში გაიმართება, სურათების საშუალო ღირებულება 1 340 დოლარია. ვერა ოლსნესი ნამუშევრების გაყიდვისთანავე მთელ თანხას საავადმყოფს გაუგზავნის.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით გარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

მოკლედ

ფეხბურთი. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შედგა ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას შეხვედრა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთან ივო შუშაკთან. მოლაპარაკებამ მხარეებს შორის საათნახევარს გასტანა და შუშაკის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნით დასრულდა. "მართალია, ზოფიერთი დეტალი დაგვრჩა დასაზუსტებელი, მაგრამ შუშაკი, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელია", - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა მერაბ ჟორდანიამ. რაც შეეხება თავად შუშაკს, ფედერაციის ჩინოსნებმა ხორვატი სპეციალისტი ფედერაციიდან ჩუმად გააპარეს. დეტალები, რომლებიც მერაბ ჟორდანიამ ახსენა, დღეს დილით დაზუსტდება, ნაშუადღევს კი ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობა პრესკონფერენციას გამართავს.

■ ■ ■

ფეხბურთი. შვეიცარიის ნიონში მდებარე UEFA-ს შტაბბინაში გუშინ ინტერტოტოს თასის გათამაშების კენჭისყრა მოეწყო. საქართველო ამ ტურნირში ერთი გუნდითაა წარმოდგენილი და ისიც ქვეყნის დაბალი რეიტინგის ასპარეზობას პირველივე რაუნდში დაიწყებს. ქართველთა მეტოქე ავსტრიის კლუბი იქნება. პირველი მატჩები 21-22 ივნისს გაიმართება, განმეორებითი კი - ერთი კვირის შემდეგ. პირველი ეტაპის გადალახვის შემთხვევაში ქართულ კლუბს მეორე ეტაპზე 5-6 და 12-13 ივლისს სლოვაკეთის პირველ და მაკედონიის ერთადერთ გუნდს შორის გამარჯვებულთან ელის შეხვედრა.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "რეალისა" და ბრაზილიის ნაკრების მცველი რობერტო კარლოსი დროებით ვერ მიიღებს მონაწილეობას ბრაზილიის ნაკრების მიერ გამართულ მატჩებში. სასჯელი იმოქმედებს FIFA-ს დისციპლინარული კომიტეტის სხდომამდე, რომელზეც პორტუგალია-ბრაზილიის მატჩში კარლოსის არასპორტული საქციელის შესახებ იმსჯელებენ. ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ნევრები თავდაპირველად ფეხბურთელისთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლების ჩამორთმევასაც გეგმავდნენ, თუმცა, ბოლოს მაინც თავი შეიკავეს.

■ ■ ■

ფეხბურთი. დღეს შვეიცარიისა და ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციათა ჩინოსნები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან. განსახილველი თემა ორი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის გაერთიანებაა. ინფორმაცია ჩემპიონატთა გაერთიანების შესახებ პირველად მარტში გავრცელდა, თუმცა, მაშინ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს სერიოზულად არ აღიქვა. ამჟამად სულ სხვაგვარი ვითარებაა შექმნილი. მოლაპარაკებას შვეიცარიისა და ავსტრიის წამყვანი კლუბების წარმომადგენლებიც ესწრებიან და, როგორც აცხადებენ, იდეის განხორციელებას უახლოეს სამ წელიწადში წინ არაფერი დაუდგება.

■ ■ ■

ფეხბურთი. უკრაინული და რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იტალიურ "მილანს" ზურაბ ხიზანიშვილის გადაბირება სურს. იტალიური კლუბის ოფიციალურ საიტზე ამის შესახებ ჯერჯერობით არავითარი ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა, ამის ალბათობა მაინც არსებობს. რამდენიმე იტალიური კლუბის დაინტერესების შესახებ თავად ფეხბურთელსაც არაერთხელ განუცხადებია. მათ რიცხვში, შესაძლოა, "მილანიც" ერიოს. ამის გამოა, რომ ხიზანიშვილი თავის ახლანდელ კლუბთან, "დანდისთან" კონტრაქტს აღარ აგრძელებს.

■ ■ ■

კალათბურთი. გუშინ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ოთხი შეხვედრიდან ორში გამარჯვებულის ვინაობა წინასწარვე იყო ცნობილი. თბილისის "დინამომ" რეკორდული სხვაობით - 117:44 დაამარცხა სოხუმის გუნდი, ბათუმის "ბასკომ" კი "აკადემიას" სძლია - 92:61. დაძაბული და საინტერესო გამოდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების, აგრეთვე, "მაკაბისა" და ქუთაისის შეხვედრები. პირველ მატჩში "სტუ-ჯეოსელმა" იმარჯვა - 73:70, მეორეში კი სტუმრებმა, ქუთაისელმა კალათბურთელებმა - 82:78.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 21 წლის წინათ...

1982 წლის 2 ივლისი, მადრიდი. მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი ესპანეთი - გფრ (1:2). ესპანელი კარლოს ალონსო სანტილიანა და გერმანელი ული შტილიკეს დუელი.

ფეხბურთი

ალექს ფერგიუსონს „რეალის„ წარსული თრგუნავს

აკა ტონია

რეალი - მანჩესტერი

ჩემპიონთა ლიგა შესვენებიდან ბრუნდება და, თანაც, როგორ! დღეს "რეალი"-"მანჩესტერია".

ბევრი სპეციალისტის აზრით, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალს სწორედ დღეს საღამოს ვიხილავთ "სანტიაგო ბერნაბეუზე". ცხადია, ეს არ არის მთლად ზუსტი. ფინალისგან განსხვავებით, მეოთხედფინალური ეტაპი ორი მატჩისგან შედგება. ასე რომ, გამარჯვებულის ვინაობა დღეს საღამოს კი არა, ორი კვირის შემდეგ, მანჩესტერში გაირკვევა. მაგრამ, რაც უნდა იყოს, დღეს, უდავოდ, დიდი მატჩი გველის.

უკვე კარგა ხანია, რაც "რეალისა" და "მანჩესტერის" დაპირისპირება დაიწყო. 29 მარტს, როდესაც ბრაზილიის ნაკრები პორტუგალიას შეხვდა, "რეალისა" და ბრაზილიის ნაკრების მცველი, რობერტო კარლოსი, მსაჯთან შელაპარაკების გამო მოედნიდან გააძევეს. მანჩესტერელთა მწვრთნელმა, სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ იმ მატჩში "ცუდად მოქცევისთვის" რობერტო კარლოსი UEFA-მაც უნდა დასაჯოს - ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში თამაშის უფლება არ უნდა მისცესო. ცხადია, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. დღევანდელ მატჩში რობერტო კარლოსი ითამაშებს. მეტიც: მადრიდელებს "მანჩესტერის" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში არავინ დააკლდებათ. გასულ კვირას გამართულ საერთაშორისო მატჩებში მიღებული ტრავმები მოიშუშეს ზიდანმა, მაკელელემ და ელგერამ. დაცვის ცენტრში კვლავ გამოჩნდება ფერნანდო იერო. ასე რომ, "რეალი" სრულ მზადყოფნაშია. თუმცა, საწუწუნო არც "მანჩესტერს" აქვს, არც ალექს ფერგიუსონი განიცდის წამყვანი ფეხბურთელების ნაკლებობას.

"მათ ყველა პოზიციაზე შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავთ, ისეთი ინდივიდუალისტები, როგორებიც არიან დევიდ ბექჰემი, რიო ფერდინანდი და რაიან გიგზი. "მანჩესტერი" უაღრესად სტაბილური გუნდია", - ამბობს მადრიდელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე. ჟურნალისტთა შორის "რეალის" მწვრთნელზე უფრო დიდ ინტერესს სხვა "მადრიდელი", სტივ მაკმანამანი იწვევს. იმის გამო, რომ მაკმანამანი ინგლისურ პასპორტს ფლობს, "მანჩესტერის" წინააღმდეგ თამაშზე მისი აზრი უფრო აინტერესებთ. "მანჩესტერი" უდიდესი გუნდია, მაგრამ მადრიდში სიმშვიდე სუფევს. ამ მატჩში ფავორიტი, ალბათ, მაინც "რეალია", მაგრამ ის ფაქტი, რომ ლიგის ფინალი მანჩესტერშია, მოწინააღმდეგეს გარკვეულ უპირატესობას აძლევს. მადრიდში მაქსიმალურად დიდი ანგარიშით უნდა გავიმარჯვოთ, რათა მანჩესტერში მშვიდად გავემგზავროთ", - ამბობს მაკმანამანი.

მომავალ მატჩზე მანჩესტერელთა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმაც ისაუბრა. "მე "რეალის" ისტორია უფრო მეტად მთრგუნავს, ვიდრე მათი ახლანდელი გუნდი. 9 ჩემპიონთა თასი – ეს სენსაციურია. მადრიდელები ყოველთვის დიდ უპირატესობას ანიჭებენ ჩემპიონთა ლიგას. ჩემპიონთა თასის გამო ხანდახან საკუთარ ჩემპიონატსაც სწირავენ. ამის უფლებას ჩვენ ვერასოდეს მივცემთ თავს. "მანჩესტერმა" აუცილებლად უნდა მოუგოს "არსენალს", "ლივერპულს", "მანჩესტერ სიტის"... "რეალს" არ აღელვებს ფინანსური პრობლემები. ფიგუ, ზიდანი, რონალდო და რაული მათ 300 მილიონი დაუჯდათ. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც, ცალ-ცალკეც კი, ყოველთვის შეუძლიათ, გადაწყვიტონ თამაშის ბედი. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია. "მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია და, ვფიქრობ, ყველას დამარცხება შეგვიძლია. არა მგონია, ჩემპიონთა თასზე კვლავ ესპანური კლუბის დროშები აფრიალდეს", - განაცხადა ფერგიუსონმა. შოტლანდიელი მწვრთნელის აზრით, "რეალის" წინააღმდეგ მისი უმთავრესი კოზირი ჰოლანდიელი რუდ ვან ნისტელროია.

კომენტარებით ბევრს ვერაფერს გავიგებთ - ეს გამონათქვამები ხშირად მეორდება. სამაგიეროდ სტატისტიკა "რეალის" მხარესაა. ამ ორი კლუბის უკანასკნელი შეხვედრა მადრიდელთა ტრიუმფით დასრულდა, როდესაც მათ ჩემპიონთა ლიგის 1999/2000 წლების სეზონში 3:2 მოიგეს მანჩესტერში. ასე იყო ჩემპიონთა თასის 1856/57 და 1967/68 წლების ნახევარფინალურ მატჩებშიც, რომლებიც "რეალის" გამარჯვებით დასრულდა.

REUTERS

კალაძე "მილანს" უბრუნდება

თუ სტატისტიკას ვენდობით, არც იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ ფინალში გაღწევის შემთხვევაში "მანჩესტერი" ჩემპიონთა თასს დაეუფლება: უკანასკნელი 35 წლის მანძილზე ვერც ერთმა კლუბმა, რომელიც ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩს მასპინძლობდა, ვერ შეძლო თასის მოპოვება. ეს მხოლოდ მილანის "ინტერს" გამოუვიდა, რომელიც შორეულ 1965 წელს, საკუთარ "სან სიროზე" დაეუფლა ჩემპიონთა თასს.

აიაქსი - მილანი

თუ სტატისტიკას ბოლომდე ვუერთგულებთ და ფავორიტთა გამოვლენას სწორედ ისტორიული მონაცემებით შევეცდებით, მაშინ დღევანდელი მეორე მეოთხედფინალური მატჩის ფავორიტად იტალიური "მილანი" კი არა, ამსტერდამის "აიაქსი" უნდა მივიჩნიოთ. ეს ორი კლუბი უკანასკნელად 1995 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში შეხვდა ერთმანეთს. გახსოვთ, ალბათ, მატჩის 85-ე წუთზე, პატრიკ კლუივერტის მიერ გატანილი ერთადერთი გოლი, რომელმაც "აიაქსს" ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა. 1994/95 წლების სეზონი ტრიუმფალური იყო ამსტერდამული კლუბისთვის. ამ ფინალამდე, ჯგუფურ ეტაპზე, მათ ორჯერ შეძლეს "მილანის" დამარცხება.

ცხადია, ახლა საქმე სხვაგვარადაა, თუმცა, პარალელების გავლება მაინც შეიძლება. იმხანად, ისევე როგორც ახლა, "აიაქსი" ახალგაზრდა და არაფრისმთქმელი სახელების მქონე ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და მათი წარმატება სენსაციად აღიქვეს. ვარსკვლავები "აიაქსს" არც ახლა ჰყავს, თუმცა, მეოთხედფინალურ ეტაპზე მაინც გავიდა. აქ კი აღარაფერია გამორიცხული. კარლო ანჩელოტის ყველაზე დიდი დანაკლისი კახი კალაძეა, რომელიც ტრავმის გამო, ალბათ, კვლავ ვერ ითამაშებს "მილანის" შემადგენლობაში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მილანელები იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში დამარცხდნენ და ქვეყნის ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ალბათ, აზრიც აღარა აქვს. ასე რომ, ანჩელოტის თავისუფლად შეუძლია, მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგას დაუთმოს.

დღევანდელი მატჩი ამსტერდამში გაიმართება. "აიაქსი" მასპინძელია და, ალბათ, ყველაფერია მოსალოდნელი.

სტივ მაკმანამანი: „რეალში„ გადასვლა ბექჰემისთვის უდიდესი პატივია„

მაკმანამანი ბექჰემის "რეალში" გადასვლაზე საუბრობს

უკვე ყველამ იცის, რომ მადრიდის "რეალს" მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ინგლისელი დევიდ ბექჰემის შეძენა. "მანჩესტერის" ნახევარმცველით დაინტერესების ფაქტს უკვე აღარც "რეალში" მალავენ. კლუბის ტექნიკური დირექტორის, ხორხე ვალდანოს თქმით, ბექჰემის ტრანსფერი უმთავრესი თემაა მადრიდელთა უახლოეს გეგმებში. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფეხბურთელი თავისი შვილისთვის სკოლასაც კი ეძებს მადრიდში.
"რეალს" უკვე ჰყავს ერთი ინგლისელი - სტივ მაკმანამანი. საინტერესოა, რას ფიქრობს ის ბექჰემის შეძენასთან დაკავშირებით. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც სტივ მაკმანამანი დევიდ ბექჰემის "რეალში" გადასვლაზე საუბრობს.

- ალბათ, იცი, რომ ბექჰემი, მოსვლის შემთხვევაში, შენც გაგიწევს კონკურენციას. თქვენ, ორივე, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობთ. რას ფიქრობ ამასთან დაკავშირებით?

- არაფერსაც არ ვფიქრობ. ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ბექჰემი ჩემი მეგობარი და უაღრესად კარგი ადამიანია. ამჟამად ჩვენს შორის არ არის კონკურენცია. ის ჯერ კიდევ "მანჩესტერში" თამაშობს. მაგრამ თუ "რეალში" გადმოვა, ვიცი, რომ ეს მეც შემეხება.

- როგორ ფიქრობ, რამდენად კარგად შეერწყმება ის გუნდს?

- ამას ის მშვენივრად მოახერხებს, რადგან ჩვენს გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა. მას არავითარი პრობლემა არ შეექმნება. მადრიდის "რეალში" ფეხბურთელები დიდ პატივს სცემენ ერთმანეთს.

- რა როლს ასრულებს ამ შემთხვევაში პრესა? როგორ ფიქრობ, პრესა ავიწროებს ბექჰემს და მის ცოლს?

- არ ვიცი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დევიდი პროფესიონალია. ის მხოლოდ საკუთარ კლუბზე და ნაკრებზე არის კონცენტრირებული.

- ესპანური ენა თუ იცის?

- არა.

- მადრიდის რომელ რაიონში ურჩევდი მას დაბინავებას?

- მადრიდში ბევრი კარგი უბანია. კარგი ადგილია ლა მორალეხა, აგრეთვე, კონდე ორგასი.

- როგორ გგონია, შეიძლება თუ არა ესპანურ ტრადიციებთან და ცხოვრების სტილთან უპრობლემოდ შეგუება?

- რატომაც არა! აქ უამრავი ევროპული რესტორანია. მადრიდი დიდი და სრულყოფილი ქალაქია. მე ძალიან მომწონს აქაური საჭმელი და ქალაქური ცხოვრება.

- ამბობენ, რომ ბექჰემის ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა, ფეხბურთელები გაიცვალოს. შენც ხომ არ გახდები ამ გარიგების მსხვერპლი?

- არა. ეს გამორიცხულია. "მანჩესტერისა" და "ლივერპულის" ურთიერთობა "რეალისა" და "ბარსელონას" დამოკიდებულებას ჰგავს.

REUTERS

მაკმანამანი ბექჰემს ელის

ეს იგივე იქნება, რომ "ბარსელონაში" გადავიდე. "ლივერპულს ვერ ვუღალატებ.

- სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში "მანჩესტერს" შეხვდებით. მაისურას თუ გაუცვლი ბექჰემს?

- არ ვიცი. ეს იმაზეა დამოკიდებული, მომეცემა თუ არა თამაშის საშუალება, სათადარიგოთა სკამზე ვიჯდები თუ ტრიბუნებზე მომიწევს ადგილის პოვნა. ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

- ბექჰემს კარგად იცნობ. სინამდვილეშიც ისეთი სერიოზულია, როგორიც ჩანს?

- არა. დევიდი კარგი "ბიძიაა". დარწმუნებული ვარ, მის გვერდით ყოველთვის სიცილის გუნებაზე იქნებით - ის ხომ ძალიან მხიარული ადამიანია.

- რას ფიქრობენ ინგლისში? სჯერათ, რომ ბექჰემი "რეალში" გადავა?

- ახლა ეს ყველას ჭორი ჰგონია. მაგრამ ინგლისში მაინც სჯერათ, რომ ეს შესაძლებელია, რადგან "რეალი" ყველაზე დიადი და ყველაზე ძლიერი კლუბია, რომელმაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია... ამ კლუბს ყველაფერი აქვს.

- ბექჰემი ამბობს, რომ "რეალთან" დაკავშირება უდიდესი პატივია მისთვის. შენ რას ფიქრობ?

- იმას ვფიქრობ, რომ ამისთვის მართლაც უამრავი მიზეზი არსებობს. ბექჰემისთვის ეს უდიდესი პატივია, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ფეხბურთელისთვის.

ფორმულა 1

"ინტერლაგოსის" გახედვნა რთული აღმოჩნდა

გიგა გურასაშვილი

ფორმულა 1-ის ბრაზილიური გრან-პრის მესამე ეტაპი, შეიძლება ითქვას, მრგვალი ციფრებისა და ქაოსის ბრწყინვალე მაგალითი იყო. ვიდრე პილოტები და მათი ბოლიდები სტარტს აიღებდნენ, სამეფო რბოლის მოყვარულებს არაერთი კითხვა უტრიალებდათ თავში. პირველ რიგში ყველას აინტერესებდა, თუ ვინ გახდებოდა საიუბილეო, მე-700 რბოლის გამარჯვებული. შეძლებდა თუ არა მიხაელ შუმახერი "ინტერლაგოსის" მეხუთედ მოთვინიერებას. გატეხავდა თუ არა ნავსს რუბენს ბარიკელო, რომელსაც შინაურ კედლებში 1994 წლის შემდეგ ჩასათვლელი ქულა არ აუღია. როგორი იქნებოდა ბრაზილიური ტრასა "McLaren"-ის საჯინიბოსთვის, შეძლებდნენ თუ არა ისინი ზედიზედ მესამე რბოლის მოგებას. როგორ წარიმართებოდა ფორმულა 1-ის არსებობის მანძილზე (სამეფო რბოლები 1950 წლის შემდეგ იმართება) "Jordan"-ის მე-200 რბოლა...

ვებერისა და ალონსოს დამსხვრეულ ბოლიდებს შორის ლავირება

REUTERS

თუ ვინმეს ძალიან ადარდებდა ბრაზილიური გრან-პრი, მათ შორის უპირველესი, ალბათ, Ferrari-ს იტალიური საჯინიბო უნდა ყოფილიყო. წარუმატებლობის შემთხვევაში "წითელი ბარონისთვის" ეს იქნებოდა პირველი შემთხვევა 1997 წლის შემდეგ, როდესაც საწყის სამ ეტაპს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურის გარეშე დაასრულებდნენ. წარმატების შემთხვევაში კი Ferrari-ს მსოფლიო ჩემპიონატთა ეტაპების 160-ე გამარჯვება დარჩებოდა. მაგრამ Ferari-ს სან-პაულუს უმთავრეს ტრასაზე გამარჯვება არ ეწერა. ჩემპიონობა აქაც მალაიზიური გრან-პრის ტრიუმფატორს, "McLaren"-ის ფინელ პილოტს კიმი რაიკონენს დარჩა.

ბრაზილიური გრან-პრი როგორც დაიწყო, ისე დასრულდა – ქაოსურად და მოვლენების კალეიდოსკოპური ცვალებადობით. ცვალებადი და ჭირვეული იყო ამინდიც. ასპარეზობის დაწყებამდე ორი საათით ადრე სან-პაულუს მოქუფრული ციდან თავსხმა წვიმა წამოვიდა, რამაც სარბოლო ტრასა ლამის საბაიდარე არენად აქცია. კლიმატურმა პირობებმა შეჯიბრების მარშალი იძულებული გახადა, კავალკადისთვის წინ "პეის-ქარი" (უსაფრთხოების მანქანა) ჩაეყენებინა. მეტიც: პილოტებისთვის მძიმე პირობების გასაუმჯობესებლად, საჯინიბოებს ბოლიდების გადაწყობის უფლებაც მისცეს. სტარტი კი მხოლოდ მას შემდეგ მიეცათ, რაც წვიმამ გადაიღო და, ფაქტობრივად, დატბორილი ტრასიდან წყალიც დაიწრიტა. თუმცა, ნამდვილი რბოლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც რვა წრის შემდეგ "პეის-ქარმა" ტრასიდან გადაუხვია. მანამდე კი ეს უკანასკნელი პილოტებს ერკემალივით წინ მიუძღოდა, რათა მრბოლებს საშუალება ჰქონოდათ, ბოლიდები სრულ მზადყოფნაში მოეყვანათ. უსაფრთხოების მანქანისგან გათავისუფლებულებმა კი ფრთები გაშალეს. თუმცა, არაერთ წინაღობასაც წააწყდნენ. თავდაპირველად შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი დაწინაურდა. დიდი დრო არ გასულა, რომ ბოლიდებისგან შემდგარ ქარავანს პირველი ნიკ ჰაიდფელდის Sauber-ი გამოეთიშა. ჰაიდფელდს ძრავამ უმუხთლა. მოგვიანებით მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჰაიდფელდის უიღბლობა უკვე არავის ახსოვდა. სწრაფად დაწინაურებულმა კულჰარდმა მალევე დათმო პოზიციები. შოტლანდიელს მისმა თანაგუნდელმა რაიკონენმა და Williams-ის კოლუმბიელმა პილოტმა ხუან პაბლო მონტოიამ გასწრეს. მოულოდნელად ტემპი დააგდო და, შესაბამისად, პოზიციები დათმო Ferrari-ს მეორე პილოტმა რუბენს ბარიკელომ. შექმნილი სიტუაციით, ბუნებრივია, სხვებმა ისარგებლეს. დროთა განმავლობაში წინ და წინ მიიწევდა მეშვიდე პოზიციიდან სტარტაღებული მიხაელ შუმახერიც. თუმცა, საჭეს მხოლოდ 27 წრემდე იმორჩილებდა. სხვადასხვა მიზეზის გამო, ერთიმეორის მიყოლებით, ასპარეზობას ეთიშებოდნენ პილოტები: ჯასტინ ვილსონი (Minardi), ოლივიე პანისი (Toyota), რალფ ფირმანი (Jordan)... ფირმანისა და პანისის ძიძგილაობამ ეს უკანასკნელნი ერთმანეთს "ჩაახუტა", რამაც ერთგვარი ზედახორაც გამოიწვია. გადახერგილი ტრასის შემხედვარენი იძულებულნი გახდნენ, "პეის-ქარით" გაეუვნებელყოთ მდგომარეობა. ისის იყო, ვითარება გამოსწორდა, რომ ბოლიდთა რაოდენობის შეთხელება კვლავაც გაგრძელდა. ხან ერთმა პილოტმა გადაუხვია ბოქსებისკენ, ხან მეორემ. ასპარეზობის ნახევარიც არ იყო გასული, რომ სტარტზე გასული ბოლიდების რაოდენობა 11-მდე შემცირდა. მოსვენება არ ჰქონდა უსაფრთხოების მანქანასაც. ხშირი იყო ავარიებიც, ძირითადად, მესამე მოსახვევში, რომელიც ბევრისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა. ჯერ იყო და, ზემოხსენებულ მონაკვეთში ტრასიდან გადავარდნენ და ასპარეზობას გამოეთიშნენ იოს ფერსტაპენი (Minardi) და ჯეისონ ბატონი (BAR). მანამდე იგივე დაემართათ მონტოიას, პიცონიას (Jaguar) და მიხაელ შუმახერს. მართალია, შუმახერზე უკეთ ბარიკელო გამოიყურებოდა და ადგილობრივ გულშემატკივარსაც გამარჯვების იმედი ჩაუსახა, მაგრამ...

სამშობლოში მისთვის მეცხრე ასპარეზობა ტრადიციული შედეგით დასრულდა: ასპარეზობის დასრულებამდე 7 წრით ადრე ბარიკელო რბოლას გამოეთიშა და "ინტერლაგოსის" უმთავრესი ტიტულის გარეშე დარჩა. თანამემამულის ბედი გაიზიარა Toyota-ს ბრაზილიელმა პილოტმა კრისტიანო და მატამ.

რაც შეეხება იტალიელთა საჯინიბოს გამოთიშვას, ბუნებრივია, ამან McLaren-ს საქმე გაუადვილა. ლიდერობა ხელთ იგდო კიმი რაიკონენმა, რომელსაც ფეხდაფეხ მისდევდნენ ჯანკარლო ფიზიკელა (Jordan) და თანაგუნდელი ფერნანდო ალონსო. რბოლაც ასეთივე მიმდევრობით დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ფიზიკელამ მოიპოვა უპირატესობა.

საქმე ის არის, რომ Jaguar-ის პილოტმა მარკ ვებერმა საათში 150 კილომეტრის სისწრაფით მქროლავ ბოლიდზე ბოლო მოსახვევში კონტროლი დაკარგა და დამცავ ჯებირს შეასკდა. ტრასაზე გაფანტული ნამსხვრევების გამო კი რბოლა შეწყდა. უკვე მერამდენედ, ტრასაზე უხმეს "პეის-ქარს", მაგრამ მისი გამოჩენა და მეორე ავარია ერთი იყო. დამცავ ჯებირს ფერნანდო ალონსოს Renault-ც შეასკდა, ამასთან, გაცილებით ძლიერად, ვიდრე ეს ვებერის შემთხვევაში იყო. საბედნიეროდ, ესპანელი, ისევე როგორც ვებერი, იოლად გადაურჩა სიკვდილს. ერთი სიტყვით, "ინტერლაგოსის" ტრასა ბრძოლის ველს უფრო ჰგავდა, ვიდრე სპორტულ არენას. რაც შეეხება ფიზიკელას: იმ დროს, როცა Jordan-ის საჯინიბოში საკუთარი პილოტის გამარჯვებას აღნიშნავდენენ, გამარჯვებულად რაიკონენი გამოაცხადეს. საქმე ის არის, რომ ასპარეზობა 55 წრის შემდეგ დასრულდა. შედეგები კი 53 წრის მიხედვით შეჯამდა, ანუ წითელი დროშის აფრიალებამდე ორი წრით ადრე. ამ დროს კი რაიკონენი ლიდერობდა.

დაჯილდოების ცერემონიალზე მხოლოდ რაიკონენი ფა ფიზიკელა გამოცხადდნენ, რადგან მესამე შედეგის მქონე ალონსო ტრასიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. ფინელმა პილოტმა განიმტკიცა ლიდერობა პირად ჩათვლაში, ისევე როგორც McLaren-მა - კონსტრუქტორთა თასზე.

ბრაზილიის გრან-პრი

პირადი ჩათვლა

1. კიმი რაიკონენი (McLaren)	1:29:53.179	10
2. ჯანკარლო ფიზიკელა (Jordan)	1:29:54.010	8
3. ფერნანდო ალონსო (Renault)	1:29:59.874	6
4. დევიდ კულჰარდი (McLaren)	1:30:00.570	5
5. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (Sauber)	1:30:02.571	4
6. ჟაკ ვილნევი (BAR)	1:30:11.089	3
7. მარკ ვებრი (Jaguar)	1:30:13.249	2
8. იარნო ტრული (Renault)	1:30:16.748	1

სატურნირო მდგომარეობა

სამი ეტაპის ჩათვლით

1. კიმი რაიკონენი (McLaren)	26
2. დევიდ კულჰარდი (McLaren)	15
3. ფერნანდო ალონსო (Renault)	14
4.იარნო ტრული (Renault)	9
5.ჯანკარლო ფიზიკელა (Jordan)	8
6. ხუან პაბლო მონტოია (Williams)	8
7. რუბენს ბარიკელო (Ferrari)	8
8. მიხაელ შუმახერი (Ferrari)	8
9. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (Sauber)	7
10. რალფ შუმახერი (Williams)	6

კონსტრუქტორთა ჩათვლა

1. McLaren-Mercedes	41
2. Renault	23
3. Ferrari	16
4. Williams-BMW	14
5. Jordan-Ford	8
6. Sauber-Petronas	8
7. BAR-Honda	5
8. Jaguar- Cosworth	2

ჩოგბურთი

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება

დევისის თასი
მეოთხედფინალი

არგენტინა - რუსეთი	*5:0*
შვედეთი - ავსტრალია	*0:5*
ესპანეთი - ხორვატია	*5:0*
საფრანგეთი - შვეიცარია	*2:3*

წლევანდელ სეზონში დევისის თასს (მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატი) ახალი მფლობელი ეყოლება. არგენტინის ნაკრებმა ბოლომდე გააცამტვერა აწ უკვე ექს-ჩემპიონი რუსეთის გუნდი და შარშანდელი ტურნირის ნახევარფინალში განცდილი მარცხისთვის ღირსეული რევანში აიღო. ჩვენი რუსი კოლეგები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და არც გაემტყუნებათ. არგენტინის ნაკრები ძალიან ძლიერია. რუსებმა კი, როგორც თვითონ ამბობენ, ლათინოამერიკელებს მეორე შემადგენლობა დაუპირისპირეს.

იმთავითვე ცნობილი იყო, რომ რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში არ ითამაშებდნენ მარატ საფინი და მიხაილ იუჟნი. ეს კი სლავებისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა. რუსების საქმე მაშინ წახდა, როცა დავიდ ნალბანდიანმა და გასტონ გაუდიომ პირველივე დღეს იოლად მოუთავეს საქმე ნიკოლაი დავიდენკოსა და ევგენი კაფელნიკოვს და 2:0 დაწინაურდნენ. წყვილებში რუსთა მოლოდინის მიუხედავად, მარატ საფინი კორტზე არ გამოვიდა. ამიტომ ევგენი კაფელნიკოვთან შეწყვილება მიხაილ იუჟნის მოუხდა.

თავიდან თამაში ისე წარიმართა, რომ რუსებს სანერვიულო მაინცდამაინც არაფერი უნდა ჰქონოდათ. იუჟნისა და კაფელნიკოვს ყველაფერი გამოსდიოდათ. არნოლდი და ნალბანდიანი კი რაღაცნაირად უნიათოდ გამოიყურებოდნენ. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როცა 40-წუთიანი პირველი სეტი რუსების გამარჯვებით - 6:3 დასრულდა. მეორე პარტიის დებიუტიც თითქოს პირველის ანალოგიურად დაიწყო, მაგრამ შემდგომში სლავებმა შეცდომებს უმატეს და მასპინძლებს უპირატესობა ისე გადაულოცეს, თვითონაც ვერ მიხვდნენ. იუჟნი-კაფელნიკოვის დუეტი მხოლოდ მას შემდეგ მოეგო გონს, რაც ელექტროტაბლოზე - 6:3 იყო არგენტინელთა სასარგებლოდ. მესამე სეტი უაღრესად დაძაბული გამოდგა. საინტერესოა, რომ 3:2-მდე (არგენტინელთა სასარგებლოდ) თავისი მოწოდება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიგო. ყველაფერი ნალბანდიანმა "გააფუჭა". მართალია, მის მოწოდებაზე ხანგრძლივი გეიმი გათამაშდა, მაგრამ მაინც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ არგენტინელებს სეტის მოგება აღარ გასჭირვებიათ - 6:4.

როჯერ ფედერერი ფრანგთა ძლევას ხარობს

აქ კი კაფელნიკოვს ნერვებმა უმტყუნა. მან ჯერ ჩოგანი ძირს დაახეთქა და გატეხა, შემდეგ კი სასმელების მაგიდასაც წაჰკრა ფეხი და კინაღამ გადააბრუნა. ჟენიას საქციელმა მოზეიმე ტრიბუნები კიდევ უფრო გაახალისა. ნათელი იყო, რომ რუსებს ფსიქოლოგიური ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდათ და ისინი ამ მატჩს ვეღარ მოიგებდნენ. არგენტინა ზეიმობდა. თავჩაღუნულმა რუსებმა კი კორტები ჩუმად დატოვეს. კომენტარის გაკეთებას მხოლოდ მიხაილ იუჟნი დათანხმდა.

"არგენტინა შესანიშნავად თამაშობდა და ამან განსაზღვრა კიდეც მატჩის შედეგი. ჩვენ კარგად კი დაგვიწყეთ თამაში, მაგრამ ასევე კარგად დამთავრება ვეღარ შევძელით. რაც შეეხება კაფელნიკოვს, თუ ის სპორტულ კარიერას დაასრულებს, მისი შეცვლა ამ ფორმაციის ნაკრების რომელიმე მოთამაშით შეიძლება, ხოლო თუ ეტაპობრივად ნაკრებში ახალი ჩოგბურთელები გამოჩნდებიან, ამას მხოლოდ მივესალმებით. რაც შეეხება კონკრეტულ თამაშს, სამწუხარო ის არის, რომ არგენტინის ნაკრებმა მატჩი ყოველგვარი თავგანწირვის გარეშე, უბრალოდ და იოლად მოიგო. შეუპოვრობით არც ჩვენ გამოვირჩეოდით. ორივე გუნდი მხოლოდ დროდადრო აჩვენებდა მაღალი დონის ჩოგბურთს. ამიტომ ექსცენტრული არგენტინელი მაყურებელიც მშვიდად უყურებდა თამაშს. ერთ-ერთ ეპიზოდში ნალბანდიანმა ტრიბუნებს გამოცოცხლებაც კი მოსთხოვა", - განაცხადა მიხაილ იუჟნიმ. მესამე დღის შეხვედრები უბრალო ფორმალობად იქცა. რუსებმა ყოველგვარი წინააღმდეგობა შეწყვიტეს. 5:0 – ეს ანგარიში რეალურად ასახავს კორტზე მიმდინარე მოვლენებს.

ასეთი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ სლავებმა შეიძლება იმით ინუგეშონ თავი, რომ ხორვატებმა და შვედებმაც მათი ბედი გაიზიარეს. ერთადერთი მატჩი, რომელმაც ინტრიგა ბოლომდე შეინარჩუნა, საფრანგეთ-შვეიცარიის დაპირისპირება იყო. აქ მთავარი როლი წყვილთა ორთაბრძოლამ შეასრულა. ფედერერ-როსეს დუეტმა დრამატულ შეხვედრაში მოუგო ესკუდე-სანტოროს ტანდემს და ნათელი გახდა, რომ ფრანგებს ძალიან გაუჭირდებოდათ ჩარხის უკუღმა ტრიალი, რადგან შესანიშნავ ფორმაში მყოფი როჟე ფედერერი ფაბრის სანტოროსთან შეხვედრაში აშკარა ფავორიტი იყო - 6:1, 6:0, 6:2 შვეიცარიელის სასარგებლოდ. შვეიცარია ნახევარფინალში გავიდა და ავსტრალიას დაუპირისპირდება, ესპანეთის ნაკრები კი არგენტინასთან გაარკვევს ურთიერთობას.

კაჭკაჭი

ნინო I

„კალჩო„ და „ამორე„ იტალიაში

იყო დრო, როცა იტალია ვნებიანი სიყვარულის კლასიკურ ქვეყნად ითვლებოდა. იმ ქვეყნად, სადაც გონებას მუდამ გრძნობა ამარცხებდა, სადაც ტემპერამენტი და ვნება პოლიტიკას მართავდა, სადაც ქალის გარეშე არაფერი ხდებოდა. აქ ფული და სიმდიდრე მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ განცხრომით ეცხოვრათ. სიძუნწე და იტალიელები ყოველთვის შორს იყვნენ ერთმანეთისგან. აქ ყველამ იცოდა, რასაც ერქვა - "savoir vivre" - ცხოვრების ცოდნა...

ამ მხრივ თანამედროვე იტალიაში ბევრი არაფერი შეცვლილა. პირადი სიამოვნება ახლაც ყველაფერზე მაღლა დგას. აქ მუშაობენ იმისთვის, რომ იცხოვრონ. ევროპის ჩირდილოეთში კი პირიქით - ცხოვრობენ იმისთვის, რომ იმუშაონ... რომელი ჯობს? ალბათ, გართობა და ცხოვრების ხელოვნების ზედმიწევნით ფლობა, არა? ამ მხრივ კი იტალიელებს ცოტა ვინმე თუ შეედრება... ისეთი მძიმე და სახიფათო პროფესიის წარმომადგენლებიც კი, როგორიც ფეხბურთია, პროფესიული საქმიანობის პარალელურად, შესანიშნავად ახერხებენ თავინათი მდგომარეობით პროფიტირებას და ამქვეყნიური სიამოვნებით ტკბობას. თუ გერმანიაში ფეხბურთელთა უმრავლესობა დაოჯახებულია და ცდუნებებს ნაკლებად ემორჩილება, იტალიელები დიდხანს ინარჩუნებენ უცოლო, მომხიბვლელი მამაკაცის სტატუსს, მიუხედავად იმისა, რომ მათზე უამრავი ქალი ოცნებობს.

ბუნებამ იტალიელი კაცებისთვის განსაკუთრებული მამაკაცური შარმი გაიმეტა. ათლეტური აღნაგობის იტალიელი ფეხბურთელები კი, მართლაც, ერთიორად მიმზიდველნი არიან. ფიზიკურ კონდიციებს ემატება დახვეწილი სახის ნაკვთები და გრძელი თმა, რომელიც იტალიაში მეტად პოპულარულია. გახსოვთ, როგორი ვარცხნილობა ჰქონდა კახი კალაძეს მილანში წასვლამდე? ალბათ, არაფრად აგდებდა თმის ვარცხნის პროცესს, სავარცხლის ერთი გადასმაც საკმარისი იქნებოდა მისთვის. წავიდა იტალიაში და ადგილობრივი მოდის გავლენა მაშინვე დაეტყო - უეცრად გრძელთმიანი გახდა. ამის მერე პირადად მე უფრო მეტი სიმპათიით განვეწყვე მის მიმართ. ასევე ძალიან მომწონს სერია A-ში მოთამაშე სხვა გრძელთმიანებიც: ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო ნესტა, ფილიპო ინძაგი, ფაბიო კანავარო და ასე შემდეგ. დაუსრულებლად შეიძლება ჩამოთვლა. იტალიის ნაკრები ხომ ყველაზე ლამაზი ფეხბურთელებით გამოირჩევა...

მათ ყველაფერი აქვთ, რასაც კი მოისურვებენ: სახელი, ფული, თვალისმომჭრელი მანქანები, ლამაზი ქალები. მათი მეგობარი გოგონები, არცთუ იშვიათად, სწორედ მათთან ურთიერთობის წყალობით ხდებიან ცნობილნი. იტალიაში ფეხბურთელთა რჩეულებს ყველა ტიფოზი იცნობს. მოდი, ჩვენც გავეცნოთ ამ ლამაზმანებს.

ფრანჩესკო ტოტის სატრფო "ლაციოს" ფანია

სწორედ ამის გამო ილარი ბლაზის "რომას" ტიფოზები მაინცდამაინც არ სწყალობენ. მიაჩნიათ, რომ "ლაციოს" გულშემატკივარ ილარის "რომასა" და მისი კაპიტნისთვის უბედურება მოაქვს... ილარისთვის საბედნიეროდ, თავად ფრანჩესკო ტოტი ასეთი ცრუმორწმუნე არ არის. ილარი ბლაზი რომაელია, 1981 წლის 28 აპრილს დაიბადა მარადიულ ქალაქში. ახლა მილანში ცხოვრობს და ეგრეთ წოდებული ტელებალერინაა - თოქშოუებისა და სხვა მსგავს გადაცემათა მუსიკალურ გაფორმებაში მონაწილეობს. ბალერინობისგან ნამდვილად შორსაა, თუ ამ სიტყვის ტრადიციულ, კლასიკურ მნიშვნელობას მივიჩნევთ ამოსავალ წერტილად. უბრალოდ, კარგი აღნაგობა აქვს და, პლასტიკურობის წყალობით, რიტმული ცეკვების შესრულება არ უჭირს. სანამ "შოუ გერლი" გახდებოდა, რომის უნივერსიტეტში, კომუნიკაციის ფაკულტეტზე სწავლობდა. იმის გამო, რომ ორნელა მუტის ამსგავსებენ, შოუბიზნესში დამკვიდრება არ გასჭირვებია. ჯერ ფოტომოდელობა დაიწყო, შემდეგ კი ფილმებშიც გადაიღეს. ტოტის სატრფოდ კი ითვლება, მაგრამ მაინც მარტო ცხოვრობს, კატა გარგამელასთან ერთად. როცა რომელიმე წვეულებაზე ავტოგრაფს სთხოვენ, უარით არასოდეს აწყენინებს თაყვანისმცემლებს. ყველას თავაზიანად უღიმის და ცდილობს, კარგი გოგონას იმიჯი შეიქმნას. მისი საყვარელი მსახიობია ჯულია რობერტსი, ცხოვრების მიზანი კი – გახდეს კარგი ტელეწამყვანი.

ტოტისთან ურთიერთობაში ყველაფერი რიგზე აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებური "ბუდარიას" მსგავსმა იტალიურმა გადაცემამ ერთხელ მისი სატრფო უაღრესად არასახარბიელი სიტუაციაში გამოიჭირა - მთელმა იტალიამ ნახა, თუ როგორ ცდილობდა "რომას" კაპიტანი ერთ-ერთი რესტორნის ოფიციანტი ქალის "შებმას". მაშინ ტოტის უიღბლო "დონ ჟუანობაზე" ყველა სიცილით კვდებოდა და ელოდნენ, რომ ილარი სკანდალს მოაყწობდა, მაგრამ მან თავის შეკავება ამჯობინა და ტოტი საჯარო გაკიცხვას გადაურჩა. ახლა ილარი თავს ტოტის საცოლედ თვლის - იმედი აქვს, რომ ოდესმე ცოლად გაყვება "რომას" თილისმას.

სიმონე ინძაგის ექს-სატრფო პარაგვაელთა კალენდარზე

"მილანისა" და "სკუადრა აძურას" ფორვარდის, ფილიპო ინძაგის უმცროსი ძმა სიმონე "სუპერპიპოსავით" წარმატებული ფეხბურთელი ვერ არის, მაგრამ თავისი წილი პოპულარულობა არც მას აკლია. რაც უნდა გასაოცარი იყოს, ზოგიერთმა იტალიელმა "ლაციოს" ფორვარდი მხოლოდ მას შემდეგ გაიცნო, რაც ალისია მარკუცი მისი სატრფო გახდა. ქერათმიანი ფოტომოდელი იტალიაში სიმონეზე ბევრად უფრო პოპულარულია. ცოტა ხნის წინ სოციოლოგებმა იტალიელ მოზარდთა შორის გამოკითხვა ჩაატარეს იმის გამოსავლენად, თუ ვის მიბაძვას ისურვებდნენ მომავალში. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ალისია მარკუცი აღმოჩნდა მისაბაძი. ალისია იტალიის ყველაზე სექსუალურ ქალადაც დაასახელეს, თანაც, არაერთხელ. მოკლედ, სიმონე ინძაგის, მართლაც, მთელი იტალიელი მამაკაცების საოცნებო ქალი ჰყავდა მეგობრად, მან კი ეს ვერ შეიფერა... იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთელს და მოდელს შვილიც ჰყავთ, მათი ურთიერთობა მაინც ვერ აღმოჩნდა მყარი. ამჟამად ალისია და სიმონე ცალ-ცალკე ცხოვრობენ და მხოლოდ პატარა ვაჟიშვილის გამო თუ ხვდებიან ერთმანეთს.

ალისია მხოლოდ იტალიაში არ არის სექსუალურობის სიმბოლო. ცოტა ხნის წინ მისი ფოტოები შორეულ პარაგვაიშიც გამოჩნდა - პარაგვაულმა საფეხბურთო კლუბმა "სერო პორტენომ" კალენდარი გამოუშვა ალისიას გამოსახულებით: იტალიელი ლამაზმანის შიშველი მკერდი კლუბის ფერებში შესრულებული ემბლემებითაა დამშვენებული. ასე რომ, ალისიას სილამაზე პარაგვაელებსაც აღაფრთოვანებს....

კრისტიან ვიერი ცდუნებას ვერ უძლებს

არც არის გასაკვირი, რომ ვიერი გრძნობების მოთოკვას ვერ ახერხებს. 18 წლის ელიზაბეტა კანალისი ვის არ დაავიწყებინებს მორალსა და ზნეობას. იმის მიუხედავად, რომ ვიერის ცხოვრების თანამგზავრი უკვე ნაპოვნი ჰყავდა, "ელის" მომხიბვლელობის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. ერთხანს ისინი ერთად იყვნენ, შემდეგ დაშორდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, მხოლოდ დროებით.

ცოტა ხნის წინ ელიზაბეტას დაბადების დღე ჰქონდა. სტუმართა შორის კრისტიან ვიერიც იყო. "ელი" და "ბობო" თითქოს აღარ ჩანდნენ ერთმანეთზე გამწყრალი. ვიერი ბართან იჯდა და თვალს არ აშორებდა ექს-საყვარლის შიშველ მხრებს. რა თქმა უნდა, ჟურნალისტებს "ბობოს" მელანქოლიური პოზა არ გამოპარვიათ. ყოველი მხრიდან ფოტოაპარატების ჩხაკაჩხუკი ისმოდა. ყველას აინტერესებდა, ისევ ერთად ყოფნას ხომ არ აპირებდნენ ყოფილი შეყვარებულები. "ელიმ" ამ კითხვაზე პასუხს დელიკატურად აარიდა თავი. "ვიერის ჰკითხეთ!" - იყო მისი პასუხი. ვიერიმ კი დუმილი ამჯობინა.

საღამო იმით დასრულდა, რომ ელიზაბეტა და "ბობო" ერთად წავიდნენ კაფე "ალკატრასიდან". ნუთუ სიყვარული ისევ განახლდა? - აინტერესებთ იტალიელ ჟურნალისტებს. არავინ იცის. ელიზაბეტას ფაბიო კანავაროც ეარშიყება და ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვის აირჩევს შავთვალა "ელი"...

ციფრული მონტაჟის, ოპერატორის ხელოვნებისა და ფოტო საქმის შემსწავლელი სასწავლო სატელევიზიო ცენტრის სერთიფიცირებულ კურსებზე.
ტელ: 34-41-15, 34-67-50
etv@ip.osgf.ge

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ბალანსის
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
ფირმების რეგისტრაცია
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (საკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22

აფიშა

თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ვოფგან ამადეუს მოცარტი "დონ ჯოვანი", ოპერა ორ მოქმედებად
დირიჟორი გიორგი ყორდანია
დას: 18:00 სთ

ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„
"ზღვა ძალიან ღელავს", რეჟ. მურმან ჯინორია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

თეატრალური სარდაფი
"გოდოს მოლოდინში", რეჟ. ნიკა კიკაჩეიშვილი, გია ბარაბაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

ჰანტომიმის თეატრი
"კონტრასტები", რეჟ. გოგა ოსეფაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

ძველი გალერეა
იური მეჩითოვის ფოტოგამოფენა

TMS
"თაობები", ქიქოძეების ფოტოგამოფენა

ეროვნული გალერეა
მამია მალაზონიას ნამუშევრების პესონალური გამოფენა

ჰობი
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების გამოფენა

უნივერსი - ორშაბათობით მუშაობს
ლეილა შელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

კინოთეატრები

„ამირანი„
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 13:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 6-9 ლარი
ანიმაციური ფილმი "ტიხიროს სულების სამყაროში"
დას: 16:30; ფასი 5,6 ლარი

„რუსთაველი„
"ტაქსი 3"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ჩიკაგო"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

„ელისო„
"ჩიკაგო"
დას: 15:00; 19:45 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი"
დას: 18:00; 21:45 სთ; ფასი 5 ლარი

ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

თეთრიწყაროს რაიონის სოფ. შავსაყდარში იყიდება სახლი სარდაფით, ხილის ბაღითა და ვენახით. 75 64 93, 8(99) 17 67 24

იყიდება რუსთაველზე 2,5-ოთახიანი პერსპექტიული ბინა. ფასი 15 000 $. 8(77) 72 30 40

იყიდება ან იცვლება 104 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ. 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაუზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

მიწის ნაკვეთი

იყიდება 300 კვ.მ. ახალგარემონტებული სახლი, 3000 კვ.მ. ეზო-ბაღით, 100 ძირი შემოსავლიანი ხეხილით სოფელ გლდანში. 63 29 26, 63 32 39

კომერციული ფართი

ქირავდება კომერციული საქმიანობისთვის 200 კვ.მ.-მდე ფართი. ფართს გააჩნია სპეციალურ ფასეულობათა საცავი. 25 16 00, 25 17 98

ბინები

ქირა, ბირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება
4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში (პარლამენტის სახლში) მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

მანქანები

იყიდება !

ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$

ტელ: 899 16 28 68

იყიდება მერსედესი 123/200 D. 1983 წლის გამოშვება. ძალიან კარგ მდგომარეობაში. ფასი 1900 $. 8(77) 43 08 66

იყიდება „ოპელ-ვექტრა", 1990 წლის. ძრავი 2,0. CD. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი 2500. 33 54 51

სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559

ვყიდი შავი ფერის ნატურალური ტყავის იტალიური წარმოების ქალის ახალ ჩანთას. 39 75 68 ქეთი

სწრაფი, კვალიფიციური კითხვის ტექნიკას შევასწავლი ინტელექტუალური საქმიანობის პირებს. გაიზრდება კითხვის სიჩქარე, ყურადღება, ტექსტის გაგებისა და დამახსოვრების ხარისხი. 32 32 75

ვასწავლი იტალიურს ნებისმიერ მსურველს მიზნების შესაბამისად. 61 47 35

სხვადასხვა

იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410

იყიდება აკუმულატორი ქამარი სამგზავროდ, 12 ვოლტი, ხამპერი, დამტენი მოწყობილობით. 120 ლარი. 68 92 05. 23 საათიდან 02 საათამდე. თემური

იყიდება ველოსიპედი ტურისტი ახალი, კარგ მდგომარეობაში, ნაკლის გარეშე. 68 92 05. 23 საათიდან 02 საათამდე. თემური

იყიდება 2-ტონიანი მანქანის ამწე და 40-ტონიანი დასაჭირხნი დანადგარი, 2-2 ცალი. 65 85 79

სამრეცხაო სალონი „კრისტალი" გთავაზობს თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა-დაუთოებას, ქიმწმენდას. სოლოლაკი, მაჩაბლის 1. 98 36 34

კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

შპს „მერკური XXI" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე: თბილისი ლილოს დასახლება კახეთის გზატკეცილი ტელ: 94 25 74 დავით კვიტაიშვილი. საქ. კანონი „მეწარმეთა" შესახებ 14.2

შპს „ფრენშაიზინგი" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე: თბილისი ლილოს დასახლება კახეთის გზატკეცილი ტელ: 94 25 74 ვლადიმერ გაწერელია. საქ. კანონი „მეწარმეთა" შესახებ 14.2

ღვინო, დუდუკი, ქალები, „ვახო" შენ გენაცვალები. გაიხსნა კაფე-რესტორანი „ვახო". ფასები ხელმისაწვდომი, გარემო იდეალური. გაგარინის 14.

TV პროგრამა 8 აპრილი

რუსთავი - 2
07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
19.00 დოკ. ფილმი
19.30 პერეკროსტოკი
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა: „რეალი"-"მანჩესტერი"
02.00 ჩემპიონთა ლიგა: „აიაქსი"-"მილანი"
04.00 კლასიკა

პირველი არხი
07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „ნუ გაალვიძებთ მძინარე პოლიციელს"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამგე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 „ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი „ფარისევლობა"
16.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.05 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
17.25 მოცარტი. ორმაგი კონცერტი
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.35 გასტი-ბუბუ
18.50 „და არს მუსიკა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „ჩვენი ფეხბურთი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „მე ღვენი აღარ მჯერა"

პირველი სტერეო
08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „პარასკევი"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი გრავო „მალტის შევარდენი" მთ.რ-ში ჰემფრი ბოგარტი
01.45 ფილმი ღამურა „ალყა" მთ.რ-ში დენზელ ვაშინგტონი.
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი
19.00, 22.00 „მოამგე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამგეები ჩვენზე
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „დოყლაპია"

იბერია
08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.35 გურთი და მოედანი
10.50 მხ. ფილმი „საბედისწერო გასტროლები"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამგეები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „გმირების ყურები არ ეყინებათ"
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „სარას სამსახურში"
22.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „იღბლის ქალაქი"
01.10 ღამის ფილმი

ევრიკა
10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში"
12.30 სალონი
14.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სალონი"
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 სტუდია „ეკონომისტი"
23.30 მუსიკალური პაუზა
00.00 მხ. ფილმი „დაიჭირეთ გოტი"

მესხრე არხი
09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამგეები
09.50, 11.50, 17.50, 18.50, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.45 მხ.ფ. „გადასახადთა ამკრეფი"
14.20 „ტელემეტრი"
14.45 „მსოფლიო რაგბი"
15.10 მხ. ფილმი „ბაზა"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.15 მხ. ფილმი „დედამიწა მინუს ნული"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ვილი"
00.45 მხ. ფილმი „დამკვირებელი"

იმედი
17.00, 01.00 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.55 ახალი ამგეების დაიჯესტი
18.00 სერიალი „ლაბირინთი"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი"
20.30 8 1-2 „პლანეტა ჰოლივუდი"
21.00 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი" მე-6 ს.
22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო „თამაშები გზაზე" (ჯ. კერტისი)

აჭარა
08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ფილმი-ზღაპარი „ბალგამეტი"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.15 კომედია „კიკუცირო"
14.25 ფილმი-კატასტროფა „რვაფეხა"
16.15 მულტფილმი „ანასტასია"
17.20 კომედია „იტალიელების საოცარი თავგადასავალი რუსეთში"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
19.35, 22.40 „Пресс-папье"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.25 კომედია „საოჯახო გეგმა"
22.45 დოკუმენტური ფილმი
00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 კომედია „გუმერანგი"
03.30 მელოდრამა „მხედარი გვიახლოვდება"

VII არხი
09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 „ბედნიერი ერი"
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 სპორტული პრობრამა - „ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) მელოდია
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 მოგილურები
12.45 „ბირორითმი" .
13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.45 კომპიუტერული თამაშები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 სპორტული პრობრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
20.45 კომპიუტერული თამაშები
20.55 „ღამის კაპარიზი" - თემა: .
21.55 მოგილურები
22.40 „კინოკლუბი" - „უცხო სახლში".
00.35 აუდიო-ვიდეო-ტელე
01.10 „ბირორითმი"

1 ОРТ
07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Худ. фильм „ГЛУХОМАНЬ"
12.05, 17.25, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Переменка"
13.15 Детектив „КАК СОВЕРШИТЬ УБИЙСТВО"
14.40 „Непутевые заметки" с Дм. Крыловым
15.00 „Новый день". „По ту сторону жизни"
15.30 „Новый день". Великий герцог Люксембургский
16.20 Детектив „ЗЕРКАЛО ТРЕСНУЛО"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Сати". Людмила Гурченко.
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ"
23.45 Док. сериал „Звездный отряд"
01.10 „На футболе"
01.40 „Новый день". „Русский экстрим"
02.10 Апология
03.10 Сериал „Беглец"
04.05 Худ. фильм „ЖЕНА БОГАЧА"
05.40 „Новый день". „Сканер"
06.05 „ОТНОСИТЕЛЬНОСТЬ"

НТВ
07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.25 „Очная ставка"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок"
13.05 Детектив „СЛУЧАЙ В АЭРОПОРТУ"
14.40 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.05, 21.50 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Док. драма „Преступление и наказание"
20.35, 00.25 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
01.30 Футбол. „РЕАЛ"- „МАНЧЕСТЕР ЮНАЙТЕД"
03.20 Дневник Лиги чемпионов

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით

იცნობდეთ: უდაი ჰუსეინი - ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე

მელორ სტურუა
მინეაპოლისი, აშშ

მოკრივე, რომელიც ბაღდადელი დიქტატორის ვაჟის, ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, უდაი ჰუსეინის კაბინეტში შემავალ ორმაგ კართან იდგა, შიშისგან ცახცახებდა. გული უგრძნობდა, რომ კარს მიღმა ჯოჯოხეთი ელოდა. მოკრივე ეს წუთია ჩამოვიდა სპარსეთის ყურის ქვეყნების შეჯიბრებიდან, სადაც ნამდვილად არ გაუმართლა. პირველივე რაუნდში ნოკაუტში ჩაადგეს. და მან იცოდა, რომ ნოკაუტი მხოლოდ მსუბუქი წკიპურტი იყო იმასთან შედარებით, რაც...

ყვითელ-ლურჯ ფერებში შეფერადებულ კაბინეტში ბოლთას სცემდა თავმჯდომარე უდაი, ნერვიულად ღეჭავდა სიგარას, ძვირფასს, კუბურს. დროდადრო ფანჯარაში იხედებოდა, საიდანაც ბაღდადის პანორამა იშლებოდა. მოკრივემ შესვლა ვერ მოასწრო, რომ უდაი მას მუშტებით დაეძგერა.

- ერაყელ სპორტსმენებს სამშობლოს შერცხვენის უფლება არა აქვთ – დაიყვირა თავმჯდომარემ, - ეს ჩემი ერაყია, და მისი შერცხვენით შენ პირადად მე მომაყენე შეურაცხყოფა!

უდაი მუქი ფერის ხისგან დამზადებულ საწერ მაგიდასთან მოკალათდა, რომლის თავზეც მამამისის სურათი ეკიდა, და შეწყვეტილი ტირადა გააგრძელა:

- სპორტში ან იგებ ან მარცხდები. მე შენ გიბრძანებ, არ დაბრუნდე სამშობლოში გამარჯვების გარეშე. შენ კი ასე უნდა გებრძოლა...

უდაი მაგიდიდან ადგა, მოკრივეს მიუახლოვდა და ორჯერ დაარტყა სახეში მარჯვენა და მარცხენა ხელით. სპორტსმენს ცხვირიდან სისხლი წასკდა. უდაი მის ცემას აგრძელებდა. მერე თავმჯდომარემ მკერდში ელექტროჯოხი აძგერა, რომელიც მას ყოველთვის თან დააქვს. მოკრივეს სახე სისხლმა დაფარა. დარტყმებისგან თვალი ამოუვარდა. ბოლოს უდაიმ მცველებს უბრძანა სამართებელი მოეტანათ და ის მოკრივეს ყელთან მიუტანა. ის შეწყალებას ითხოვდა. უდაიმ ცინიკურად ჩაიცინა და წარბები მოპარსა (ერაყში ეს მამაკაცური ღირსების ყველაზე დიდ შეურაცხყოფად ითვლება).

- ჩაიყვანეთ ქვემოთ და ჩააძაღლეთ, - მიუბრუნდა წარბიპარსია მცველებს.

- დაცვამ მოკრივე ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინის შენობის სარდაფში ჩაიყვანა, იქ სპორტსმენების საპყრობილეა მოთავსებული, სადაც 30 კამერაა. იქ ჩასვამენ ხოლმე სპორტსმენებს, რომლებმაც უდაის გული ვერ მოიგეს. მათ სცემენ, ანამებენ, ზოგჯერ კლავენ კიდევაც. იმ დღის შემდეგ აღარავის უნახავს მოკრივე, რომელმაც შეარცხვინა უდაი და ერაყი...

ზემოთმოყვანილი საზარელი ისტორია ლატიფ იახიმ გვიამბო, რომელიც სანამ დასავლეთში გაიქცეოდა, ხუთი წლის განმავლობაში უდაის პირადი მცველი და ორეული იყო.

უდაის ტყუილად კი არ უწოდებენ "ყასბის შვილს". სადამის ოჯახში ის ბავშვობიდან გამოირჩეოდა სადისტური მიდრეკილებებით. პატარაობაში ხელყუმბარის ნაწილებით თამაშობდა, ათი წლის ასაკიდან კი უკვე მამას დაჰყვებოდა, როდესაც ის კაფ-ალ-ნიხაიას (სიკვდილის სასახლე) წამების კამერებში მიდიოდა ხოლმე, სადაც ჰუსეინის ბევრი მტერი დაიღუპა, მათ შორის ფეისალ II. სადამი არა მარტო თვალყურს ადევნებდა თუ როგორ აწამებდნენ პატიმრებს, არამედ თვითონვე იღებდა მათ წამებაში მონაწილეობას. 16 წლის უდაიმ, როგორც თვითონ ამბობს, "უბიწოება დაკარგა", მან პირველი მკვლელობა ჩაიდინა. "ყასბის ვაჟის" პირველი მსხვერპლი მისი სკოლის მასწავლებელი გახდა, რომელმაც გაბედა და მისი მეგობარი გოგონას თანდასწრებით შენიშვნა მისცა უდაის.

27 წლის უდაი უკვე ერაყის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას თავმჯდომარეობდა. ფაქტობრივად, ის ქვეყნის "სპორტულ ფარაონად იქცა". როდესაც ვაჟი ამ პოსტზე დანიშნა, "ყასაბმა" მას "ერაყელი ახალგაზრდობის სულიერი მხნეობის აღდგენა" დაავალა, და ამავე დროს იმის დამტკიცება, რომ ის თავისი მამის ღირსეული მემკვიდრეა (რვაწლიანმა ომმა ირანთან ერაყელი ახალგაზრობის დემორალიზაცია მოახდინა. სადამს იმედი ჰქონდა, რომ სპორტული მიღწევები ახალგაზრდებს შეაფუცხუნებდა და კვლავ "ეროვნული სიმაყის გრძნობით" აღავსებდა).

აი, რას ყვება ისამ ტამერ ალ-დივანი, ერაყის ფრენბურთის ნაკრების მოთამაშე, რომელიც სადამის რეჟიმის შედეგად დაღუპული 52 ერაყელი სპორტსმენის სიით, აშშ-ში გაიქცა:

- ჰუსეინის გეგმა ჩავარდა. სპორტი ერაყში ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაშია, ადრე კიდევ არა უშავდა, ვიგებდით კიდეც. მაგრამ უდაის სიამაყის გრძნობის შეგრძნება არ ჰქონდა. ის მხოლოდ შიშის გრძნობას ცნობდა. თვითონ არასოდეს ყოფილა სპორსტმენი. ის ფიქრობდა, რომ მამამისის მეთოდებით თუ იხელმძღვანელებდა, სპორტში წარმატებებს მიაღწევდა. და რა თქმა უნდა, კრახი განიცადა.

ფაქტებიც ამას ადასტურებს. 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე ერაყს 46 სპორტსმენი წარმოადგენდა. ახლა ის ლიხტენშტეინის დონემდე დაეცა. 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ერაყმა მხოლოდ ოთხი სპორტსმენი გაგზავნა. ერაყის კალათბურთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, საბაჰ მოჰამედი ამბობს:

სპორტსმენებს თამაში არ უნდათ. წაგების ეშინიათ, იციან, ამისთვის რაც ელით. ან როგორ უნდა დავადანაშაულოთ? უდაისთან ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს.

თვითონ მოჰამედი 1999 წელს ლონდონში გაიქცა, მას შემდეგ, რაც მისი ცოლის ოჯახის ცხრა წევრი სადამის რეჟიმის გამო სიკვდილით დასაჯეს.

უდაის ჯალათური გამოსვლების ამბავი საერთაშორისო სპორტულმა ხელმძღვანელობამ უკვე დიდი ხანია იცის. 2001 წელს ორგანიზაცია "ემნისტი ინტერნეიშენელ" იუწყებოდა, რომ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ, უდაის ბრძანებით, ერაყის ოლიმპიურ შტაბ-ბინაში, მისმა დაცვამ ხელი მოკვეთა ერთ სპორტსმენს, რომელსაც სპორტული ინვენტარის ქურდობა დააბრალეს. 1997 წელს "ფიფა"-მ ბაღდადში თავისი ორი წარმომადგენელი გაგზავნა. მათ უნდა გამოეკვლიათ ბრალდება, რომლის მიხედვითაც უდაის ხალხმა ფეხებში სცემეს ერაყის ნაკრების ფეხბურთელებს იმის გამო, რომ მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში ყაზახეთთან წააგეს. "ფიფას" მხოლოდ უდაის მიერ შერჩეულ ხალხთან შეხვედრის ნება დართეს. "ფიფა"-მ ის "გაამართლა". მაგრამ აი, რას ჰყვება ერაყის ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი, შარარ ჰაიდარი, რომელიც თავისი ქვეყნის ნაკრების ორმოცამდე მატჩში მონაწილეობდა და რომლის მრავალი თანაგუნდელიც უდაის მსხვერპლი გახდა:

- უეჭველია, რომ წამებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ, როცა იმ სპორტსმენებს დაკითხავთ, რომლებიც უდაის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, განა შეიძლება მათგან სიმართლეს ელოდე? მე ვიცი, რა საშინელებების გამოვლა მოუწიათ. ჩვენს მიერ წაგებული მატჩების შემდეგ მეც ოთხჯერ მაწამეს (ჰაიდარი ლონდონში 1998 წელს გაიქცა). ერთხელ, იორდანიის დედაქალაქში, ამანში ჩატარებული ამხანაგური მატჩის შემდეგ, რომელიც 0:2 წავაგეთ, უდაიმ მე და კიდევ სამი ფეხბურთელი ციხეში ჩაგვყარა. ტანსაცმელი გაგვხადეს, ფეხები შეგვიკრეს და ცემენტის იატაკზე გვათრევდნენ ისე, რომ ზურგზე კანი გვძვრებოდა. ამის შემდეგ ქვიშაზე გვათრიეს. ქვიშა გადატყავებულ ზურგში გვერჭობოდა. ბოლოს განავლით სავსე კანალიზაციაში ჩაგვახტუნეს. რაც ციხეში ვიყავით, ყოველდღე ფეხებში გვირტყამდნენ. რადგან საერთაშორისო ვარსკვლავი ვიყავი, დღეში ოცი დარტყმა მხვდებოდა. ერთხელ ჩემს ყარაულს ვკითხე: "ყველაფერ ამას საკუთარ თავს როგორ აპატიებ?" ამაზე პასუხად მან ჩაიცინა და მიპასუხა: "მე თუ არ გცემე, უდაი მე მცემს". უდაიმ სამაგალითოდ დაგვსაჯა: აი, თუ გმირი სპორტსმენების მცემელი ვარ, სხვებს რაღა მოუვათო?!

ანალოგიურ ამბავს ჰყვება ახმედ კადიმი, "ფიფა"-ს ერაყელი მსაჯი "ალ შორტასა" და ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდის მატჩზე:

- უდაის სახელით მითხრეს, რომ "ალ-შორტას" უნდა გაემარჯვა, მაგრამ მე უარი ვთქვი. თამაში ფრედ, 2:2 დამთავრდა. მე "ალ-რადვანიას" ციხეში წამიყვანეს. იქ დღეში სამჯერ ჯოხებით და რეზინის მილებით მცემდნენ. როცა სისხლი მდიოდა, ექსკრემენტებიან ორმოში მაგდებდნენ. ჯალათი დაცინვით მეუბნებოდა: "რა გენაღვლებოდა, გაემარჯვათო". ის ნაცემი დღემდე მტკივა.

ციტატები უდაის მსხვერპლთა, ერაყელ სპორტსმენთა ჩვენებებიდან, ამერიკულ ჟურნალ, "სპორტს ილუსტრეიტიდიდან" ამოვიწერე. ჟურნალმა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსან წარმომადგენლისგანაც აიღო ინტერვიუ, რომელმაც თქვა: "სადამი სასტიკია, მაგრამ მისი საქციელის წინასწარ გათვლა შესაძლებელია. უდაი კი სასტიკია და არავინ იცის, როდის რას იზამს. უდაის სისხლისმსმელობა სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს მამამისს ძალიან გამოადგა. როცა ერაყში 1991 წელს შევედით და გადავწყვიტეთ სადამი არ გადაგვეყენებინა, ამ გადაწყვეტილებაში გარკვეული როლი იმანაც შეასრულა, რომ მისი შემცვლელი შეიძლება უდაი გამხდარიყო. ეს კი ჩვენთვის მიუღებელი იყო". სახელმწიფო დეპარტამენტის წყარომ დასძინა: "უდაისთან დაკავშირებით ორი ამბავი მაგონდება. პირველი - ფეხებში ცემაა, ერაყულად "ფალაკა", რასაც ერაყელ ფეხბურთელებს უშვრებოდნენ. წამების ეს სახეობა ერაყის შეიარაღებულ ძალებშიც გამოიყენება. ჯალათები, როგორც წესი, ქუსლებში ურტყამენ და წვრილ-წვრილ ძვლებს ამტვრევენ. ამისგან ფეხები სივდება, და მსხვერპლს კარგა ხნის განმავლობაში სიარული არ შეუძლია. არსებობს მონაცემები იმის შესახებაც, რომ ერთხელ, წაგების შემდეგ, ერაყის ფრენბურთელთა გუნდის წევრები – მაღალი ათლეტები – საგანგებოდ მათთვის განკუთვნილ, დაბალჭერიან საკანში დაამწყვდიეს. თვითონ საკანიც ძალიან პატარა იყო, მასში სპორტსმენები ერთდროულად დაჯდომასაც კი ვერ ახერხებდნენ. დაპატიმრებულ ფრენბურთელთა ნახევარს წელში მოხრილს დგომა უწევდა, დანარჩენები კი ისხდნენ, და მუხლები მკერდზე ჰქონდათ მიბჯენილი. უდაი ამას "მოტივირებად ტექნიკად" მიიჩნევდა. უდაის მიერ გამოყენებულ წამებას ყოველთვის ფსიქოლოგიური ელემენტი ახლდა: მაღალი სპორტსმენივით უნდა გეთამაშა; ახლა იგემე, როგორია, პატარა როცა ხარ! ფეხბურთელისთვის – სწრაფი უნდა ყოფილიყავი; ახლა კი ფეხებს დაგამტვრევ და პურის ფულს ვეღარ გააკეთებ. აი, ასე ფიქრობს უდაი."

ყოველივე ამის მერე რა გასაკვირია, რომ უდაი თავდასხმის სამიზნე გახდა. 1996 წლის დეკემბერში, როდესაც ის კავალკადში მიდიოდა დაცვის თანხლებით, მის ავტომანქანას ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს. უდაის რვა ტყვია მოხვდა, მაგრამ გადარჩა. არავინ დაუპატიმრებიათ, არც არავინ გაუსამართლებიათ. გავრცელდა ხმები, რომ მსროლელი მისი უმცროსი ძმის დაკვეთით მოქმედებდა. თავდასხმის შემდეგ უდაის ცალ მხარეს დამბლა დაეცა. სახლში ორთოპედიული სავარძლით გადაადგილდებოდა, გარეთ კი კოჭლობდა და ჯოხით დადიოდა. ისიც ცნობილია, რომ უდაიზე თავდასხმის შემდეგ სადამ ჰუსეინმა მემკვიდრედ უმცროს ვაჟს – ქუსაის მიანიჭა უპირატესობა.

ახლა უაღრესად პიკანტური სიტუაცია შეიქმნა. ერთის მხრივ, ერაყში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ უდაის საეჭვო პატივი ხვდა წილად – ის პენტაგონის მიერ შედგენილი მთავარი სამხედრო დამნაშავეების სიის (40 კაცი) თავში მოექცა. მეორე მხრივ, კვლავინდებურად რჩება ოფიციალური ოლიმპიური ჩინოვნიკების კოჰორტაში, როგორც ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე. ეს უკანასკნელი გარემოება სპორტული საზოგადოებრიობის საყოველთაო აღშფოთებას იწვევს, რომლის აზრითაც, უდაიმ ოლიმპიური რგოლები ბორკილებზე გაცვალა. ჩარლზ ფორესტი, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია INDICT-ის ხელმძღვანელი, ამბობს: **"ოლომპიურმა საზოგადოებამ კარგა ხანია იცის უდაის ბოროტმოქმედების შესახებ. ის ფაქტი, რომ მას არანაირი ზომები არ მიუღია უდაის წინააღმდეგ, მის ისტორიაში შავ ლაქად რჩება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი მორალური გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს."**

გასული წლის დეკემბერში INDICT-მა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში წერილი გაგზავნა და ერაყის ოლიმპიური ოჯახიდან გარიცხვა მოითხოვა. წერილს თან ერთვოდა მონაცემები უდაის მსხვერპლი რამდენიმე ერაყელი სპორტსმენის ჩვენებების საფუძველზე. მაგრამ დღემდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არცერთ მათგანს არ დაკავშირებია. ამის შესახებ ფორესტმა ასეთი რამ განაცხადა ჟურნალ "სპორტს ილუსტრეითიდში: **"საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიიჩნევს, რომ ჩვენ საჩივარი "საეჭვო" დროს შევიტანეთ. ის ამას სადამის საწინააღმდეგო კამპანიის ნაწილად თვლის. მაგრამ რატომ არ იღებს კომიტეტი არანაირ ზომებს უკვე წლების მანძილზე? ჩვენ ხომ ისეთი არაფერი აღმოგვიჩენია, რაც თვითონ კომიტეტმა არ იცოდა? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს იმედი აქვს, რომ ეს საკითხი თავისით მოიხსნება ერაყში აშშ-ს წარმატებული შეტევის დასრულების შემდეგ."**

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის - ჟაკ როგეს თქმით, INDICT-ის საჩივარი მიღებულია და ეს საჩივარი ეთიკის საკითხებზე მომუშავე ქვეკომიტეტს გადაეცა. მაგრამ აი, რა განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა რიჩარდ პაუნდმა: **"უნდა გვახსოვდეს, რომ საჩივარი (INDICT-ის წერილში მოყვანილი – მ.ს.) მხოლოდ დაუსაბუთებელი მტკიცებულებებია. აუცილებელია დავრწმუნდეთ იმაშიც, რომ ეს არ არის დაკავშირებული ამერიკა-ერაყის კონფლიქტთან და არ იქნება გამოყენებული პროპაგანდის მიზნით."**

მსგავსი რეაქცია ერაყელი სპორტსმენების – უდაის შეურაცხყოფის მსხვერპლთა აღშფოთებას იწვევს.

- როგორ შეიძლება ასეთი რამის თქმა? – სვამს კითხვას ფეხბურთის ვარსკვლავი ჰაიდარი, **- აბა, თუ კარგია, საკუთარი ხელით შეეხონ ჩვენს ჭრილობებს, დაინახონ ტკივილი ჩვენს თვალებში და თვითონ იცურაონ განავალში. მაშინ ხომ აღარ დასვამდნენ ასეთ შეკითხვებს... როცა სადამის რეჟიმს დაამხობენ, როცა შევლენ ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობაში, დაინახავენ წამების ოთახებს და იატაკზე შემხმარ სისხლს, რაღას იტყვის მაშინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა?**

ჰუსეინის შვილის – უდაის ისტორიის კითხვისას უნებლიეთ სულ თვალწინ მედგა სტალინის შვილი ვასილი. ისიც ცდილობდა სპორტს სათავეში ჩადგომოდა, ზრუნავდა ფეხბურთელებზე და არჩევდა ფეხბურთის გუნდებს. და თუმცა, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საზღვაო ძალების (მათ მეთაურობდა ვასია) შტაბის სარდაფებში არ იყო წამების ოთახები, თავად ვასილს არაერთხელ შეუბრუნებია ხელი სპორტსმენებისთვის, რომ გაეგებინებინა, როგორ უნდა და როგორ არ უნდა ითამაშო. დღემდე მახსოვს "ვეჩერნაია მოსკვას" სპორტული მიმომხილველის, კოლოდნოის შიშისგან დაღრეჯილი სახე, რომელსაც ვასია "გაციებით" ემუქრებოდა. ანდა, როგორ დავივიწყო ის ამბავი, როცა მან ვსევოლოდ ბობროვისა და გაიოზ ჯეჯელავას (სამხედრო-საჰაერო ძალების ფეხბურთის გუნდის მაშინდელი მთავარი მწვრთნელი) თანდასწრებით შუბლზე პისტოლეტის ლულა მომაბჯინა (ამ დროს მე ვიჯექი ღია ფანჯრის რაფაზე, ბინაში, მეათე სართულზე) და შემლილივით გაჰყვიროდა, მოკვლით მემუქრებოდა, მისი საფეხბურთო მაქინაციები რომ გავაკრიტიკე. გაიოზმა, რომელსაც ვასიაზე დიდი გავლენა ჰქონდა, ძლივძლიობით მოახერხა მისი დამშვიდება.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სადამ ჰუსეინი ულმობელი დიქტატორია, მისი ვაჟები კი - ბაღდადელი ტირანის ღირსეული ლეკვები. რაც უფრო სწრაფად მოიშორებს მათ თავიდან ერაყელი ხალხი, მით უკეთესია. მაგრამ ეს თვითონ ერაყელმა ხალხმა უნდა გააკეთოს, ის ისევე უნდა მოიქცეს, როგორც ჩვენ მოვექეცით ჩვენს კომუნისტ ბელადებს 1991 წელს. სხვისი ხიშტით დემოკრატიასა და თავისუფლებას ვერ მოიპოვებ. აშშ-ს პრეზიდენტმა თავისი ძალები ერაყის წინააღმდეგ იმიტომ კი არ გამოიყვანა, რომ ერაყელი ფეხბურთელები ან კალათბურთელები დაეცვა. არ ღირს თვალთმაქცობა!

აშშ-ს ან განსვენებულ პრეზიდენტს, ფრანკლინ დელანო რუზველტს ჰკითხეს: რატომ უჭერთ მხარს ისეთ ძაღლიშვილებს, როგორებიც არიან ლათინოამერიკელი გენერალ-დიქტატორები? ამაზე რუზველტმა გაიცინა და უპასუხა: "იმიტომ, რომ ისინი ჩვენი ძაღლების შვილები არიან." სადამ ჰუსეინი და მისი ვაჟები – "ძაღლიშვილები", ზოგიერთი არაბი დიქტატორისგან განსხვავებით ვაშინგტონს არ ემორჩილებიან. ეს რომ ასე არ იყოს, "ტომაჰავკები" და "ბუნკერ-ბასტერები" ბაღდადს კი არ დაბომბავდნენ, არამედ რომელიმე სხვა დედაქალაქს. და, შესაძლოა, ეს ოპერაციები სპარსეთის ყურის რეგიონში არც კი განხორციელებულიყო. ძაღლიშვილები, რომლებიც ვაშინგტონს არ ემორჩილებიან, ჩვენს პლანეტაზე სხვაგანაც ადვილად მოიძებნებიან.

სადამ ჰუსეინის ოჯახი, შუაში - უდაი

სადამი და კუსაი

სადამი და უდაი

ერაყის ნაკრების შესარჩევი მატჩი



ქორწილი საკუთარ ეკლესიაში

რასელ ქროუსა და დენიელ სპენსერის საქორწინო ცერემონიალი რეალურად გუშინ გაიმართა. გუშინვე ქროუ 39 წლის გახდა. თუმცა, ზეიმი ორიოდე დღით ადრე დაიწყო. სიდნეიში, ქროუს უზარმაზარ მამულში ოჯახის წევრები და საპატიო სტუმრები პარასკევ საღამოდან შეიკრიბნენ. როგორც ქროუმ ჟურნალისტებს განუცხადა, დღესასწაულზე მიწვეულ 80 სტუმარს, ძირითადად, ოჯახის ახლობლები და ნათესავები წარმოადგენდნენ, მათგან ჰოლივუდის ვარსკვლავი მხოლოდ რამდენიმე იყო – ნიკოლ კიდმანი, ტომ კრუზი, ჯოდი ფოსტერი, ჰიტ ლეჯერი და რიდლი სკოტი – რეჟისორი ფილმისა "გლადიატორი", რომლისთვისაც გუშინდელმა სიძემ და იუბილარმა "ოსკარი" მოიპოვა. სანამ დენიელ სპენსერი და რასელ ქროუ ჯვარს დაიწერდნენ, მათ გრძელი შაბათ-კვირა მეგობრებთან ერთად სპორტულ გაკაჟებას შესწირეს. უფრო ზუსტად, ოჯახები სპენსერებად და ქროუებად დაიყვნენ და კრიკეტი ითამაშეს. მატჩი სიძის ოჯახმა მოიგო, თუმცა, ბუნებრივია, დამარცხებული სპენსერები არ დაღონებულან: "ეს ხომ წლების განმავლობაში უნახავი ნათესავების ნახვის შანსია. თავს ერთად ძალიან ბედნიერად ვგრძნობთ", - განაცხადა კრიკეტის შემდეგ ჰოლივუდელმა მსახიობმა.

გუშინ საღამოს კი საქორწინო ზეიმმა პიკს მიაღწია. წყვილმა ჯვარი ქროუს მამულში აშენებულ ეკლესიაში დაიწერა. ტაძარში, რომლის აღდგენაც 240 ათასი ავსტრალიური დოლარი დაჯდა, პირველად რასელ ქროუს ძმამ დაიწერა ჯვარი. სიძე ეცადა, რომ ცერემონიალისთვის რაც შეიძლება ცოტა ჟურნალისტს ედევნებინა თვალი. უსაფრთხოების მიზნით მას ფერმის თავზე თვითმფრინავების ფრენის აკრძალვაც სურდა, მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალა. ამით კი, პირველ რიგში, ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა ისარგებლეს და მთელი კვირის განმავლობაში ქროუს ფერმის თავზე ვერტმფრენებით დაქროდნენ, რათა საქორწინო სამზადისი დეტალურად აღებეჭდათ ფირზე. რეპორტიორთა ინტერესი სფეროების მიხედვით იყო დაყოფილი. ზოგს ეკლესიისა და საზეიმო დარბაზის დიზაინი აინტერესებდა, ზოგს – სტუმრების სია, ზოგსაც – რასელისა და დენიელის ჩაცმულობა. სწორედ ამ მიზნით ისინი აეროპორტში დახვდნენ ჯორჯო არმანის წარმომადგენლებსაც, რომლებმაც ქროუსა და მის საცოლეს საქორწინო ტანსაცმელი ჩაუტანეს. ზეცის გარდა, ჟურნალისტები ჰოლივუდელი ვარსკვლავის ავსტრალიურ რანჩოს ხმელეთიდანაც უტევდნენ – ფოტო და ტელე-ჟურნალისტები გზატკეცილიდან ფერმის გადასახვევში ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე იყვნენ ჩასაფრებულნი და ყველა მიმსვლელ-მომსვლელს აფიქსირებდნენ.

რასელ ქროუსა და დენიელ სპენსერის რომანი 1990 წელს დაიწყო. ხუთწლიანი ურთიერთობის შემდეგ წყვილი ერთმანეთს დაშორდა, რადგანაც ქროუ ავსტრალიიდან ჰოლივუდში გადაბარგდა. იქ ის ერთხანს მეგრაიანთან მეგობრობდა. თუმცა, ბოლოს მიხვდა, რომ არც ჰოლივუდი და არც იქაური ლამაზმანები მშობლიურ ავსტრალიასა და საყვარელ დენიელზე ძვირად არ უღირდა და ძველ სიყვარულსა და სიდნეის დაუბრუნდა.

REUTERS

ცერემონიალის დასაწყისი

REUTERS

რასელ ქროუ და დენიელ სპენსერი ეკლესიიდან გამოდიან

REUTERS

ჯვარდაწერილების საპატივსაცემოდ ციდან ბუშტები ცვივა

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
პირველად საქართველოსა და ამერიკა-კავკასიაში მალალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"
MATTIOLLI ENGINEERING
მიკროპრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"
- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

20%-იანი ფასდაკლება კუპონით
პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე - "Discover Georgia"
43 ვიდეო ჩგოლი, 95 აუდიო ნანახმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი ალნერა
DIGITAL ENCYCLOPEDIA ON GEORGIA
Discover Georgia
NeoMedia
ადგილზე მიტანით
მხოლოდ 33 ლარად!
დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!

ქროსვორდი



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.